ლიბერალი
№ 171 ივნისი 2016

ინტერვიუ გია დვალთან **გვ. 12**
NATO ვარშავის შემდეგ **გვ. 06**
დემოკრატია ვიწრო გაგებით **გვ. 34**
გოგონები სხვისი ცხოვრებით **გვ. 42**
დაგნელება **გვ. 82**
მოახლოვდა და ჰა **გვ. 86**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 5 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

1737
2016



შიმის გაჯვეთილები

გვ. 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა მორჩილაძე



ვინ მილიონი

მისვანჯა სტეჩლინგით შოხს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 171 ივნისი 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამგეგის რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, ლევან ბერძენიშვილი, ვახო ხეთაგური, დავით ფირცხალავა, ანანო ბაკურაძე, ლევან ჯობავა

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ჟურნალის და ნიუსჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

თემატური ჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

სახიფათო სოლიდარობა



15

თვე დაიწყო უნიკალური ინფორმაციით – თურმე შესაძლებელია, კოლეგებისადმი გამოხატული სოლიდარობა სამსახურებრივი კონტრაქტის შეჩერებად დაგიჯდეს. „მაესტროს“ გენერალური დირექტორის, ზურაბ ნაყეურის გადაწყვეტილებამ, კონტრაქტები შეუჩეროს ჟურნალისტებს, რადგან მათ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მიმართ სოლიდარობის ნიშნად გადაცემა „არჩევანში“ მიიღეს მონაწილეობა, ახალ „სიმაღლეზე“ აიყვანა გამოხატვის თავისუფლების ქართული სტანდარტი.

გამოდის, სოლიდარობა სახიფათო საქმე ყოფილა. ეს განცდა გაამყარა „მაესტროს“ ხელმძღვანელობის მომდევნო გადაწყვეტილებამ, რომ ოთხ ჟურნალისტს ზედ მიაყოლოს ოცდარვა, რომლებმაც სოლიდარობა უკვე თანამშრომლებისადმი გამოამჟღავნეს. (აქვე რჩევა ჩემს კოლეგა რეპორტიორებს – ოდესმე „მაესტროს“ ხელმძღვანელობას კითხვას თუ დაუსვამთ, სიტყვა სოლიდარობა არ ახსენოთ – შესაძლოა, უკვე პირდაპირ გესროლონ).

და ვიდრე აქამდე მივსულვართ, ვისარგებლებ და ვიტყვი:

სოლიდარობა ყველა კოლეგას, ვინც არ უშინდება ავტორიტეტებს, ძალაუფლებას, დიდ ფულს, ან დიდ უფულობას, არ ეპუება კონიუნქტურას, არ ცნობს გავლენებს, მის საქმიანობაში ამოსავალი წერტილია სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!

სოლიდარობა ყველა აქტივისტს, ვისაც პოლიცია დევნის სტენსილების გაკვრისთვის. ფლაერების დარიგებისთვის, ღობეების შეღებვისთვის...

სოლიდარობა ყველა მეტალისტს, რომელთა გამოხატვა თვით ჰადესს აშფოთებს და თავის წარმომადგენლებს გზავნის სიმყუდროვის დასაცავად.

სოლიდარობა პარტიზანებს, რომლებიც ხშირად გვინახავს სასამართლო დარბაზებში სწორედ პროტესტისთვის, გამოხატვისთვის, აზრისა და სიტყვის თავისუფლებისთვის.

სოლიდარობა ყველა მუშას, ვინც თამამად დგება მჩაგვრელის პირისპირ და იბრძვის კუთვნილი უფლებებისთვის. სოლიდარობა მათაც, ვინც ოჯახის შიმშილით სიკვდილის შიშით, ვერ ბედავს ხმის ამაღლებას, რადგან იცის, ამ ქვეყანაში გამოხატვა სახიფათო საქმეა.

სოლიდარობა სტუდენტებს, რომლებიც ამ ბოლო დროს ყველაზე თამამად და ნიჭიერად სარგებლობენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სიკეთით.

საჭიროებამ მოიტანა და – სოლიდარობა სოლიდარულ ადამიანებს, ჟურნალისტებს, ექიმებს, მასწავლებლებს, მეშახტეებს, გლეხებს...

დაბოლოს, სოლიდარობის წინააღმდეგ მებრძოლთ, დაწყებულებს მედიამფლობელებიდან, დამთავრებულებს პოლიტიკოსებით, გისურვებთ სოლიდარულ გარემოს, სავსეს სოლიდარული ადამიანებით.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

04 **ავტორები**
მიმოხილვა
06 NATO ვარშავის შემდეგ
ავტორი: ლევან ახალაია
ინტერვიუ
12 როგორ შევაფასოთ, რომ სადღაც არ ვიკარგებით
ავტორი: სოფო გოგიშვილი
მთავარი თემა
16 შრომის გაკვეთილები
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
20 გოგონები სხვისი ცხოვრებით
ავტორი: თათია ხალიანი
28 სკოლა და თემი – ურთიერთობა, პრობლემები, გამოწვევები
ავტორი: სალომე გორგოძე
პოლიტიკა
34 დემოკრატია ვიწრო გაგებით
ავტორი: დათო გამისონია
გარემო
38 აქტივიზმის მწვანე ფერი
ავტორი: ეკა მაღალდაძე
საზოგადოება
48 გამოგონილი მასწავლებლები
ავტორი: ეკა მაღალდაძე
54 „მინდა, რაგბელი გამოვიდე“
ავტორი: ლევან ჯობავა
ფოტოპროექტი
58 უხილავი ადამიანები
ავტორი: ვახო ხეთაგური
სამყარო
70 ბნელი ენერგია
ავტორი: დავით ფირცხალავა
ბიბლიოთეკა
74 ფენტეზი ჩვენი არსობისა
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
კულტურა
78 #FDCannes69
ავტორი: ანანო ბაკურაძე
82 დაბნელება
ავტორი: დავით ბუხრიკიძე
სპორტი
86 მოახლოვდა და ჰა
ავტორი: გიო ახვლედიანი

ილუსტრაცია
ლია ბადრაძისა

ინტერვიუ

როგორ შევაფასოთ, რომ სადღაც არ ვიკარგებით

ბევრი რაღაც განადგურდა. მაგრამ, მაინც, ეს არის ქვეყანა, სადაც მეცნიერებას თავიდან კი არ ქმნი, უბრალოდ გინდა, რომ ბუსტი გაუკეთო, დაეხმარო. ტექნოლოგიური ინსტიტუტის იდეა 2 წლის წინ მატერიალიზდა, რათა ქვეყნის შიგნით შექმნილიყო რაიმე მსოფლიო დონის სამეცნიერო კვლევითი ოპერაცია. როგორც გემს სჭირდება ღუზა და შენობას მშენებლობის დროს – საფუძველი, ასევე განათლების სისტემაშიც გვჭირდება რაღაც, რაც დაასტაბილურებს მთელ ამ წამოწყებას.

სოფო გოგიშვილი
33.12

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი თემა

გოგონები სხვისი ცხოვრებით

„ჩემი ცხოვრება სკოლაში გაკვეთილების დროს ჩუმად შევსებულ დღიურებში დარჩა. ეს სხვისი ცხოვრებაა, სადაც შეცდომით ჩამსვეს. მე რა მინდოდა? აღარც მახსოვს, ალბათ, ბევრი რამე. ან არ ვიცი, ვერ მოვასწარი, ეს გამეგო.“
ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებში უმეტესობა არასრულწლოვანი გოგოა. დაქორწინების შემდეგ ისინი სწავლას აღარ აგრძელებენ. ზოგიერთი მათგანი სასკოლო განათლების საბაზო საფეხურსაც ვერ ამთავრებს. ადრეულ ასაკში ქორწინება ხშირად გოგონებს სრულფასოვანი განათლების საშუალებას ართმევს.

თათია ხალიანი
გ3.20

მთავარი თემა

შრომის გაკვეთილები

ყველაზე მეტად გეოგრაფია მიყვარს და კარგადაც ვსწავლობ – მითხრა გოგიმ, შავგვრემანმა, ჩაფსკვნილმა ბიჭმა და ახლად მოკრეფილი, ხასხასა ფერის, მსხვილი კიტრებით სავსე ტომარა მხარზე მოიგდო. გოგი რამდენიმე ათეულ მეტრში მდგარი ტრაქტორისკენ წავიდა, რომლის ძარაზეც ტომრებს ტვირთავდნენ, თუმცა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის მერე მოტრიალდა, – უფრო სწორად ვსწავლობდი, მე-9 კლასამდე, ახლა ოჯახს მიხმარება სჭირდება, სკოლას ხშირად ვაცდენ, გაკვეთილებსაც ჩამოვრჩი – სინანულის გამომხატველი ჟესტით მხრები ტომრიანად აიჩეჩა. – ასეა საჭირო.

ზურა ვარდიაშვილი
გ3.16

მიმოხილვა

NATO ვარშავის შემდეგ

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თითქმის 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში, დღეს NATO-ს ყველაზე მრავალრიცხოვან საფრთხეებსა და გამოწვევებთან უწევს გამკლავება. ერთი მხრივ, ეს არის რუსეთი, საიდანაც მომავალ საფრთხეზე ალიანსის წევრები უკვე ღიად საუბრობენ, მეორე მხრივ კი – კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში. სირთულეები და უთანხმოება არსებობს თავად ევროპის პოლიტიკურ სცენაზე და აშშ-შიც, სადაც NATO-ს კრიტიკა სულ უფრო ხმამაღალა ისმის.

ლევან ახალაია
გ3.06

მთავარი თემა

სკოლა და თემი – ურთიერთობა, პრობლემები, გამოწვევები

საქართველოში სკოლის მართვის მოდელი მშობლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს, თუმცა დარგის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს ჩართულობა, ხშირ შემთხვევაში, ფორმალურია.

სალომე გორგოძე
გ3.68

ბაჰემო

აქტივიზმის მწვანე ფერი

როგორია თანამედროვე „მწვანე აქტივიზმი“ საქართველოში? რამდენად ჰგავს ან განსხვავდება პროცესები ჩვენს მეზობელ ქვეყნებში? რას მიაღწიეს მწვანე თუ ურბანული გარემოს დამცველებმა, რა სჭირდებათ იმისთვის, რომ „მწვანე დემოკრატიას“ მიაღწიონ?

ეკა მაღალდაძე
გ3.38

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანანო ბაკურაძე
#FDCannes69

უკვე მეშვიდე წელია, რაც კანის კინოფესტივალს ვესწრები და აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ წელს უსაფრთხოების ზომები საგრძნობლად გამკაცრებული იყო. ჯარი, სპეცრაზმი, ჟანდარმერია და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიცია ერთთდროულად იცავდა ფესტივალის ტერიტორიას და ზოგადად მთელ ქალაქს.

გიო ახვლედიანი
მოახლოვდა და ჰა

მოთავდა ეს ამბავიც. მიწყდა წლევანდელი საკლუბო სეზონის უკანასკნელი კანონადა. თასი წაიღო ისევ სევილიამ და თასი ასევე, კვლავ წაიღო მადრიდის რეალმა. უამრავი ამათზე არანაკლებ საინტერესო საფეხბურთო ამბავიც მოხდა და ორომტრიალიც იყო და დრამებიც, კარს მოგვადგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი.

ლევან ბერძენიშვილი
ფენტეზი ჩვენი არსობისა

ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკას შორის დიდი სხვაობაა. სამეცნიერო ფანტასტიკაში ის რეალობაა გადმოცემული, რომელიც მეცნიერების განვითარების ნიადაგზე ამა თუ იმ სამყაროში შეიძლება დადგეს – ძირითადად, ჩვენი, ადამიანების, დედამიწის მკვიდრთა მონაწილეობით. ამ ფონზე ფენტეზის აბსოლუტურად არ აინტერესებს მეცნიერება.

> ფშავ-ხევსურეთში რაგბი ავიტანეთ. ექვსი დღე კარვებში ვცხოვრობდით, ექსპედიცია გადავიღეთ და 37 წუთში მოვაქციეთ. გვინდოდა, გვეჩვენებინა, თუ როგორ მიიღო მთამ რაგბი ...

ლევან ჯობავა
მინდა რაგბელი გამოვიდე

ეროვნული ნაკრების კვართი ლამის კოჭებამდე სწვდებოდა, იჯდა გუდრუხის სკოლის ორსართულიანი ხის შენობის კიბეებზე, 7-8 წლის ბუთხუზა ბიჭი, ქართული ნაგაზივით დინჯი, დიდი თათებითა და სევდანარევი ლურჯი თვალებით. ლუკამ იმ დღეს პირველად ნახა ოვალური ბურთი.

ბლოგი

ლუკა კოდუა
საზღვართან

ნუ მივცემთ საშუალებას პოლიტიკურ ფიგურებს, გვითხრან, რომ რაკი „ასეთი ექსცესები სულ ხდებოდა", „ამის პოლიტიზება არ შეიძლება". სხვა რა უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა, თუ არა ადამიანის სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წიგნიერების ევოლუცია

ლევან ბერძენიშვილი

გამომცემლობა „არტანუჯი"

ლიბერალი

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის"
მეორე წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NATO ვარშავის შემდეგ

ლევან ახალაია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თითქმის 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში, დღეს NATO-ს ყველაზე მრავალრიცხოვან საფრთხეებსა და გამოწვევებთან უწევს გამკლავება. ერთი მხრივ, ეს არის რუსეთი, საიდანაც მომავალ საფრთხეზე ალიანსის წევრები უკვე ღიად საუბრობენ, მეორე მხრივ კი – კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში. სირთულეები და უთანხმოება არსებობს თავად ევროპის პოლიტიკურ სცენაზე და აშშ-შიც, სადაც NATO-ს კრიტიკა სულ უფრო ხმამაღლა ისმის. ასეთი ფონი ივლისში ვარშავის სამიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. 28 მოკავშირის გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული როგორც თავად ალიანსის, ისე მთლიანად ტრანსატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების მომავალი. თუ წლების განმავლობაში მსგავსი სამიტებისგან მხოლოდ სიმბოლურ ცვლილებებს ელოდებოდნენ, ახლა, როდესაც მსოფლიო გაცილებით საშიშია, NATO-ს აქვს შანსი, ახალი, თამამი პოლიტიკური თუ სამხედრო ვალდებულებები აიღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგიდა და აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება

NATO-ს სამომავლო სტრატეგიის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უკვე გამოკვეთილია. 12 მაისს ბუქარესტიდან 180 კილომეტრში მდებარე პატარა სოფელ დევესელუში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი კომპლექსი ამუშავდა. ეს სამხედრო ობიექტი „ეგიდის" სახელით ცნობილი სისტემის ნაწილია. მისი დანიშნულება ალიანსის წევრი სახელმწიფოების, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ მდებარე ქვეყნებიდან მომავალი, შესაძლო, ბირთვული საფრთხისაგან დაცვაა. ყოველ შემთხვევაში, ბრიუსელში ასე ამბობენ. ოფიციალური ინფორმაციით, სისტემა შედგება ევროპის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში მდებარე რადარებისგან, რომლებიც ბალისტიკური რაკეტის გაშვებას დააფიქსირებენ. „ანტისარაკეტო ფარის" ნაწილია ასევე მძლავრი რადიოლოკაციური სადგური, რომელიც თურქეთში განალაგეს. რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსები ხმელეთთან ერთად აშშ-ის ფლოტის შემადგენლობაში შემავალ, ესპანეთის სანაპიროსთან მოდრეიფე 4 ხომალდზეა დამონტაჟებული, ხოლო სამეთაურო პუნქტი გერმანიაში, ქალაქ რამშტაინში ამერიკულ ავიაბაზაზე გაიხსნება. სისტემა სრულად 2020 წელს უნდა ამუშავდეს. კრემლში დაჟინებით ამტკიცებენ, რომ „ეგიდა" რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. რუსი სამხედრო ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მითიური ზევსის ფარ „ეგიდას" მსგავსად, ანალოგიური სახელწოდების რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გამოყენებაც არამხოლოდ თავდაცვის მიზნით იქნება შესაძლებელი. რუსეთის სამხედრო უწყებაში საპასუხო ზომების მიღებისა და პოტენციური საფრთხის „ნეიტრალიზაციის" პირობა უკვე დადეს. ევროპაში „რაკეტსაწინააღმდეგო ფარის" ეფექტიანობაში უკვე დღესაც კი ბევრს ეპარება ეჭვი, თუმცა კრიტიკოსებიც თანხმდებიან, რომ ეს სისტემა მომავალში, რუსეთთან პოლიტიკური კინკლაობის დროს, ბევრჯერ გახდება ვაჭრობის საგანი. კიდევ ერთი გეგმა, რომელიც რუსეთში არანაკლებ შეშფოთებას იწვევს, NATO-ს აღმოსავლეთ ფლანგზე სამხედრო ნაწილების დისლოცირებას გულისხმობს. ჯერ საუბარია დაახლოებით 4000 ჯარისკაცზე. ისინი აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში გაემგზავრებიან. მთავარი პირობა ის არის, რომ ამ ბატალიონების შემადგენლობაში სხვადასხვა ეროვნების სამხედროები იმსახურებენ და მათი როტაცია პერიოდულად მოხდება. ეს ერთი მხრივ, სიმბოლურად მოკავშირეთა ერთიანობას გამოხატავს და მეორე მხრივ, როგორც ბრიუსელში ამტკიცებენ, არ ეწინააღმდეგება NATO-რუსეთის 1997 წლის შეთანხმებას. კონკრეტულად, რომელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე განლაგდებიან NATO-ს ჯარისკაცები, ივლისში ვარშავაში გახდება ცნობილი.

სავარაუდოდ, ასევე პოლონეთის დედაქალაქში უნდა გადაწყდეს, ღირს თუ არა აღმოსავლეთ ფლანგზე სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში მყოფი დანაყოფების გაგზავნა. როგორც „Financial Times"-თან ინტერვიუში ალიანსის სამხედრო მაღალჩინოსნების ნაწილი ამბობს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა კალინინგრადში პოზიციები გაამყარა, ეს მიზანშეწონილი აღარ არის, რადგან შესაძლო თავდასხმის დროს ჯარისკაცები ვერ მოასწრებენ რეაგირებას და დაუცველები იქნებიან. სავარაუდოდ, სწორედ ამ ხარვეზის გამო გადაწყდა NATO-ს აღმოსავლეთ საზღვრებთან როტაციული ძალების დისლოცირება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება სწრაფი რეაგირების ძალების სამეთაურო პუნქტების სტრუქტურის ისე ჩამოყალიბება, რომ ბრძანების გაცემა მაქსიმალურად სწრაფად ხდებოდეს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რუსეთიდან მომავალ საფრთხეზე, როგორც ჩანს, კითხვები უკვე აღარავის აქვს. მეტიც, როგორც მაისის ბოლოს ბრიუსელში გამართული მინისტერიალის შემდეგ გახდა ცნობილი, მოკავშირეები რუსეთის პოტენციურ კიბერთავდასხმებთან ბრძოლას ევროკავშირთან ერთად აპირებენ. ეს იმ პირობებში, როდესაც თურქეთისა და საბერძნეთის სპეცსამსახურები ინფორმაციის გაცვლაზე ამ დრომდე სასტიკ უარს ამბობდნენ.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამ და შემდგომმა აგრესიამ დონბასში, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო იმას, რომ NATO-ს „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ დაკარგული მნიშვნელოვანი სამხედრო ფუნქცია დაუბრუნდა. მთავარი კითხვა კი მაინც ფინანსებს ეხება. დასთანხმდებიან თუ არა მოკავშირეები ფინანსური ტვირთის თანაბარ გაზიარებას. დადგენილ წესს, რომელიც თავდაცვის სფეროზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტის ხარჯვას ითვალისწინებს, ამჟამად ალიანსის მხოლოდ 5 წევრი ასრულებს.

ნომერი 29 – მონტენეგრო

სამხედრო კუთხით გააქტიურების გარდა, ვარშავის სამიტის წინ NATO-მ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებაც მიიღო. კერძოდ, 19 მაისს ბრიუსელში ორგანიზაციის რიგებში 29-ე წევრად მონტენეგროს მიღების შესახებ პროტოკოლს მოაწერეს ხელი. ფაქტობრივად, რჩება მხოლოდ ფორმალური მხარე – მოკავშირე ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში ამ დოკუმენტის რატიფიცირება, რასაც, როგორც წესი, დაახლოებით ერთი წელი სჭირდება. ბოლოს ალიანსი 2009 წელს გაფართოვდა, მაშინ მას ალბანეთი და ხორვატია შეუერთდნენ. ცხადია, რომ ჩერნოგორიეს რესპუბლიკის, იმავე მონტენეგროს, 2-ათასკაციანი არმია, NATO-ს სამხედრო ძლიერებას დიდად ვერაფერს შეჰმატებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბალკანურ ქვეყანას პრობლემები არც ერთ სფეროში არ აკლია. პირველი, რაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, აშკარად თვალში გეცემათ, ეს მონტენეგროს პრემიერ-მინისტრია. 2 მეტრის სიმაღლის, 54 წლის მილო ჯუკანოვიჩს ქვეყნის მართვის სადავეები, ფაქტობრივად, 1991 წლიდან უჭირავს. ამ მაჩვენებლით, ევროპაში მას

მხოლოდ ბელორუსის პრეზიდენტი სჯობნის. ის ყოველთვის ახერხებდა, საჭირო დროს საჭირო ამპლუა მოერგო. იყო ახალგაზრდა კომუნისტი, ნაციონალისტი, სერბეთიდან ჩერნოგორიეს გამოყოფის იდეის მთავარი სულისჩამდგმელი, სულ ბოლოს კი მონტენეგროს ევროკავშირსა და NATO-სთან დაახლოების საქმეში დასავლეთის ერთგული პარტნიორი. ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ჯუკანოვიჩი ქვეყანას კერძო საკუთრებასავით ექცევა. მას და მისი მთავრობის წევრებს ნეპოტიზმსა და კორუფციაში ხშირად სდებენ ბრალს. თავად პრემიერი ამას უარყოფს. საინტერესოა ისიც, რომ მონტენეგროს მოსახლეობას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციაზე არაერთგვაროვანი მოსაზრებები აქვს. მართალია, უმრავლესობა მხარს უჭერს ალიანსში გაწევრებას, თუმცა ვერ იტყვი, რომ ეს მყარი უმრავლესობაა. 1999 წელს NATO-ს ავიაიერიშები ბევრ ჩერნოგორიელს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს. შარშან პოდგორიცეში ანტისამთავრობო აქციები გაიმართა, რომელზეც ჯუკანოვიჩის გადადგომა მოითხოვეს, თუმცა გამოცდილმა პრემიერმა მთავრობის წინააღმდეგ აგორებულ საპროტესტო მუხტს ოსტატურად შეუცვალა მიმართულება. ბოლოს ყველაფერი სერბ ნაციონალისტებსა და რუსეთს დაბრალდა, რომლებსაც მონტენეგროს NATO-სთან დაახლოება არ სურთ. მოვლენების ასეთ ჭრილში ჩვენება, ამ დროს, როგორც ჩანს, მოსკოვშიც ბევრს აწყობდა.

ასეთი პრობლემების მქონე ქვეყნის ალიანსში ყოფნა ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, თუმცა როდესაც პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე მიდგა საქმე, ბრიუსელში მიიჩნიეს, რომ ჩერნიგორიეს რესპუბლიკის მიღება, NATO-ს ქოლგის ქვეშ მოხვედრის მსურველ სხვა ასპირანტ სახელმწიფოებთან შედარებით, დღეს „ნაკლებ ზიანს“ მოიტანდა. პრინციპში ჯერ ეს ვარაუდი მართლდება.

რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ალიანსმა ახალი წევრების ძებნა ჩრდილოეთითაც დაიწყოს. აპრილის ბოლოს ფინეთში გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაკვეთით წარმოებული კვლევა, რომლის ავტორებიც ამბობენ, რომ NATO-ში შესვლის შემთხვევაში ფინეთის უსაფრთხოება უკეთ იქნება დაცული. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავების რისკიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზრდება და დოკუმენტში ამის შესახებაც არის ნათქვამი, თუმცა ისიც ცხადია, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ ფინეთსა და ასევე შვედეთშიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების პერსპექტივაზე დისკუსია უფრო აქტიურად მიმდინარეობს. ამ ქვეყნებს შორის არსებითი სხვაობა თავდაცვით პოტენციალშია. თუ ფინეთში, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, იმედი აქვთ, რომ საფრთხეს გარკვეული დროით მაინც დამოუკიდებლად გაუმკლავდებიან, შვედეთში, რომელიც ომში 1814 წლის შემდეგ არ ჩაბმულა, შეჩვეულები არიან NATO-ს დახმარებას. ამიტომ დღეს შვედეთში უკვე ბევრს უჩნდება კითხვა, მიიღებს თუ არა ალიანსის არაწევრი სახელმწიფო უსაფრთხოების სათანადო გარანტიას.

ბრიუსელში ამბობენ, რომ თუ რომელიმე ამ ქვეყანას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის სურვილი გაუჩნდება, ეს საკმაოდ იოლი იქნება, რადგან ორივე სახელმწიფო NATO-სთან უკვე წლებია მჭიდროდ თანამშრომლობს. მიუხედავად ამისა, როგორც მაისის შუა რიცხვებში გამოჩნდა, შვედი პოლიტიკოსები გადამწყვეტი ნაბიჯისთვის ჯერ მზად არ არიან, ხოლო ფინეთში მოსახლეობის უმეტესობა კვლავ NATO-ში შესვლის წინააღმდეგია.

NATO-ს ღია კარი და საქართველო

NATO-ს გაფართოების თემა ყოველთვის მწვავე რეაქციას და დისკუსიებს იწვევდა. ალიანსს, რომელიც თავდაპირველად სულ 12 სახელმწიფოს აერთიანებდა, ყველაზე მეტი წევრი „ცივი ომის" დასრულებისა და „ბერლინის კედლის" ნგრევის შემდეგ დაემატა. წლების მერე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რუსეთის მიმართ რადიკალურად შეცვლილი დამოკიდებულება და ადაპტირებული სტრატეგია, სადაც მოსკოვი აღარ არის პარტნიორი და ის „საფრთხედ" განიხილება, ერთი მხრივ, თითქოს ხელს აძლევს NATO-ს მოკავშირე სახელმწიფოებს – საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას, რომლებიც ალიანსთან დაახლოებას ცდილობენ, თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან რისკებსაც შეიცავს.

საქართველოში, სადაც რუსეთის აგრესია უცხო ხილი არ არის, NATO-ს კარის გაღებას ბუქარესტის სამიტის შემდეგ მოუთმენლად ელოდებიან, როგორც IRI-სა და NDI-ს მიერ 2016 წლის თებერვალ-მარტში წარმოებული კვლევებიდან ირკვევა, NDI-ის გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს ალიანსში გაწევრება რესპონდენტთა 68 პროცენტისთვის არის მისაღები. სამი წლის წინ ანალოგიური მოსაზრება გამოკითხულთა 80 პროცენტს ჰქონდა. IRI-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ის კვლევაში კი საქართველოს NATO-ში შესვლას 55 პროცენტი უჭერს მხარს, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში ასე 63 პროცენტი ფიქრობდა.

ამ ფონზე, 24 მაისს ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე გამართულ მასშტაბურ სამხედრო წვრთნას, გარდა პრაქტიკული მიზნებისა, ცხადია, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. საქართველოში ჩამოიტანეს ამერიკული მძიმე სამხედრო ტექნიკა, რომელიც მოგვიანებით დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზეც გამოჩნდა. 26 მაისს თავისუფლების მოედანზე ჩაიარეს ამერიკელმა და გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცებმაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 23 მაისს საქართველოს შენაერთი, NATO-ს სწრაფი რეაგირების ძალების, სრულუფლებიანი წევრი გახდა. NATO-ში ქართველი ჯარისკაცების მომზადებასთან დაკავშირებით კითხვები უკვე დიდი ხანია, არ აქვთ, თუმცა, როდის გახდება „ღირსეული პარტნიორი" – საქართველო, NATO-ს წევრი კვლავ უცნობია.

საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით ალიანსში კონსენსუსი არ არსებობს და ამას აღიარებენ როგორც საქართველოს მთავრობა, ისე NATO-ს მაღალჩინოსნებიც. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი რუსეთს აქვს ოკუპირებული. ამ მოსაზრების ავტორებს ყველაზე ხშირად არგუმენტად NATO-ს 1995 წლის კვლევა მოჰყავთ. დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოებმა, სადაც არსებობს ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება ან ტერიტორიული დავა, ეს პრობლემები მშვიდობიანი გზით უნდა მოაგვარონ და ამას ექნება გავლენა ქვეყნის ალიანსში მიღებაზე, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, რეალობა რადიკალურად განსხვავებულია. არსებობს უამრავი მაგალითი, რომლითაც საპირისპიროს მტკიცება შეიძლება. 1955 წელს NATO-ში ორად გაყოფილი გერმანიის მხოლოდ ერთი ნაწილი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მიიღეს. ამ გადაწყვეტილებამ არათუ პრობლემები შეუქმნა ალიანსს, არამედ ხელი შეუწყო ომის შემდგომ გერმანიის განახლებას და ქვეყნის მომავალი გაერთიანებისთვის მყარი ნიადაგიც შექმნა. ტერიტორიული დავა მოკავშირეთა შორის დღემდე გრძელდება. ყველაზე თვალსაჩინო მათ შორის გიბრალტარს უკავშირდება. ეს კუნძული ესპანეთმა ჯერ კიდევ 1713 წელს გადასცა ინგლისს, თუმცა ბრიტანეთის ზღვის იქითა ტერიტორიის მომავლის შესახებ უშედეგო მოლაპარაკებები დღესაც პერიოდულად იმართება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კიდევ ორი წევრი ქვეყანა – საბერძნეთი და თურქეთი ამ დრომდე ვერ თანხმდება საზღვაო და საჰაერო საზღვარზე, რის გამოც რამდენჯერმე შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხეც კი გაჩნდა. სასაზღვრო ზოლი არის ხორვატიისა და სლოვენიის მრავალწლიანი დავის მიზეზიც.

ასეა თუ ისე, აპრილის ბოლოს NATO-ში აშშ-ის ელჩმა დუგლას ლუტმა, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთხელ გადაასხა ცივი წყალი მათ, ვინც ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ს ითხოვდნენ და განაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის ალიანსში მიპატიჟებაზე უახლოეს რამდენიმე წელიწადში მოკავშირეები, სავარაუდოდ, ვერ შეთანხმდებიან. უკვე მაისი ბოლოს კი თბილისში უსაფრთხოებისა და თავდაცვის კონფერენციაზე გამოსვლისას NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ მხოლოდ ის განაცხადა, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ „NATO-ში მეტი საქართველო იქნება". ასეთ ვითარებაში სულ უფრო მეტად საინტერესო ხდება NATO-ს წევრი და არაწევრი ქვეყნების შესაძლო ალიანსის პერსპექტივა.

ინტერმარიუმი

ერთ-ერთი ასეთი იდეა პოლონეთის მარშარლ იოზეფ პილსუდსკის ეკუთვნის. 1920-იან წლებში ის გამოდიოდა ინიციატივით, შეიქმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ერთგვარი კოალიცია. თეორიულად, ასეთი ალიანსი ბალტიისა და შავ ზღვას შორის მდებარე ქვეყნებს გააერთიანებდა. კერძოდ, საუბარია იმ სახელმწიფოებზე, რომლებშიც მიაჩნიათ, რომ რუსეთის პოლიტიკა მათ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის. ეს კონცეფცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ ერთხელ გახდა დისკუსიის საგანი. „ინტერმარიუმს" ხშირად ახსენებდა ან გარდაცვლილი ლეხ კაჩინსკი, ხოლო უკრაინაში რუსეთის აგრესიული ქმედებების ფონზე და მას შემდეგ, რაც პოლონეთის ხელისუფლებაში იაროსლავ კაჩინსკის პარტია მივიდა, პოლონეთის პრეზიდენტმა, ანჯეი დუდამ მსგავსი გაერთიანების ჩამოყალიბება საგარეო პოლიტიკის ლამის მთავარ პრიორიტეტადაც კი დაასახელა. მეტიც, პოლონეთის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა კიდეც. 2016 წლის აპრილში პოლონეთის პრეზიდენტი 13-წლიანი პაუზის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ეწვია ბულგარეთს, სადაც კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთს აგრესიაში დასდო ბრალი და NATO-ს აღმოსავლეთ ფლანგზე გაძლიერებას ევროპის უსაფრთხოებისათვის გადამწყვეტი უწოდა. თუმცა, სავარაუდოდ, ბულგარეთთან ურთიერთობების გაღრმავება ვარშავის უფრო ფართო გეოპოლიტიკური გეგმის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც, სავარაუდოდ, რუსეთთან მოქიშპე თურქეთთან ურთიერთობის გაღრმავებასაც ითვალისწინებს.

როგორც გერმანელი პოლიტოლოგი ანდრეას უმლანდი ერთ-ერთ ბოლო სტატიაში წერს, განახლებულ „ინტერმარიუმში" შესაძლოა, გაერთიანდნენ როგორც NATO-ს წევრი, ისე არაწევრი ქვეყნები. შეთანხმების მიზანი კი ე.წ. „ჰიბრიდულ" საფრთხეებთან ერთობლივად გამკლავება იქნება. პროექტის მონაწილეები სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გარდა, კოორდინირებულად დააწესებდნენ ეკონომიკურ თუ სხვა სახის სანქციებს, შეიმუშავებდნენ ენერგეტიკული უსაფრთხოების საერთო პოლიტიკას და ერთად შეეწინააღმდეგებოდნენ პროპაგანდას. გერმანელი პოლიტოლოგი ასეთი ბლოკის წევრებად ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს, პოლონეთს, რუმინეთს, ბულგარეთს, მოლდოვას, უკრაინას, თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანსაც მოიაზრებს. უმლანდი მიიჩნევს, რომ ასეთი ალიანსი როგორც ამ სახელმწიფოების, ისე NATO-სა და ევროკავშირის ინტერესებშიც შედის, რადგან ეს აღმოსავლეთ საზღვრებზე ვითარების სტაბილიზაციას შეუწყობდა ხელს, ისე, რომ დასავლეთი პოსტსაბჭოთა სივრცეზე ზედმეტად არ იაქტიურებდა. როგორც ყოველთვის, ამ იდეასაც ჰყავს უამრავი მოწინააღმდეგე, პოლიტოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ პოლონეთის ეკონომიკური თუ სხვა რესურსები არ არის საკმარისი ასეთი ამბიციური პროექტის რეალიზაციისთვის. ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ ევროპის გარშემო მსგავსი დისკუსიის წამოწყება უკვე ნიშნავს იმას, რომ მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ეს რეგიონი და იქ განვითარებული მოვლენები აქტუალური იქნება და, გარკვეულწილად, განსაზღვრავს, როგორც თავად კონტინენტის, ისე მთლიანად ტრანსატლანტიკური სივრცის მომავალსაც.

ივლისში, როდესაც NATO-ს წევრები ვარშავაში შეიკრიბებიან, მათ რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ. ამოცანა – ალიანსის რეფორმირება და ევროპის კარზე მომდგარი კრიზისების შემსუბუქებაა, ხოლო მიზანი იმის ჩვენება, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შესწევს ძალა, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი შეასრულოს.

ფოტო: ლევან ხარბედია

როგორ შევაფასოთ, რომ სადღაც არ ვიკარგებით

ინტერვიუ ფიზიკოს გია დვალთან

რამდენიმე კვირის წინ საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის მთავარი მიზანი ქვეყნის კვლევითი პოტენციალის განვითარება და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებაა. რა გავლენა ექნება 500-მილიონდოლარიან ინსტიტუტს საქართველოს განათლების სისტემასა და კვლევით პროცესებზე, რა მიმართულებით შეუწყობს ხელს პროექტი განათლების სისტემის რეფორმას, შეკითხვებზე პასუხს გია დვალი გაგვცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცით, რომ პირველ რიგში ტექნოლოგიური ინსტიტუტის პრეზენტაციის გამო ხართ ჩამოსული საქართველოში. მოკლედ რომ აღწეროთ, რას გულისხმობს ეს პროექტი და რატომ არის ქართული რეალობისთვის მნიშვნელოვანი?

საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო დონის მეცნიერული ტრადიციები. რა თქმა უნდა, მერე ძალიან მძიმე კრიზისი გამოვიარეთ. ბევრი რაღაც განადგურდა. მაინც, ეს არის ქვეყანა, სადაც მეცნიერებას თავიდან კი არ ქმნი, უბრალოდ გინდა, რომ ბუსტი გაუკეთო, დაეხმარო. ტექნოლოგიური ინსტიტუტის იდეა 2 წლის წინ მატერიალიზდა, რათა ქვეყნის შიგნით შექმნილიყო რაიმე მსოფლიო დონის სამეცნიერო კვლევითი ოპერაცია. როგორც გემს სჭირდება ღუზა და შენობას მშენებლობის დროს – საფუძველი, ასევე განათლების სისტემაშიც გვჭირდება რაღაც, რაც დაასტაბილურებს მთელ ამ წამოწყებას. ტექნოლოგიური ინსტიტუტი ვერ იქნება დიდი დივერსიფიკაციის მქონე, ვერ მოიცავს უამრავ დარგს, მაგრამ აუცილებად უნდა იყოს მსოფლიო დონის. სხვანაირად ეს იქნება რესურსის გაფლანგვა. აუცილებელია, მოქმედებდეს საერთაშორისო წესებით, საერთაშორისო მხარეების თანამონაწილეობითა და მსოფლიოში აპრობირებული სტანდარტებით. აქ ველოსიპედის გამოგონებას არავინ აპირებს. ეს სტანდარტი ეფუძნება აკადემიურ თავისუფლებას და გარეშე რეფერირებას. ცოტა უფრო დაბალი ხარისხით გაკეთებას, ჯობია, საერთოდ არ შევეხოთ ამ ამოცანას. ხარისხზე კომპრომისი არ შეიძლება. მთავარი ამოცანაა ის, რომ ამ პროექტის გარშემო აეწყოს საგანმანათლებლო სტრუქტურა.

გარდა იმისა, რომ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში კვლევითი პროცესები დაიძვრება, როგორ იმოქმედებს ეს საუნივერსიტეტო სივრცეზე საქართველოში? რა ტიპის გავლენა ექნება ამ პროექტს განათლების სისტემაზე?

ამოცანა ზუსტად ეგაა. ეს კვლევითი მიმართულება იდენტიფიცირებული იყო, როგორც სიმსივნის ადრონული თერაპიის კვლევა, თუმცა უმთავრესი დანიშნულება არაა, რომ კიდევ ერთი სამედიცინო პერსპექტივა შევქმნათ. აქცენტი უფრო მეტად აღებულია საგანმანათლებლო კვლევით დანიშნულებაზე. სამედიცინო გამოსავალი მეორადი პროდუქტია. ჩვენი, როგორც მეცნიერების, ამოცანაა, საქართველოში კვლევითი მიმართულება განვავითაროთ. ამ პროექტს მრავალმხრივი გავლენა ექნება განათლების სისტემაზე. პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში იარსებებს პრეცედენტი საერთაშორისო თანამონაწილეობით შექმნილი საკვლევი საგანმანათლებლო ინსტიტუტის.

საერთაშორისო თანამონაწილეობაში გარე რეფერირების წესით შერჩეული პროფესორები იგულისხმებიან?

გარეშე რეფერირება ესაა მეთოდი, რომლის გარეშეც ვერც ერთი ინსტიტუცია ვერ იმოქმედებს. ეს მაგიური სიტყვები არაა, მარტივ რაღაცას ნიშნავს. იმისათვის, რომ მოცემულ ინსტიტუტს არ მოუწიოს თავის ტვინში მოხარშვა, იქ რაღაც კრიტერიუმი უნდა იყოს გამოსარკვევად, თუ ვინ აკეთებს ღირებულს, და ვინ ნაკლებად ღირებულს. ამ კრიტერიუმით უნდა შეირჩნენ და დაწინაურდნენ პროფესორები, ამ პრინციპით უნდა გაიხსნას დარგი. გარეშე რეფერირება არის მეთოდი, როდესაც შენ იყენებ საერთაშორისო თანამეგობრობის გამოცდილებას და უკვე არსებულ ექსპერტიზას იმისათვის, რომ საკუთარი კვლევები შეაფასო.

აქვს ალტერნატივა ამ სისტემას?

არ აქვს ალტერნატივა. ეს იგივეა, ვიმსჯელოთ, აქვს თუ არა ალტერნატივა მანქანას, რომელსაც მოვაცლით ბორბლებს. შეგვიძლია ვიკითხოთ, შეიძლება, თუ არა, რომ ფეხბურთი ვითამაშოთ ფეხების გარეშე. მაშინ აღარ იქნება ფეხბურთი. გარკვეული ტიპის თამაშის წესები არსებობს ამ სისტემაშიც. თუ გვინდა, რომ იყოს მოქმედი ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუციების პრინციპით, უნდა იყოს გარეშე რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერირებაზე დაფუძნებული სისტემა. ალტერნატივა არის ერთადერთი, რომ არ გავაკეთოთ ეს სისტემა და გექნება ის, რაც გექნება.

მთავარი არგუმენტი, რასაც გარეშე რეფერირების საკითხს უპირისპირებენ ხოლმე, ესაა ფინანსები. იმისათვის, რომ პროფესორმა გარეშე რეფერირება გაიაროს, საჭიროა, ჩართული იყოს კვლევით პროცესებში და კვლევითი პროცესების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა საკმაოდ ძვირი ჯდება. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით ეს პროექტი უტოპიურია. თქვენ როგორ ხედავთ ამ საკითხს?

ეს კითხვა უნდა გავშალოთ. ერთი საკითხია, გვინდა თუ არა გავავითაროთ კვლევები და მეცნიერება, მეორე კი – შეგვიძლია თუ არა ამის განვითარება ისე, რომ არ დავეყრდნოთ გარეშე რეფერირებას. დავიწყოთ პირველი კითხვიდან თუ კვლევითი პროცესი უნდა განვითარდეს, ამას ფინანსები ყოველთვის სჭირდება. ეს სრულიად დამოუკიდებელია იმ კითხვისგან, თუ როგორი სისტემით გვინდა, რომ ეს წარვმართოთ. თუ სტრუქტურის შექმნას ვაპირებთ, ფული მაინც უნდა ჩავდოთ. ფულს თუ არ ჩადებ, გამოდის, რომ არ აპირებ კვლევებისა და მეცნიერების განვითარებას. არგუმენტად შეიძლება განვიხილოთ მოსაზრება, რომ არ განვავითაროთ მეცნიერება იმიტომ, რომ ფული სჭირდება?

ერსებობს ქვეყანაში საკმარისი ფინანსური რესურსი? ხშირად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი გამოთქვამს ხოლმე მოსაზრებას, რომ საქართველო არ არის მზად ამ პროცესის დასაწყებად.

ესაა უკანმოუხედავად შეზღუდული აღქმა მოვლენების. მსოფლიო სტატისტიკა აჩვენებს, რომ ყველაფერი პირიქითაა. კვლევების განვითარებას მოჰყვება ეკონომიკური ბუსტი. მეცნიერების განვითარების გარეშე არაფერი არ ვითარდება. ვიღებთ რაღაც, თავის თავში ჩაკეტილ, განუვითარებელ საზოგადოებას.

განვიხილოთ, შემთხვევა, თუ არ გვინდა გარეშე რეფირირებით სამეცნიერო პროცესების კონტროლი. გარეშე რეფერირება თუ არ გვინდა, გამოდის, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით, ვინ რა უნდა გვასწავლოს. რატომ უნდა ვკითხოთ აზრი ვიღაც ჰარვარდის, ან სხვა წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორს. ისევ თვალსაწიერის უაღრესი შეზღუდულობა და აროგანტულობაა. რად უნდა ლაპარაკი, რომ ეს გზა არსად არ მიდის. ისევ ჩვენს თავში უნდა ჩავიკეტოთ და ჩვენს ტვინებში მოვიხარშოთ.

მეორე საკითხს რომ დავუბრუნდეთ, შეგვიძლია თუ არა განათლების სისტემის განვითარება გარე რეფერირების გვერდის ავლით?

განვიხილოთ, შემთხვევა, თუ არ გვინდა გარეშე რეფირირებით სამეცნიერო პროცესების კონტროლი. გარეშე რეფერირება თუ არ გვინდა, გამოდის, რომ ყველაფერი ვიცით, ვინ რა უნდა გვასწავლოს. რატომ უნდა ვკითხოთ აზრი ვიღაც ჰარვარდის, ან სხვა წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორს. ისევ თვალსაწიერის უაღრესი შეზღუდულობა და აროგანტულობაა. რად უნდა ლაპარაკი, რომ ეს გზა არსად არ მიდის. ისევ ჩვენს თავში უნდა ჩავიკეტოთ და ჩვენს ტვინებში მოვიხარშოთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა, ლადო პაპავამ, ისევე, როგორც რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ განაცხადეს, რომ გარე რეფერირება მოითხოვს თანხას და ეს ძალიან ძვირი ჯდება. რამდენად მართებულია ეს დებულება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაა არასწორი. გარეშე რეფერირება არ მოითხოვს თანხას. გარეშე რეფერირება არის მეცნიერული კვლევის შეფასება სხვა მეცნიერების მიერ. ასე მუშაობს თანამედროვე სისტემა. მეცნიერები გამუდმებით აფასებენ ერთმანეთს, გარკვეულ გამოხმაურებებსა და შეფასებებს წერენ. ამაში ფულს არავინ იღებს. სამეცნიერო დარგში ვალდებულებაა, როცა შეფასებისთვის მოგმართავენ, გამონახო დრო საამისოდ. ესაა მეთოდი, როგორ შევაფასოთ, რომ სადღაც არ ვიკარგებით. გამოვიყენოთ გარეშე ექსპერტიზა იმისათვის, რომ სადღაც არ გადავიჩეხოთ. შენივე კოლეგებისგან შეგიძლია მიიღო დახმარება და კორექტირება გაუკეთო განვითარებასა და კურსს. ეს იმდენად აპრობირებული და ელემენტარული მეთოდია, რომ აღარ დავწვრილმანდები.

საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტებისადმი საერთაშორისო ინტერესი მინიმალურია. ძალიან ცოტაა სხვა და სხვა ფონდებთან თანამშრომლობის პრეცედენტები. თუ ამ სასწავლებელში გაჩნდებიან გარე რეფერირების წესით შერჩეული პროფესორები, რომელთაც ამ პროცესის შედეგად ტენუარის ხარისხი მიენიჭებათ, გაიზრდება თუ არა საერთაშორისო დონეზე ამ უნივერსიტეტისადმი ინტერესი და დაფინანსება?

ძალიან უცნაურად გამოიყურება მსოფლიოსთვის უნივერსიტეტი, რომელსაც არც ერთი ტენუირებული პროფესორი არ ჰყავს. ძალიან უცნაურია, რადგან ესე იგი აქ არ არსებობს აკადემიური ტენუარი და ეს თავისთავად პრობლემაა. საერთაშორისო პრესტიჟისთვის პრობლემაა. უნივერსიტეტი ფასდება პირველ რიგში პროფესორებით, ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი მათი აკადემიური პერსონალის ხარისხია.

ამ პროცესებში სახელმწიფოს როლი გასაგებია, მაგრამ როგორ შეიძლება თავად უნივერსიტეტების ჩართვა? შეუძლიათ თუ არა უნივერსიტეტებს, თავად იყვნენ ინიციატორები გარე რეფერირების პროცედურის დაწყების?

ეს პროცედურა უნივერსიტეტის კეთილ ნებაზეა დაფუძნებული, რადგან უნივერსიტეტებს აქვთ ავტონომია. კონცეფციის დანერგვა ძალიან რთული საკითხია. თავად უნივერსიტეტებმა უნდა აიღონ ინიციატივა იმისათვის, რომ თანამედროვე სისტემას დაუახლოვდნენ და მე არ მაქვს რეცეპტები, როგორ მივიდეთ იქამდე. უნივერსიტეტებმა თუ არ გამოიჩინეს ინიციატივა, მე ვერ ვხედავ როგორ შეიძლება დაინერგოს „უმაღლესი განათლების და მეცნიერების რეფორმის“ კონცეფციის დეტალები, მაგრამ ჩვენი (ამ კონცეფციის ავტორების) ხედვა დაფუძნებულია აქსიომებზე. შიგნიდან უნდა გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გარედან საერთაშორისო დახმარება მივიღოთ. უნივერსიტეტებს აქვთ მთელი პასუხისმგებლობა აღებული და ამ პასუხისმგებლობას ვერ გადააბარებენ სახელისუფლებო სტრუქტურებს. თუ არ კეთდება ეს რეფორმა, პირველ რიგში იმიტომ, რომ უნივერსიტეტებს არ უნდათ.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით და საუნივერსიტეტო სივრცეში გარე რეფერირების პროცედურის დაწყებისათვის საჭირო ნების არარსებობის შემთხვევაში, რა პერსპექტივები აქვს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს?

როცა გინდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის წევრი იყო და ბურთს თამაშობ ხელებით, ვერ შეუერთდები, ვერ გახდები მისი წევრი. ერთადერთი გამოსავალია, უნივერსიტეტებმა გააცნობიერონ ამ სისტემის მნიშვნელობა, თვითონ აიღონ პასუხისმგებლობა და გადადგან რაღაც ნაბიჯები დასავლური სისტემის მიმართულებით. ნებისმიერი პროცესი სადღაც მიდის, რაღაცას მიიღებ საბოლოო ჯამში, ალბათ, მაგრამ არა მგონია, მაგის ფუფუნება იყოს, რომ ველოდოთ, ასეთი ნაბიჯებით სად მივალთ. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალია, ან ერთ-ერთი, მაგრამ თავში ამაზე უფრო კრეატული გამოსავალი არ მომდის, რომ შიგნიდან პროფესურამ და ხელმძღვანელობამ გადაწყვიტოს ამ პროცესის დაძვრა. გარედან ვერავინ დააძალებს. როგორც ადამიანებს ვერ დაეხმარები, თუ მათ არ უნდათ, რომ დაეხმარო, ისე ვერ დაეხმარები უნივერსიტეტს.

ესაუბრა სოფო გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგა და ირაკლი მშობლებს ნათესების მორყვაში ეხმარებიან, სოფ. კარდენახი, მაისი 2016

შრომის გაკვეთილები

ზურაბ ვარდიაშვილი

„ბავშვებმა და მათმა მშობლებმა იციან, რომ განათლების მიღება არა მხოლოდ მათი უფლებაა, არამედ საშვი უკეთესი მომავლისაკენ – ბავშვებისა და მათი ქვეყნისათვის“.

ჰარი ბელაფონტე, გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ირაკლი სულაბერიძისა

ყველაზე მეტად გეოგრაფია მიყვარს და კარგადაც ვსწავლობ – მითხრა გოგიმ, შავგვრემანმა, ჩაფსკვნილმა ბიჭმა და ახლად მოკრეფილი, ხასხასა ფერის, მსხვილი კიტრებით სავსე ტომარა მხარზე მოიგდო. გოგი რამდენიმე ათეულ მეტრში მდგარი ტრაქტორისკენ წავიდა, რომლის ძარაზეც ტომრებს ტვირთავდნენ, თუმცა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოტრიალდა, – უფრო სწორად ვსწავლობდი, მე-9 კლასამდე, ახლა ოჯახს მიხმარება სჭირდება, სკოლას ხშირად ვაცდენ, გაკვეთილებსაც ჩამოვრჩი – სინანულის გამომხატველი ჟესტით მხრები ტომრიანად აიჩეჩა. – ასეა საჭირო.

კახეთი, გურჯაანის რაიონი, სოფელი კარდენახი. შუადღის 12 საათი. 16 წლის, მეათეკლასელი გოგი ჭანყოშვილი სკოლაში, გაკვეთილებზე მეცადინეობის ნაცვლად ოჯახის კუთვნილ ნაკვეთში მუშაობს. გოგის მსგავსად მშობლებს სამეურნეო საქმიანობაში უამრავი ბავშვი ეხმარება – რამდენი? თითქმის უმრავლესობა – მეტყვის მოგვიანებით კარდენახის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ანა სიბოშვილი.

გოგი ცდილობს, სკოლა ხშირად არ გააცდინოს, თუმცა, ბაღების სეზონზე, აპრილსა და მაისში ეს რთულია. ძირითადად, ნესვი, საზამთრო, კიტრი, პამიდორი მოჰყავთ. რომელსაც ბაზარში ყიდიან. — „ზოგჯერ დილით ძალიან ადრე, 5 საათზე მივდივარ ბაღში და მერე სკოლაში მისვლასაც ვასწრებ, ბოლო გაკვეთილებზე“.

გოგი მოჭიდავეა. რეგიონულ ჩემპიონატებში 14 მედალი აქვს მიღებული. სკოლის დამთავრებისას სამხედრო აკადემიაში ჩაბარებაზე ფიქრობს, ჯერჯერობით კი, მისი მთავარი ამოცანაა, მშობლებთან ერთად დათესოს, მოუაროს – მორწყას, შეიტანოს სასუქი, გამარგლოს, გათიბოს, ნიადაგი გააფხვიეროს. გაფურჩნოს, გასხლას, შეყელოს ვენახი, მიიღოს მოსავალი და შემდეგ შეძლებისდაგვარად სარფიანად გაყიდოს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N841 – ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ რამდენიმე თავს უთმობს სკოლის გაცდენის პირობებს:

ამ ბრძანების მიხედვით, „თუ მოსწავლე 1 სასწავლო წლის განმავლობაში, რომელიმე საგანში აცდენს საგნისთვის 1 სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებული საათების 1/5-ს, მოსწავლე ამ საგანს აბარებს ექსტერნატის ფორმით და მხოლოდ ასე გადადის შემდეგ კლასში“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გამოცდებს გოგი და მისი რამდენიმე მეგობარი შიშით ელოდებიან, რადგან თუ ვერ ჩააბარებენ, კლასში ჩარჩენა მოუწევთ, ცუდი აკადემიური მოსწრების გამო კი, გაკვეთილების მომზადებასაც ვერ ახერხებენ.

გოგის კლასელი ირაკლი ტურიაშვილი ოჯახის საქმეების პარალელურად ზოგჯერ დღიურ მუშადაც მუშაობს. მეზობელს, მეტსახელად ამცოს ეხმარება და ამისთვის დღეში 20 ლარს იღებს. „30 ლარადაც მიმუშავია, მაგრამ ფული აღარაა ხალხში – დანანებით მეუბნება ირაკლი – ეს ბაღები ნამდვილი ლატარიაა, ხან მოგაგებინებს, ხან წაგაგებინებს და ვალებში გადაგაგდებს. ხან მზისგან იწვება, ხან

ბავშვების ჩამორჩენა სწავლაში, გაკვეთილების გაცდენა და მუშაობა როგორც ოჯახში, ისე დაქირავებულ მუშახელად, საქართველოს მრავალ რეგიონში ჩვეულებრივი ამბავია. ამას განსაკუთრებულ მოვლენად არავინ აღიქვამს. სკოლა, თემი, ოჯახი, ბავშვები შეგუებულნი არიან აზრს, რომ ბავშვებმა უნდა იმუშაონ, თუნდაც ეს მათი ფუნდამენტური უფლების, განათლების მიღების ხარჯზე ხდებოდეს. „მშობლებს რომ არ მიეხმარონ, ზამთარში მშივრები დაიხოცებიან – მეუბნება ანა სიბოშვილი, კარდენახის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. – ბავშვები რომ არ ამუშაონ, მაშინ მუშები უნდა

ამ გამოცდებს გოგი და მისი რამდენიმე მეგობარი შიშით ელოდებიან, რადგან თუ ვერ ჩააბარებენ, კლასში ჩარჩენა მოუწევთ, ცუდი აკადემიური მოსწრების გამო კი, გაკვეთილების მომზადებასაც ვერ ახერხებენ.

უწყლობით ხმება, ზოგჯერ, უბრალოდ, ფასი არ აქვს ხოლმე და მუშებსაც ველარ უხდიან ნორმალურად“.

გოგის მსგავსად ირაკლიც ვერ იღებს სრულყოფილ განათლებას. „ზოგჯერ სკოლის მერე მივდივარ ნაკვეთში, მაგრამ ამის გამო მეორე დღისთვის გაკვეთილებს ველარ ვამზადებ. დღესაც მოუმზადებელი მოვედი“. – ბიჭი სკოლის მეორე სართულზე, საკლასო ოთახის ფანჯარასთან დგას. ფანჯარა პირდაპირ ალაზნის ველს გადაჰყურებს, სოფლის ბოლოდან ვენახები, ბაღები, დამუშავებული თუ დაუმუშავებელი ნაკვეთები იწყება, „თამარის არხს“ იქით „ჭიანი ტყეა“, მის ირგვლივ ხელოვნური ტბები, თვალსაწიერის ბოლოს კი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წყალუხვი მდინარე ალაზანი თითქმის შეუმჩნეველ, წვრილ ხაზად მიიკლაკნება.

დაიქირაონ, და დღეში 25 ლარი გადაუხადონ, რისი შესაძლებლობაც უმრავლესობას არ აქვს. ამ პროცესის კონტროლის არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია. სხვა გზა მათ, უბრალოდ, არ აქვთ“.

ამ ოჯახების დიდ ნაწილს ძალიან უჭირს. „გუშინ მეექვსეკლასელი ბავშვი მომადგა, მუცელი მტკივა მასწავლებელოო. ექიმის კაბინეტში შევიყვანე. აღმოჩნდა, რომ მშიერი იყო, შიმშილისგან სტკიოდა მუცელი“ – მიყვება სიბოშვილი. „ფუნთუშები გვაქვს ხოლმე მომარაგებული, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები სკოლაში მშივრები მოდიან“.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ვიგებთ, 2014-2015 წელს სწავლა 14 000-ზე მეტმა ბავშვმა მიატოვა, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის ბიურო ამ

რიცხვს მიღმა არსებულ რეალობას არ იკვლევს, ანუ არ გამოყოფს სკოლის მიტოვების მიზეზებს. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, სახალხო დამცველის, გაეროს ბავშვთა ფონდის, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა და ჩვენი მოკვლევითაც, ერთ-ერთი მიზეზი ბავშვთა შრომაა. ბავშვები მასობრივად და აქტიურად არიან შინასამეურნეო საქმიანობაში ჩართულნი, რაც ხელს უშლის მათ განვითარებას, განათლების მიღების პროცესს.

როგორც წესი, საერთაშორისო ორგანოები ყურადღებას უთმობენ ბავშვთა შრომის უფრო მძიმე შემთხვევებს, ბავშვთა ექსპლუატაციას, მათი შრომის პირობებს, 2014 წლის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კვლევაში ვკითხულობთ, რომ „ხელისუფლება სრულყოფილად ვერ ახორციელებს ბავშვთა შრომის შემთხვევების დევნას. არც ერთი სახელისუფლებო ორგანო არ არის პასუხისმგებელი ბავშვთა შრომის ბრალდებების გამოძიებისათვის, თუ არ არსებობს დანაშაულის მტკიცებულება. სახელმწიფოს არ აქვს სპეციალური ორგანო, რომელიც განახორციელებს სამუშაო ადგილებზე ბავშვთა შრომის შემთხვევების მონიტორინგს“.

თუმცა შემთხვევები, რომლებიც სტატიის დასაწყისშია აღწერილი, არ მიეკუთვნება სტანდარტულ კლასიფიკაციებს. ის არც ფარულია და არც განსაკუთრებულად მძიმე პირობებზეა საუბარი. უბრალოდ, ბავშვები მათი ფუნდამენტური უფლების, სრულფასოვანი განათლების მიღმა რჩებიან – ეს არის პრობლემა, რომელიც როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე ყველამ იცის, ყველა ხედავს, და ყველა ეგუება.

პრობლემის გადაჭრის გზები რომ დაისახოს, ჯერ მისი ზუსტი იდენტიფიცირებაა საჭირო. გაეროს ბავშვთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ კარდენახში კიტრის კრეფის სეზონია, მაისი 2016

ფოტო: ირაკლი სოლოვიოვი

ფონდის ქართული წარმომადგენლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლიდან ეხმარება მონიტორინგის სისტემის შექმნაში, რომელიც სკოლის მიტოვების საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვებს აღრიცხავდა, მიზეზებს გამოიკვლევდა პრევენციის სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარებოდა. იუნისეფის ოფისში გვითხრეს რომ რომ ამ მხრივ პროგრესი არ შეუნიშნავთ, თავად სამინისტროსგან კი ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მიღება „ლიბერალმა“ ვერ შეძლო.

„სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელს, თამარ მოსიაშვილს, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიაჩნია, რომ ბავშვთა შრომის ჩვენ მიერ აღწერილი ფორმა საზოგადოებისთვის კულტურულად მისაღებია. „ამ ფაქტს გაგებით ხვდება, მშობელიც, სკოლაც, ადგილობრივი თემიც. ვერ ვაცნობიერებთ, როგორ ირღვევა ბავშვის უფლება, და გვგონია, რომ კარგიც კია. ბავშვი შრომას ეჩვევა და ა.შ.“

მოსიაშვილი ამ მოვლენას საზოგადოების სირცხვილს უწოდებს და მისი გადაჭრის გზად ადგილობრივი საგანმანათლებლო ინტიტუტების სოციალური მეწარმეობისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება ესახება. რათა, ერთი მხრივ, საზოგადოება წინ აღუდგეს ბავშვთა უფლებების რღვევის ამ „ტრადიციულ“ ფორმას, და, მეორე მხრივ, ოჯახებს, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, ჰქონდეთ მხარდაჭერის იმედი. ასევე მნიშვნელოვანია თითოეულ თემში კარგად აცნობიერებდნენ ბავშვთა შრომის გავლენას მოზარდის ჯანმრთელობასა და მომავალზე. აღარ იყვნენ იმდენად ღარიბნი, რომ მეურნეობებში ბავშვების ჩართვა სჭირდებოდეთ.

განსაკუთრებული ანალიზი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ პრობლემის დაძლევის გზა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ცალ-ცალკე ვერც ერთი სამინისტრო, სკოლა, რესურსცენტრი, თემი, თუ ოჯახი ამას ვერ შეძლებს. პირველ რიგში კი საჭიროა გაცნობიერება სიტყვებისა, რომელიც სტატიას ეპიგრაფად უძღვის – განათლების მიღება არა მხოლოდ უფლებაა, არამედ საშვი უკეთესი მომავლისაკენ, ბავშვებისა და მათი ქვეყნისათვის.

სტატია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის პოზიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონები სხვისი ცხოვრებით

ავტორი: თათია ხალიანი
ფოტო: სოფო აფციაური

„ამაზე ბევრს არ ვფიქრობ... რა აზრი აქვს. ჩემი ცხოვრება სკოლაში გაკვეთილების დროს ჩუმად შევსებულ დღიურებში დარჩა. ეს სხვისი ცხოვრებაა, სადაც შეცდომით ჩამსვეს. მე რა მინდოდა? აღარც მახსოვს, ალბათ, ბევრი რამე. ან არ ვიცი, ვერ მოვასწარი, ეს გამეგო“.

ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებში უმეტესობა არასრულწლოვანი გოგოა. დაქორწინების შემდეგ ისინი სწავლას აღარ აგრძელებენ. ზოგიერთი მათგანი სასკოლო განათლების საბაზო საფეხურსაც ვერ ამთავრებს. ადრეულ ასაკში ქორწინება ხშირად გოგონებს სრულფასოვანი განათლების საშუალებას ართმევს.

„ჩემი ცხოვრება სკოლაში გაკვეთილების დროს ჩუმად შევსებულ დღიურებში დარჩა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინა

ერთ დღესაც, სკოლიდან დაბრუნებულს, მშობლებმა უთხრეს, რომ მალე უნდა დაქორწინებულიყო. საბინა მაშინ 15 წლის იყო. არც ის იცოდა, ვისზე ათხოვებდნენ და არც ის – რატომ. სკოლაში კარგად სწავლობდა. უნდოდა, ჟურნალისტი გამოსულიყო. მე-11 კლასში იყო, მის სახლში უცხო ადამიანები გამოჩნდნენ და მისი ხელი ითხოვეს. დაინიშნა. უფროსები შეთანხმდნენ, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ გაჰყვებოდა ცოლად ბიჭს, რომელიც მასზე 13 წლით უფროსი იყო. მშობლები ეუბნებოდნენ, რომ მისთვის ასე უკეთესი იქნებოდა, კარგი და შეძლებული ბიჭი უზრუნველ მომავალს შეუქმნიდა. მშობლებს დაუჯერა.

საბინას მამას უმაღლესი განათლება აქვს, დედას – არა. ისიც 17 წლის გათხოვდა. საბინასგან განსხვავებით, მისი ძმა იძულებით არავის დაუქორწინებია. მამის გადაწყვეტილებით, სწავლა ოჯახში ბიჭს უნდა გაეგრძელებინა.

უცხო ადამიანთან ცხოვრება რთული აღმოჩნდა, მეუღლეს მალევე გაშორდა და ფეხმძიმე სახლში დაბრუნდა. ახლა 23 წლისაა.

„განათლება არ მაქვს. სამსახურს ვერ ვშოულობ. ჩემი მშობლები ახლა ნანობენ, რომ გესწავლა, ნორმალური სამსახური გექნებოდაო. 4 წლის შვილი მყავს. ძალიან რთულია. პიროვნული განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობა დავკარგე. ნაადრევმა ქორწინებამ შემაფერხა. მშობლები თავს დამნაშავედ გრძნობენ და ახლა მეუბნებიან, როგორც გინდა, ისე მოიქეციო. ხედავენ, გათხოვებამ რა შედეგიც მომიტანა, მაგრამ გვიანია. მე მაინც ვცდილობ – კოლეჯში ვსწავლობ, ძალიან მინდა უნივერსიტეტში მოხვედრა“, – ამბობს საბინა.

გარდაბანი, მე-4 საჯარო სკოლა

დირექტორის მოვალეობას სასწავლო ნაწილის გამგე სამსონ აზიზევი ასრულებს. სამი თვის წინ სკოლის დირექტორმა განცხადება დაწერა და სამსახურიდან წავიდა. შემცვლელი ჯერ არ დაუნიშნავთ. სკოლაში 780 მოსწავლე სწავლობს. შარშან ქართული სექტორი გაიხსნა.

■ საბინას მამას უმაღლესი განათლება აქვს, დედას – არა. ისიც 17 წლის გათხოვდა. საბინასგან განსხვავებით, მისი ძმა იძულებით არავის დაუქორწინებია. მამის გადაწყვეტილებით, სწავლა ოჯახში ბიჭს უნდა გაეგრძელებინა.

სამსონ აზიზევი ამბობს, რომ სკოლიდან ბავშვების გასვლა სხვადასხვა მიზეზთან არის დაკავშირებული, თუმცა ამ მიზეზებს სკოლაში არავინ აღრიცხავს. უჭირს ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლიდან გასული მოსწავლეების რაოდენობის დასახელებაც. ამბობს, რომ სკოლას ბავშვები მაშინ ტოვებენ, როცა ოჯახი საცხოვრებლად სხვაგან გადადის. ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევა კი სულ უფრო და უფრო იშვიათია. იხსენებს, რომ გასულ წელს ორი მეთორმეტეკლასელი დაქორწინდა. რამდენიმე გოგო დანიშნულია და სკოლის დამთავრების შემდეგ გათხოვდება.

ქართული ენის მასწავლებელი ემა ლიპარტელიანი ჰყვება, რომ, როგორც წესი, სკოლიდან გასვლის მიზეზად ქორწინებას არავინ ასახელებს. საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სრულ საშუალო განათლებას ყველა არ იღებს. განსაკუთრებით ხშირია მეცხრე კლასის შემდეგ ბავშვების მიერ სკოლის დატოვების შემთხვევები. ამბობს, რომ კანონი არ ირღვევა, მათ ამის უფლება აქვთ, შემდეგ კი ისინი ქორწინდებიან, თუ სწავლას სხვაგან აგრძელებენ, ეს მშობლების პასუხისმგებლობაა.

„მაგალითად, შარშან კლასში 35 ბავშვი მყავდა, მეათე კლასში 24 ბავშვი დარჩა, დანარჩენები მეცხრე კლასიდან გავიდნენ. ზოგი კოლეჯში სწავლობს, ზოგი უცხოეთში დადის სამუშაოდ მშობელთან ერთად. როცა სწავლა დაიწყო, მშობლები შევკრიბე და გავაფრთხილე, რომ ბავშვებმა, რომლებიც მეათე კლასამდე მოვიდნენ, სკოლა უნდა დაამთავრონ. თუ გაყვანაზე ფიქრობთ, ჯობია, ახლა წაიყვანოთ, ვიდრე ბავშვს გული დასწყდეს და მე-11 კლასში დაატოვებინოთ სკოლა. მე ვეუბნები მშობლებს – ბავშვს ნუ გააუბედურებთ იმის გამო, რომ ის ბიჭი მდიდარია, შეძლებულია და თქვენ არ გინდათ, ხელიდან გაუშვათ ეს ვარიანტი. ჯერჯერობით, ჩემს კლასში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა“. – ამბობს ემა ლიპარტელიანი.

პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სკოლის მხრიდან „ოჯახურ ამბებში“ ჩარევა არასოდეს ხდება და მშობლებს „მეტი“ უფლებები აქვთ. სკოლა კი მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ახსნა-განმარტებით შემოიფარგლება.

შარშან სკოლა ოცდაათამდე მოსწავლემ დაამთავრა. სამსონ აზიზევი წიგნაკში იმ ბავშვების სიას ეძებს, ვინც უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო, საბოლოოდ კი გვეუბნება, რომ ასეთი დაახლოებით თხუთმეტი მოსწავლე იყო.

სკოლაში ინგლისურ ენას თეონა მჭედლიშვილი ასწავლის. ამბობს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემცირების მიუხედავად, ეს პრობლემა მაინც არსებობს და ამას ვერ გავექცევით. ჰყვება, რომ მართალია, ბოლო დროს იშვიათად ხდება, თუმცა გავრცელებული პრაქტიკაა დანიშვნა.

თეონა იხსენებს, რომ წელს სკოლის ერთი მოსწავლე გოგონა მოიტაცეს, მოგვიანებით მშობლებმა გოგონა სახლში დააბრუნეს, მაგრამ სკოლაში აღარ უშვებენ.

სკოლაში ვერ იხსენებენ ფაქტს, რომ მოსწავლე ბიჭი დაქორწინებულიყოს. სკოლიდან, ძირითადად, გოგონები თხოვდებიან. შემდეგ კი სწავლას აღარ აგრძელებენ.

გარდაბანში ოთხი საჯარო სკოლაა: საბაზო, ქართული, აზერბაიჯანული და რუსული. სამსონ აზიზევის თქმით, მე-4 საჯარო სკოლა რუსულ სკოლად მიიჩნევა. მოსწავლეების 90% აზერბაიჯანელია.

ამბობენ, რომ სკოლას ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები აკითხავენ და უფლებებთან დაკავშირებით ლექციებს ატარებენ.

* * *

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ქესალოს საჯარო სკოლაში 900-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. სკოლის დირექტორი მახმუდ მეხტიევი ამბობს, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევები ადრე უფრო ხშირი იყო, 13-14 წლის გოგონები სკოლიდან თხოვდებოდნენ და სწავლას ვეღარ აგრძელებდნენ. წელს მხოლოდ ერთ ფაქტს იხსენებს, როცა მეთერთმეტეკლასელი გოგონა დაქორწინდა.

დირექტორი ამბობს, რომ რამდენიმე თვის წინ განათლების სამინისტროს ინიციატივით, სკოლაში მოეწყო შეხვედრა, რომელსაც მშობლები და მოსწავლეები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე სწორედ ნაადრევ ქორწინებასა და განათლების უფლებაზე ისაუბრეს; იმაზე,

გარდაბანში ოთხი საჯარო სკოლაა: საბაზო, ქართული, აზერბაიჯანული და რუსული. სამსონ აზიზევის თქმით, მე-4 საჯარო სკოლა რუსულ სკოლად მიიჩნევა. მოსწავლეების 90% აზერბაიჯანელია.

თუ რამდენად პრიორიტეტული უნდა იყოს განათლება როგორც მშობლებისთვის, ისე თემისთვის. მახმუდ მეხტიევი ჰყვება, რომ შეხვედრამ სოფელში ინტერესი გამოიწვია და მას ბევრი ადამიანი დაესწრო.

ადრეულ ასაკში ქორწინება – მიზეზები, ციფრები, შედეგები

სამირა ბაირამოვა წლების განმავლობაში ადრეული ქორწინების მიზეზებს იკვლევდა, დადიოდა სოფლებში, ხვდებოდა მოსახლეობას და მათგან ბევრ საინტერესო ამბავს ისმენდა. სამირა ორგანიზაციის „ჟურნალისტური ქსელი გენდერული თანასწორობისთვის“ კოორდინატორია ქვემო ქართლში.

შეხვედრები სკოლებში, ეზოებში, ქუჩებში – ადამიანებს უყვებოდა გოგონების უფლებების შესახებ, მოსწავლეებს აწვდიდა ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების შესახებ. ასე მოიარა ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის სოფლები.

სამირა ბაირამოვას შეფასებით, ადრეულ ასაკში ქორწინებას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს და რთულია იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ ტრადიციული შეხედულებების ბრალი ან კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. სამირა ამბობს, რომ, პირველ რიგში, ადრეულ ასაკში ქორწინებას, როგორც პრობლემას, არ აღიარებს არც სკოლა, არც სამართალდამცავი ორგანოები, არც ადგილობრივი ხელისუფლება და, ზოგადად, სახელმწიფო. შესაბამისად ეს „არაღიარება“ პრობლემას კიდევ უფრო უხილავს ხდის.

„მასწავლებლებთან გვქონდა შეხვედრები, როცა მათ პასუხისმგებლობაზე ვესაუბრებოდით – რომ ვალდებულები არიან, ინფორმაცია მიაწოდონ სამინისტროს, პოლიციას, სოც. მუშაკს. ისინი კი ამბობდნენ, რომ ეს მათი საქმე არ არის. ასევე, ჯერ არ მინახავს, რომ პოლიცია ამ კუთხით რამეს აკეთებდეს. ერთ-ერთი გოგო 13 წლის გაათხოვეს. არავის აინტერესებს, არც პოლიციას, არც სკოლას, არავის. სერიოზული პრობლემაა, სადაც ყველა რგოლი გაურბის თავის პასუხისმგებლობას“, – ამბობს სამირა.

სოფლებში სიარულისას, ქალები სამირას უყვებოდნენ, რომ გათხოვების გარდა მათ სხვა

პერსპექტივა არ ჰქონიათ. სკოლას ამთავრებდნენ, მაგრამ სიღარიბის, ენობრივი ბარიერისა თუ სხვადასხვა მიზეზის გამო, სხვა არჩევანი მათთვის არ არსებობდა.

სამირა მიიჩნევს, რომ თუ პრობლემის გადაჭრაში სკოლა უფრო აქტიურად ჩაერთვება, ვითარება მეტ-ნაკლებად შეიცვლება: „როცა სკოლაში მასწავლებელი ხედავს, რომ მოსწავლე გაკვეთილზე არ მოდის, უნდა დაინტერესდეს, მშობლებს დაელაპარაკოს და შეიძლება სკოლაშივე მოგვარდეს ეს პრობლემა. მე მინახავს, სოფლებში როგორ პატივს სცემენ პედაგოგების აზრს. ამიტომ მასწავლებლებმა მათ მიმართ დამოკიდებულება კარგი საქმისთვის უნდა გამოიყენონ. ხშირად ყოფილა, მივდივარ სკოლაში, ვიცი, რომ იქ ასეთი ფაქტი მოხდა, მაგრამ მასწავლებლები მეუბნებიან, რომ მათთან მსგავსი არაფერი ხდება“.

ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა საქართველოში არ მომხდარა. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ სხვადასხვა დროს შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქალების 17% 18 წლის შესრულებამდე დაქორწინდა. ფონდის მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, 18 წლის ასაკამდე დაქორწინებულ ქალთა უმეტესობა ვერ ახერხებს საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღებას.

წლების განმავლობაში არ ხდებოდა სკოლის მიტოვების მიზეზების აღრიცხვა და ერთიან მონაცემთა ბაზის წარმოება. 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევაში, მიტოვების საფუძვლის მითითება უნდა მოხდეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ყველა სკოლა ვალდებულია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონულ სისტემაში რეესტრი აწარმოოს იმ მოსწავლეების შესახებ, რომლებმაც სკოლა მიატოვეს. ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადრეულ

■ სოფლებში სიარულისას, ქალები სამირას უყვებოდნენ, რომ გათხოვების გარდა მათ სხვა პერსპექტივა არ ჰქონიათ. სკოლას ამთავრებდნენ, მაგრამ სიღარიბის, ენობრივი ბარიერისა თუ სხვადასხვა მიზეზის გამო, სხვა არჩევანი მათთვის არ არსებობდა.

ასაკში ქორწინების მიზეზით, 2014-2015 სასწავლო წელს სავალდებულო განათლების მიღების გარეშე სწავლა მიატოვა საბაზო საფეხურის 107 მოსწავლემ.

განსხვავებულია სახალხო დამცველის მონაცემები, რომელიც მან სხვადასხვა უწყებებიდან გამოითხოვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2014 წელს – 665. მოცემული მაჩვენებლებიდან 95%-ის შემთხვევაში არასრულწლოვანი გოგო იყო.

სახალხო დამცველისთვის განათლების სამინისტროს მიერ მიწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2015 წელს, ოჯახის შექმნის მიზეზით, სწავლა 13-დან 17 წლამდე 408 მოსწავლემ შეწყვიტა, ხოლო 168 შემთხვევაში სწავლას თავი 18 წელს მიღწეულმა პირმა დაანება, თუმცა ანგარიშში ნათქვამია, რომ, სავარაუდოდ, ეს მონაცემები ზუსტი არ არის, ვინაიდან ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში გამართული შეხვედრების დროს სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი შეტყობინება.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მაისის ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მოვალეობები და ვალდებულებები, როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევა წარმოიშობა. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის შეფასებით, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით, რეფერირების პროცედურით გათვალისწინებული საკითხები თითქმის არ სრულდება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში, ადრეულ ასაკში ქორწინების არც ერთი შემთხვევის შესახებ არ მიუღიათ შეტყობინება სკოლებიდან და შინაგან საქმეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინა მაშინ 15 წლის იყო. არც ის იცოდა ვისზე ათხოვებდნენ და არც ის – რატომ

სამინისტროდან. 2015 წელს კი სოციალური მომსახურების სააგენტომ ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ სულ 47 საქმე შეისწავლა.

„ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ პედაგოგები, რომელთა ვალდებულებაშიც ფაქტის შეტყობის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება შედის. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პედაგოგების აზრით, რისკის ჯგუფის ბავშვთა იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება მათ კომპეტენციას სცდება და ვერ ჩაერევიან ოჯახის საქმეში, სკოლის გარეთ არსებულ საკითხებში. ამასთანავე, ასეთი ჩარევის შემთხვევაში, არ აქვთ კონფიდენციალობის შენარჩუნების იმედი, რაც, საბოლოოდ, მათ პასიურობას იწვევს", – ამბობს სახალხო დამცველი.

განათლების სამინისტროში ამბობენ, რომ სკოლების ადმინისტრაციის მხრიდან ელექტრონული სტატისტიკის წარმოებას მონიტორინგს უწევს სამინისტრო, ასევე – სკოლაში პასუხისმგებელი პირი. მონიტორინგის პროცესში მოწმდება, რამდენად გამართულია რეფერირების მექანიზმი სკოლაში, კერძოდ: აქვს თუ არა სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები, არის თუ არა განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი და მოხდა თუ არა ძალადობის, მათ შორის, ადრეული ქორწინების შემთხვევების რეფერირება, თუმცა, რა პერიოდულობით წარმოებს მონიტორინგი სკოლებში, ან რა ტენდენციები იკვეთება ამ კუთხით, ამ კითხვებზე სამინისტრო არ გვპასუხობს.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის მოკვლევამ აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეებს არ აქვთ ინფორმაცია მათ ძირითად უფლებებთან დაკავშირებით და ფიქრობენ, რომ მშობლის შეხედულება გადამწყვეტია. შესაბამისად, ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება და მეგობრული სერვისების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულისთვის 2015 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა. 2015 წელს პარლამენტმა მიიღო ასევე კანონი, რომლის მიხედვით, 17-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი შეიცვალა იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება.

ადრეულ ასაკში ქორწინება ხშირად გოგონებს სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებას ართმევს

მიზანი – ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია

ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისთვის, 2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 1501 მუხლი – ქორწინების იძულება დაემატა. თუმცა, საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 2015 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა. 2015 წელს პარლამენტმა მიიღო ასევე კანონი, რომლის მიხედვით, 17-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი შეიცვალა იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება.

გასულ წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამის“ განხორციელება დაიწყო. ქვეპროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა მშობლებისთვის ადრეულ ასაკში ქორწინების რისკების გაცნობა, რაც გულისხმობს მშობლებთან შეხვედრებსა და საჯარო ლექციებს იმ რეგიონებში, სადაც ხშირია ადრეული ქორწინების ფაქტები.

პროექტის ფარგლებში, სამკაციანმა ჯგუფმა (ფსიქოლოგმა, ადგილობრივმა სამართალდამცავმა, სოციალურმა მუშაკმა) განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად უკვე მოაწყო ათი საჯარო შეხვედრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში (კაბალში, ყარაჯალაში, უზუნთალაში, განჯალაში); ასევე, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლებში (ნახიდურში, ქვემო ბოლნისში, თაქალოში, მუღანლოში, ქესალოში).

„მშობელთა განათლების და ჩართულობის ქვეპროგრამას“ განათლების სამინისტრო გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს. ფონდის პროგრამის მენეჯერი მარიამ ბანძელაძე „ლიბერალთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში რთულია განსაზღვრა, ექნება თუ არა ასეთი ტიპის შეხვედრებს რამე შედეგი, თუმცა, როგორც ამბობს, ეს ერთგვარი მარცვალია, რომლის შედეგები წლების განმავლობაში უფრო თვალსაჩინო გახდება.

რეგიონებში გამართულ შეხვედრებში, ჯგუფთან ერთად, საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის თავმჯდომარე ლეილა სულეიმანოვა მონაწილეობდა. როგორც ის ამბობს, ქვემო ქართლში ადრეულ ასაკში ქორწინების შემცირების პოზიტიური დინამიკა შეიმჩნევა, თუმცა, იმავეს თქმა არ შეუძლია კახეთის რაიონის რამდენიმე სოფლის შესახებ, სადაც ნაადრევი ქორწინება კვლავ სერიოზული პრობლემაა.

„ინფორმაციის დეფიციტი არსებობს და ყველა შეხვედრის დროს ეს გამოიკვეთა. ჩვენ ვხვდებოდით მშობლებს, პედაგოგებს, ადგილობრივ მოსახლეობას, ინფორმაციის საჭიროება ყველა მხარეს აქვს. მართალია, პედაგოგები უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ ისეთ ცოდნას, როგორიცაა, მაგალითად, კანონმდებლობა, უფლებები – ნაკლებად. ამ ვაკუუმის გარღვევა მნიშვნელოვანი ფაქტორია პრობლემის დასაძლევად“, – ამბობს ლეილა სულეიმანოვა.

ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები 2016 წელსაც გაგრძელდება. როგორც პროგრამის მონაწილეები ამბობენ, ჯგუფის მუშაობა უახლოეს მომავალში განახლდება, თუმცა, რომელ რეგიონებში, – ჯერჯერობით, უცნობია.

სტატია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის პოზიციას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი თემა

სკოლა და თემი – ურთიერთობა, პრობლემები, გამოწვევები

სალომე გორგოძე

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში სკოლის მართვის მოდელი მშობლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს, თუმცა დარგის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს ჩართულობა, ხშირ შემთხვევაში, ფორმალურია. მათი შეფასებით, რეალური შედეგის მისაღწევად საჭიროა, ერთი მხრივ, სკოლების მართვის დეცენტრალიზაცია, მეორე მხრივ კი, სკოლასა და თემს შორის თანამშრომლობა. როგორ შეუძლია სკოლას, წვლილი შეიტანოს თემის განვითარებაში და პირიქით, რა შესაძლებლობები აქვს თემს, რომ სკოლის განვითარებას შეუწყოს ხელი?

სანიორე

კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ სანიორეს საჯარო სკოლაში ასამდე მოსწავლე სწავლობს. ამ სკოლაში უკვე 7 წელია, ახალგაზრდული კლუბი არსებობს. კლუბში 20-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. კლუბის წევრები ყოველ პარასკევს სკოლის მეორე სართულზე ერთ-ერთ ოთახში იკრიბებიან. ეს ოთახი დანარჩენ საკლასო ოთახებს არ ჰგავს. იქ არც დაფაა და არც მერხები. ოთახის შუაში სკამები წრიულად დგას, კედლებზე კი მოსწავლეების ხელით გაკეთებული, ფერადი ფანქრებითა და საღებავებით მოხატული პლაკატებია გაკრული. პლაკატები მათ მიერ გამართულ ღონისძიებებს ასახავს – ზოგიერთი კითხვის საერთაშორისო დღეს ეხება, ზოგი ცხოვრების ჯანსაღ წესს, ზოგიც სხვადასხვა საერთაშორისო დღის აღსანიშნავადაა შექმნილი. შეხვედრებზე მოსწავლეები სკოლასა და ადგილობრივ თემში არსებულ საჭიროებებზე საუბრობენ, სოფლის მოსახლეობისა და თანატოლებისთვის საინფორმაციო პრეზენტაციებს ამზადებენ, ღონისძიებებს გეგმავენ.

სანიორეს სკოლა კახეთში ერთ-ერთია იმ 17 სკოლას შორის, სადაც WorldVision საქართველო-კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სოფლის სკოლის ბაზაზე ახალგაზრდული კლუბები მოქმედებს. პროგრამის ფასილიტატორის, თამარ მეგუთნიშვილის განმარტებით, კლუბში გაერთიანება ახალგაზრდებს სხვადასხვა არაფორმალურ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. რაც, თავის მხრივ, მონაწილეთა ადგილობრივ თემებში გაძლიერებასა და გააქტიურებას ისახავს მიზნად.

კლუბის წევრები ჯერ თემისა და სკოლის საჭიროებებზე ფიქრობენ, შემდეგ კი კონკრეტულ ღონისძიებებს გეგმავენ. ისინი ცდილობენ, იმუშაონ თემებზე, რომელიც თემსა და სკოლას თანაბრად აწუხებს, მაგალითად, – ახალგაზრდებისათვის გასართობი და დასასვენებელი სივრცის არარსებობა, სოფლის ეკოლოგიური პრობლემები, მოსახლეობის არასათანადო ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საჭიროებებისა და უფლებების შესახებ.

ანი ბიტიაშვილი მეათე კლასის მოსწავლეა. ბოლო ერთი წელია, კლუბის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული. ანი მოსწავლეების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ ჰყვება, რომლებშიც სოფლის მოსახლეობაც ენთუზიაზმით ერთვება ხოლმე.

„მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ნაგვის ბუნკერები დადგეს და მათ კვირაში ერთხელ ასუფთავებენ, ეს საკმარისი არ არის. სოფლის გზებზე კვლავ საყოფაცხოვრებო ნარჩენი ყრია. გადავწყვიტეთ, დასუფთავება სკოლის ეზოდან დაგვეწყო; დახმარება სოფლის რწმუნებულს ვთხოვეთ; მანაც საჭირო იარაღები და ხელთათმანები მოგვიტანა; მერე ყველა ერთად შევუდექით საქმეს; სოფლის ცენტრიც დავასუფთავეთ. მოსახლეობა, როდესაც ხედავდა, რომ ჩვენ ვალაგებდით, ყველა თავისი ეზოს წინ გამოვიდა და დასუფთავება დაიწყო, მეზობელი სოფლიდან პატარა ტრაქტორიც მოგვაშველეს, რომ შეგროვებული ნაგავი ერთად გადაგვეყარა“, – ამბობს ანი.



ფოტო: ლონა ავდალიანი

ტაბატაძის თქმით, ამ მიმართულებით კანონმდებლობაში ხარვეზები ნაკლებად უნდა ვეძებოთ, მთავარი პრობლემა არის ის, რომ, მიუხედავად სამეურვეო საბჭოების არსებობისა, გადაწყვეტილების მიმღები პირები ანგარიშვალდებულებას მხოლოდ სამინისტროს წინაშე გრძნობენ.

კლუბის წევრებს შორის თანასწორი განმანათლებლებიც არიან. რეგიონში სულ 42 თანასწორი განმანათლებელია. ისინი სკოლის მოსწავლეები არიან და სხვებისგან განასხვავებთ ის, რომ ინკლუზიური განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ კვალიფიციურ ტრენერებთან გაიარეს მომზადება. თანასწორი განმანათლებლის მუშაობის პრინციპი მარტივია – იმ ინფორმაციას, რომელსაც მოსწავლეები ტრენინგებზე იღებენ, შემდგომ სკოლაში თანატოლებს უზიარებენ, ერთად იხილავენ პრობლემებს, გეგმავენ გადაჭრის გზებს, გადიან თემში და საინფორმაციო აქციებს ატარებენ.

მეცხრეკლასელი ნათია ამირეჯიბი ერთ-ერთი თანასწორი განმანათლებელია. ნათია ერთ-ერთ ღონისძიებას იხსენებს, როცა სოფლის ბაღში მივიდნენ, ბავშვებისთვის ხელების დაბანა რომ ესწავლებინათ. „დაიბანე ხელი“ – ასე ერქვა აქციას. „ბაღის ბავშვებს ხელების დაბანა ვასწავლეთ, სახალისო მარტივი პრეზენტაცია მოვამზადეთ სისუფთავის შესახებ. ბაღის მასწავლებლებიც გვეხმარებოდნენ“, – ამბობს ნათია.

სოფლის სკოლებში კლუბების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ნაფარეულის საჯარო სკოლის დირექტორი მზია ნაცვლიშვილი.

მისი თქმით, ახალგაზრდულ კლუბებს სოფლის სკოლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როცა სოფლის სკოლის მოსწავლეებს, ქალაქისგან განსხვავებით, ბევრ რესურსზე ხელი არ მიუწვდებათ, კლუბები მოსწავლეებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების, ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალებას აძლევს.

რაც შეეხება სკოლის ჩართულობას თემის ცხოვრებაში, ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ სკოლა თემის პარტნიორი უნდა იყოს და პირიქით, თემი უნდა იყოს დაინტერესებული სკოლით. მისი თქმით, სკოლა ზრდის სწორედ იმ თაობას, რომელიც მომავალში თემის წევრი უნდა გახდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, სკოლასა და თემს შორის შეთანხმებული და ჰარმონიული დამოკიდებულება არსებობდეს.

ნაცვლიშვილი ჰყვება, რომ სკოლის ტერიტორია ისტორიულია. ნაფარეულში პირველი სკოლა დავით ჭავჭავაძემ დააარსა. „ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ სკოლაში გარდა საღმრთო სჯულისა და წერა-კითხვისა, გლეხის შვილებს სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ასწავლიდნენ. ჯერ კიდევ მაშინ კარგად ჰქონდათ გააზრებული სწავლის პროცესში იმ გარემოს გათვალისწინება, რომლის წევრებიც განათლებას იღებენ. რა თქმა უნდა, სწავლის სტანდარტი ერთნაირი უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება, რაც კახეთისთვის აქტუალურია, სვანეთისთვისაც ასეთივე იყოს. ვფიქრობ, რეგიონის ინტერესები, თემის ინტერესები სასკოლო ცხოვრებაშიც უნდა იყოს გათვალისწინებული და ასახული. ამ შემთხვევაში შეძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს სკოლა თემის განვითარების ხელშეწყობას", – ამბობს მაია ნაცვლიშვილი.

მისი თქმით, ამგვარი პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას მხოლოდ სკოლის მხრიდან წამოსული ინიციატივა ვერ შექმნის. საჭიროა სკოლის მიმართ ინტერესი თემშიც გაჩნდეს. მისმა წევრებმა გაიაზრონ, რომ სკოლა განცალკევებით მდგომი ინსტიტუცია კი არ არის, მათი ნაწილია, თუმცა, როგორც თავად ამბობს, დღეს თემის მხრიდან ეს ინტერესი ნაკლებად ჩანს.

სკოლა და თემი

თემისა და სკოლის ურთიერთობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის, ამბობს განათლების საკითხების მკვლევარი, შალვა ტაბატაძე და განმარტავს, რომ დღესდღეობით, როცა თვითმმართველობის წარმომადგენელი და მშობლები სკოლის სამეურვეო საბჭოში არიან წარმოდგენილი ამ გზით თემს სკოლის მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა. მისი შეფასებით, ასე, ერთი მხრივ, თემის თვითშეგნება იზრდება, მეორე მხრივ კი, სკოლა ანგარიშვალდებული ხდება თემის წინაშე. თუმცა, ტაბატაძის შეფასებით, ამ მიმართულებით მთავარი პრობლემა არის, ის, რომ ეს ჩართულობა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურია, რადგან სკოლების მართვა ცენტრალიზებულია. მისი შეფასებით, მეტი დამოუკიდებლობა სკოლებს განვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემდა.

„მაქსიმალურად უნდა მოხდეს მმართველობის სკოლასა და თემში გადატანა, სამინისტროს ფუნქცია კი ამ პროცესში სკოლების ხელშეწყობა უნდა იყოს. სამინისტროს ხშირად აქვს ილუზია, რომ ცენტრალიზებულად შეუძლია ორი ათასზე მეტი სკოლის მართვა. სინამდვილეში ყველაფერი თავად სკოლაში ხდება – სწავლება, მოსწავლისა თუ მასწავლებლის განვითარება. თუნდაც, მასწავლებლის შეფასება სწორედ ადგილობრივად, სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს ჩართულობით უნდა მოხდეს. მათ წინაშე კი მასწავლებელმა ანგარიშვალდებულება უნდა იგრძნოს. დღეს სამეურვეო საბჭოსა და თემის მიმართ ამ ანგარიშვალდებულებას არც სკოლის დირექტორი და არც მასწავლებლები არ გრძნობენ", – ამბობს შალვა ტაბატაძე.

■ რევაზ აფხაზავა სკოლის განვითარებისათვის ინდივიდუალური მიდგომის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას. უფრო კონკრეტულად კი, მისი თქმით, სკოლის მართვის მოდელი იმ კომპეტენციებსა და მოტივაციას უნდა შეესაბამებოდეს, რომელიც კონკრეტულ სკოლას აქვს.

2005 წელს ქვეყანაში ზოგადი განათლების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, – ზოგადი განათლების მართვის ცენტრალიზებული მოდელი ე.წ. სკოლის დონეზე მართვის მოდელით შეიცვალა. ამ მოდელის საფუძველს, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სკოლის დონეზე მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს, მეორე მხრივ კი გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა სკოლის შიგნით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ნაწილდება. სკოლის სამეურვეო საბჭო, როგორც სკოლის საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანო, ამ მოდელის განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, სამეურვეო საბჭოებში სათათბირო ხმის უფლებით თითო წევრი დანიშნონ.

სკოლის სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს. ამტკიცებს სკოლის წესდებას, აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას.

ტაბატაძის თქმით, ამ მიმართულებით კანონმდებლობაში ხარვეზები ნაკლებად უნდა ვეძებოთ, მთავარი პრობლემა არის ის, რომ, მიუხედავად სამეურვეო საბჭოების არსებობისა, გადაწყვეტილების მიმღები პირები ანგარიშვალდებულებას მხოლოდ სამინისტროს წინაშე გრძნობენ.

„სკოლის დირექტორის მთავარი ფუნქციაა, ისე დახარჯოს თანხა, აუდიტის სამსახური ვერ მოედავოს. ამ პირობებში როგორ წარმოგიდგენიათ სკოლისა და თემის ურთიერთობა საერთო პრობლემების მოსაგვარებლად? სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, მსგავსი ინიციატივები უმეტესად სკოლებში არ არის. დავაკვირდეთ სტატისტიკას, არავინ არ თავისუფლდება სკოლიდან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დარღვევის გამო. უმეტესად თავისუფლდებიან საფინანსო ან შესყიდვებთან დაკავშირებით აღმოჩენილი დარღვევებისთვის. ეს ერთგვარად პირდაპირი „შეტყობინებაა" სამინისტროს მხრიდან – მაქსიმალურად ისე წარიმართოს ადმინისტრირება და მენეჯმენტი, რომ პრობლემები არ შეექმნათ. ასეც იქცევიან. გადაწყვეტილების მიმღები პირები ორიენტირებულნი არიან არა ახალ ინიციატივებზე, არამედ ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებაზე, იმისათვის, რომ თანამდებობა შეინარჩუნონ", – ამბობს ტაბატაძე.

ამ მიმართულებით, კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ, სკოლის მწირი ბიუჯეტია. განათლების საკითხების მკვლევარი, რევაზ აფხაზავა განმარტავს, რომ სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში, რომელიც, ძირითადად, ხელფასსა და კომუნალურ გადასახადს ხმარდება, სკოლას განვითარებისთვის თავისუფალი თანხა არ რჩება. აფხაზავა მიიჩნევს, რომ, როდესაც სკოლის ინსტიტუციური განვითარებისათვის თავისუფალი თანხა გაჩნდება, სკოლის სამეურვეო საბჭოც უფრო გააქტიურდება და რეალურად დაიწყებს მოქმედებას.

„ცენტრალური ხელისუფლებისგან რაც გასაკეთებელია, მეტ-ნაკლებად გაკეთებულია. ახლა უკვე იქაური ინიციატივების წახალისებაა საჭირო. ამას სწავლა და გამოცდილება სჭირდება. არსად იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი თემებია განვითარებული, ეს ერთი ხელის მოსმით არ მომხდარა. ქვემოდანაც უნდა მოდიოდეს ინიციატივა. დღეს რომ განათლების სამინისტრომ სკოლებს მისცეს სრული თავისუფლება, დახვდება კი იქ საჭირო კომპეტენცია და მოტივაცია?", – ამბობს რევაზ აფხაზავა.

რაც შეეხება თემისა და სკოლის თანამშრომლობის მნიშვნელობას, დარგის სპეციალისტების შეფასებით, ძალიან ბევრი საკითხია, რის გამოც თემი სკოლისთვის სასარგებლო შეიძლება გახდეს და პირიქით, სკოლამ წვლილი შეიტანოს თემის განვითარებაში.

შალვა ტაბატაძე ამბობს, რომ მიუხედავად დღეს ქვეყანაში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემებისა, თემს შეუძლია რესურსების სკოლის დასახმარებლად მობილიზება. მაგალითად, დაეხმაროს ინფრასტრუქტურის განვითარებაში, უზრუნველყოს საჭირო ხის მასალით ან იაფი მუშახელით. მეორე მხრივ, თემის ჩართულობა მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს უშუალოდ სწავლების პროცესისათვის. მაგალითად, როცა სოფლის დასახლებებში მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლიან, თემი და მისი მოსახლეობა მნიშვნელოვანი რესურსია მოსწავლეებისთვის გამოცდილების გასაზიარებლად.

სპეციალისტების შეფასებით, სკოლას შეუძლია, სოფლისათვის მნიშვნელოვანი ფორმალური და არაფორმალური განათლების ცენტრი გახდეს.

მაგალითად, ხელი შეუწყოს ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებას, ამბობს რევაზ აფხაზავა და იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული სკოლები ამ პრაქტიკას თითქმის არ იყენებენ.

„უმეტესად, სკოლებში დღის მეორე ნახევარში სასწავლო პროცესი მთავრდება და ეს შენობები დანარჩენი დროის განმავლობაში, ფაქტობრივად, ცარიელი და უფუნქციოა. ამ სივრცეების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების გამართვა. განსაკუთრებით ეს ჩვენს რეალობაშია მნიშვნელოვანი, როცა სოფლების უმეტესობაში არანაირი გასართობი თუ დასასვენებელი ადგილი არ არსებობს,- ამბობს აფხაზავა.

მაგალითად კი უცხოეთის გამოცდილება მოჰყავს, სადაც სკოლა დღის მეორე ნახევარში თემის მობილიზების ადგილად იქცევა ხოლმე.

რევაზ აფხაზავა სკოლის განვითარებისათვის ინდივიდუალური მიდგომის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას. უფრო კონკრეტულად კი, მისი თქმით, სკოლის მართვის მოდელი იმ კომპეტენციებსა და მოტივაციას უნდა შეესაბამებოდეს, რომელიც კონკრეტულ სკოლას აქვს.

მისივე განმარტებით, განათლების პოლიტიკის ინსტრუმენტები ადგილობრივ კონტექსტზე უკეთ მოერგება, თუკი იმ სკოლებს, რომლებსაც მეტი რესურსი და მოტივაცია აქვთ, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების განსხვავებული რეჟიმი ექნება, ვიდრე იმ სკოლებს, სადაც ნაკლები რესურსი და მოტივაციაა.

სტატია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის პოზიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: გია ალფაიძე

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მე-4 ყრილობა. თბილისი. 14 მაისი 2016.

დემოკრატია ვიწრო გაგებით

დათო გამისონია

საქართველოში პოლიტიკოსები მუდმივად ცდილობენ, დემოკრატიის ზედაპირული და მინიმალისტური გაგება დაამკვიდრონ. მათი აქცენტი საბაზისო საკითხებზეა მიმართული. ამით საკუთარი თავისა და პოლიტიკური გუნდის წინაშე დაბალ მოთხოვნებს აყენებენ და ზედმეტ პასუხისმგებლობასაც თავს არიდებენ.

დემოკრატია არის სისტემა, სადაც მოქალაქეები პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობენ, არის მედიაპლურალიზმი, დაცულია ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა უზრუნველყოფილია ყველასთვის. აღნიშნული საკითხები, თავისთავად, სხვა უამრავ კომპონენტს მოიცავს, რომელიც ასახული უნდა იყოს სხვადასხვა ინსტიტუტის საქმიანობაში, კანონებსა და დემოკრატიულ რეფორმებში. თუმცა დემოკრატიის ეფექტიანობა და ხარისხი უმთავრესად სამართლის უზენაესობითა და ადამიანის უფლებების დაცულობით ფასდება.

საქართველოს ყოფილმა პრემიერმა და მმართველი პარტიის დამფუძნებელმა, ბიძინა ივანიშვილმა, ცნობილ ღია წერილში, საქართველოში დემოკრატიის ხარისხი ასე დაახასიათა: „შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს, მნიშვნელოვანწილად, ქმნის ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს მაღალი ხარისხის დემოკრატია და, მეორე მხრივ, მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის განვითარება. ასეთი განსხვავება დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათია და ძნელად თუ სადმე მოიძებნება“.

შეიძლება თუ არა დემოკრატიის მაღალი ხარისხის მქონე ქვეყნად მივიჩნიოთ საქართველო, სადაც სიძულვილის ნიადაგზე ადამიანებს ქუჩაში უსწორდებიან; ქვეყანა, სადაც სიცოცხლის უფლება არ არის დაცული. საქართველოს მოქალაქემ, გიგა ოთხოზორიამ, რომელმაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებისგან საფრთხე იგრძნო, სცადა, თავი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეეფარებინა. რა მოხდებოდა თუკი ოთხოზორია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არა 10-12 მეტრს, არამედ 100 მეტრს, ან მეტს გაივლიდა. ან რამდენი უნდა გაევლო, რომ სამშვიდობოს გასულიყო. როდის იქნებოდა მისი სიცოცხლის უფლება დაცული? სად იწყება საქართველოს სახელმწიფო?!

დემოკრატიის ხარისხის შეფასებისას, საკვანძო მნიშვნელობა აქვს შსს-ში, პროკურატურასა და სასამართლოში წარმატებულ ინსტიტუციურ რეფორმებს.

4-წლიანი საარჩევნო ციკლის მიწურულს მმართველი პარტია რამდენად რეალისტურად აფასებს თავის საქმიანობას და რატომ გახდა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები ბიძინა ივანიშვილისთვის ასეთი დასკვნის საფუძველი?

„საქართველოში, რა თქმა უნდა, არ არის მაღალი ხარისხის დემოკრატია, ეს ინსტიტუციური დემოკრატიაც კი არ არის“, – გვეუბნება „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი, რომლის შეფასებით, აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელია რეფორმები, რომელიც შსს-სა და პროკურატურაში გატარდა. თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, დემოკრატიის ხარისხი გაცილებით მაღალია იმასთან შედარებით, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო, რაც ჩამოყალიბებულ ავტორიტარულ რეჟიმს წარმოადგენდა.

„დღევანდელ ვითარებაში, როდესაც დემოკრატიის სიმყარის ინსტიტუციური გარანტიები, ფაქტობრივად, არ არსებობს, იმის თქმა, რომ არათუ მაღალი, საშუალო ხარისხის დემოკრატიაა, ძალიან გადაჭარბება იქნება“, – ამბობს დავით ზურაბიშვილი.

როგორც ზურაბიშვილი აცხადებს, დაწყებული იყო ძვრები – მცდელობა იყო ამ სტრუქტურების დეპოლიტიზების, რაღაც ნაბიჯები გადაიდგა, იმისათვის, რომ ეს სტრუქტურები პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან

„დღევანდელ ვითარებაში, როდესაც დემოკრატიის სიმყარის ინსტიტუციური გარანტიები, ფაქტობრივად, არ არსებობს, იმის თქმა, რომ არათუ მაღალი, საშუალო ხარისხის დემოკრატიაა, ძალიან გადაჭარბება იქნება“, – ამბობს დავით ზურაბიშვილი.

ანგარიშსწორების იარაღი არ ყოფილიყო, რაც წინა ხელისუფლების დროს ინსტიტუციურ დონეზე იყო ჩამოყალიბებული.

„მაგრამ, ეს არათუ ბოლომდე არ მიიყვანეს, უარი ვერ თქვეს ამ სტრუქტურების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებაზე. პრაქტიკულად უკუპროცესი გვაქვს“, – ამბობს ზურაბიშვილი, – „თუმცა მას ჯერ შეუქცევადი ხასიათი არ მიულია“.

კონსტიტუციონალისტი დავით ზედელაშვილი „ლიბერალთან“ სასამართლოს სისტემაში გატარებულ ცვლილებებს აფასებს. მისი თქმით, სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლო რეფორმის შედეგი იყო მოსამართლეთა კორპორატისტული ინტერესების გამყარება და პოლიტიკური გარიგება ამ ინტერესების გამაერთიანებელ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებთან, საბჭოს მდივნის ხელმძღვანელობით. როგორც ზედელაშვილი აღნიშნავს, ეს შესაძლებელი გახადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებისთვის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის არასათანადო საკანონმდებლო გარანტიების არსებობამ, განსაკუთრებით კი მათი არჩევის შესაძლებლობამ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ და არა კვალიფიციური უმრავლესობით. „ისინი პირდაპირ უმრავლესობის ინტერესების გამტარებლად იქცნენ, რამაც მათი მეშვეობით საპარლამენტო უმრავლესობას/მთავრობას და იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებს შორის პოლიტიკური გარიგება შესაძლებელი გახადა“, – მიიჩნევს ზედელაშვილი.

სამართალდამცავი სისტემის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ცვლილებების შესახებ საუბრისას პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი და „ქართული ოცნების“ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი მანანა კობახიძე აცხადებს, რომ ყველაფერი შედარებითია. მისთვის მთავარი საზომი ყოფილი ხელისუფლების საქმიანობაა.

„ლიბერალთან“ საუბრისას დეპუტატი აცხადებს, რომ დღეს მოსამართლეებისთვის მეტი ინდივიდუალური დამოუკიდებლობაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფილი. მისივე თქმით, იუსტიციის საბჭო პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლდა.

„დღეს დეპუტატის ნაცვლად, იუსტიციის საბჭოში პარლამენტი სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, აღიარებულ იურისტებს ირჩევს. გარდა ამისა, მკაფიო კრიტერიუმებია თანამდებობაზე მოსამართლეთა გამწესებისთვის, ასევე შემოვიდა, უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლეთა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა", – აღნიშნავს კობახიძე. როგორც იგი ამბობს, მედიისთვის სასამართლო დარბაზი გაიხსნა. წინა წლებში ჟურნალისტს თავისი კამერით დგომა სასამართლოს ეზოშიც კი არ შეეძლო.

სამართალდამცავი სტრუქტურების შეფასებისას კობახიძე აცხადებს, რომ დიდი ნაბიჯები გადაიდგა საიმისოდ, რომ პირველ რიგში კანონმდებლობაში შესულიყო ცვლილებები, მაგალითად, დაზარალებულის უფლებების უზრუნველსაყოფად და მეტი გარანტიისთვის. „მანამდე დაზარალებულს სასამართლოს აქტების გასაჩივრებისა და წინასწარ ძიებაში საქმის მასალების გაცნობის უფლება არ ჰქონდა. ამასთან, ბრალდებულის უფლებების დაცვისთვის გაცილებით მეტი გარანტიაა, ასევე – პროცესში საადვოკატო უფლებების დაცვის თვალსაზრისით", – აცხადებს კობახიძე. მთლიანობაში, როგორც „ქართული ოცნების" წევრი ამბობს, ბევრი რამ გაკეთდა და საქართველოში დემოკრატიის ხარისხი მაღალია, თუნდაც მედიის თავისუფლების თვალსაზრისით. თავისუფალი, კრიტიკული აზრი ყველგან ისმის; ოპონირების გამო, ადამიანებს არ იჭერენ; შეკრება, პროტესტი, გამოსვლა არ იზღუდება.

იდეოლოგიური ამორფულობა

„ქართული ოცნების" წევრთა შეფასებას არ იზიარებს დავით ზურაბიშვილი და აცხადებს, რომ თუ საქართველოს დემოკრატიული პროცესი უნდა და სურს, რომ ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, სამართალდამცველებით ქვეყნის მართვაზე არსებითად უარი უნდა ითქვას. მისი შეფასებით, უშიშროების სამსახური დაკავებული უნდა იყოს საფრთხეებით, ანალიტიკური საქმიანობით და,

■ დემოკრატიის მიმართ ზედაპირულ დამოკიდებულებას დავით ზურაბიშვილი ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის, უპირველეს ყოვლისა ბიძინა ივანიშვილის იდეოლოგიური ამორფულობით ხსნის.

ძირითადად, უცხოეთიდან მომდინარე საფრთხეებით; ამასთან, ქვეყნის შიგნით დემოკრატიის წინააღმდეგ მოქმედი პირებით უნდა ინტერესდებოდეს; უნივერსიტეტში კი არ უნდა ჰყავდეს ჩანერგილი ადამიანი და მისი მიზანი საკადრო პოლიტიკის გაკონტროლება არ უნდა იყოს.

„თუ ეს არ გაკეთდა, აუცილებლად ცუდად დამთავრდება. კარგად არც ერთი ხელისუფლების დროს არ დამთავრებულა", – ამბობს იგი.

დემოკრატიის მიმართ ზედაპირულ დამოკიდებულებას დავით ზურაბიშვილი ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის, უპირველეს ყოვლისა ბიძინა ივანიშვილის იდეოლოგიური ამორფულობით ხსნის.

„ღირებულებები მყარად არ აქვთ ჩამოყალიბებული; არ აქვთ მყარი ცოდნა იმის, რომ ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო. მეორე საკითხია, რომ არ აქვთ ცოდნა ეს, როგორ კეთდება და – ეს, რომ აუცილებელია. გარდა ამისა, ასეთი საკითხების მიმართ ზედაპირული მიდგომა აქვთ. ძალოვანი სტრუქტურებით მართვა ადვილი გეჩვენება, მაგრამ ისინი მართვაში გამოიყენო და ამავე დროს, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას ცდილობდე, ისეთი აბსურდია, რაც წინა ხელისუფლებასაც არ უქნია. „ნაციონალურ მოძრაობაში" კარგად იცოდნენ, რომ ავტორიტარულ რეჟიმს აშენებდნენ. წინა ხელისუფლებას ეს მაინც ჰქონდა გაცნობიერებული. ახლა შეიძლება, მართლა ჰგონიათ, რომ დემოკრატია იმით აშენდება, თუ სუს-ის რომელიმე უწყება Facebook-ზე გამოქვეყნებულ კომენტარებს დაუწყებს მონიტორინგს. ასე არაფერი გამოვა", – თქვა ზურაბიშვილმა.

ივანიშვილის ლეგენდა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ყველაზე აქტუალური ლიდერი კვლავ ბიძინა ივანიშვილია. რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ იგი საჯარო სივრცეში კვლავ ღია წერილით გამოჩნდა და წინასაარჩევნოდ მოსახლეობასთან შეხვედრებსაც გეგმავს. რა პოლიტიკური კაპიტალი აქვს ბიძინა ივანიშვილს და რეალისტურად აფასებს თუ არა მოვლენებს. ამ საკითხზე საუბრისას, ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ივანიშვილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: გია ბუღაშვილი

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მე-4 ყრილობა. თბილისი. 14 მაისი 2016.

მისი გარემოცვა ცდილობს, საზოგადოებას დააჯერონ, რომ ქვეყანაში კვლავ 2012 წელია – არიან ბიძინას, ან მიშას მომხრეები და ქვეყანაში პოლარიზებული სიტუაციაა.

„რეალურად, ქვეყანაში ასეთი ვითარება არ არის. ყოველგვარი მცდელობა, რომ ადამიანები დაარწმუნო იმაში, რაც არ არის და არ არსებობს, აზრს მოკლებულია“, – ამბობს „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი

ზურაბიშვილის თქმით, ივანიშვილი რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, მაშინ საზოგადოების პოლარიზებული დამოკიდებულებები რეალობა იყო და თავისი მოსვლით უპასუხა ამ რეალობას. ამიტომაც ჰქონდა წარმატება და არა იმიტომ, რომ წინასაარჩევნო კამპანია არნახულად წარმართა.

„იმ მორალური ავტორიტეტის პირობებში, რაც ივანიშვილს 2012 წელს ჰქონდა, ნებისმიერი კამპანია გაამართლებდა. 2012 წელს ივანიშვილის ავტორიტეტი და დღევანდელი – ერთმანეთთან შეუდარებელია. იმ დროს ივანიშვილი ცოცხალი ლეგენდა იყო. სახეზეც არავინ ვიცოდით, როგორ გამოიყურებოდა. ბევრმა ისიც კი არ იცოდა, არსებობდა თუ არა. პრაქტიკულად, მითი განსხეულდა, დედამიწაზე ჩამოვიდა, დადგა ფეხი და არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. შეუძლებელი იყო, იგი ვინმეს დაემარცხებინა. დღეს ივანიშვილის ლეგენდიდან არაფერია დარჩენილი. ის საზოგადოების რაღაც ნაწილში ავტორიტეტსა და გავლენას კვლავ ინარჩუნებს, მაგრამ ეს არც კი შეედრება იმას, რაც მას 2012 წელს ჰქონდა“, – თქვა მან.

დავით ზურაბიშვილის შეფასებით, ივანიშვილს უკვე 4-წლიანი სახელისუფლებო ტვირთი აწევს.

„ამ დროის განმავლობაში, რაც მოხდა და რაც ვერ გაკეთდა, ამ საკითხებზე უკმაყოფილება შეიძლება, სხვადასხვანაირი იყოს: რადიკალურად განწყობილი „ანტინაცებით“ დაწყებული და ლიბერალებით დამთავრებული, ივანიშვილის მიმართ პრეტენზია ყველას შეიძლება ჰქონდეს“, – თქვა ზურაბიშვილმა.

პოლიტიკოსის აზრით, ამ ვითარებაში უფრო შედეგიანი იქნებოდა, მას სხვა ტაქტიკა აერჩია და არა საკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გადამწყვეტი ბრძოლის იმიტაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივიზმის მწვანე ფერი

ბოლო რამდენიმე წელია, „მწვანე აქტივისტები“ პოლიტიკის „გამწვანებას“ მოითხოვენ. ყვავილებისა და ხეების დარგვით დაწყებული აქტივობები მწვანე მოძრაობად იქცა.
ისინი ქალაქის ხელისუფალთაგან თბილისის გარემოს, კულტურული მემკვიდრეობისა თუ ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას მოითხოვენ, კანონების ხარვეზებზე საუბრობენ, კონკრეტულ პროექტებს ქუჩაში, საკრებულოში, სასამართლოში, პარლამენტში, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სივრცეში აპროტესტებენ. მათ „ანგარიშზე“ არაერთი პეტიცია, ქუჩის აქცია, კონცერტი, დარგული ხეები, პოლიციასთან სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირება და რამდენიმე დაკავების ფაქტია. არის „მოგებული“ და „წაგებული“ საქმეები. როგორია თანამედროვე „მწვანე აქტივიზმი“ საქართველოში? რამდენად ჰგავს ან განსხვავდება პროცესები ჩვენს მეზობელ ქვეყნებში? რას მიაღწიეს მწვანე თუ ურბანული გარემოს დამცველებმა? მათი მარცხი და გამარჯვებები. რა უჭირთ დღემდე? რა შეცდომებს უშვებენ და რა სჭირდებათ იმისათვის, რომ „მწვანე დემოკრატიას“ მიაღწიონ?



ფოტო: ეკა მაღალდაძე

პროექტ „პანორამა თბილისის“ მოწინააღმდეგეები 2015 წელს, სოლოლაკის ქედთან: SOS თბილისი! ქალაქი საფრთხეშია.

ეკა მაღალდაძე

„ქალაქის გასამწვანებლად“ მოქალაქეთა ერთი ჯგუფის ინიციატივა საზოგადოების ყურადღების ცენტრში 2013 წლის ზაფხულში მოექცა. Faceebook-ზე გაჩნდა გვერდი -„პარტიზანული მებაღეობა თბილისში“, რომელიც სოციალური ქსელის მომხმარებელს ატყობინებდა, რომ თბილისის სხვადასხვა უბანში ხეების დარგვა იგეგმებოდა, ჩუმად, არაორგანიზებულად, უბრალო ინიციატივით. გამოხმაურება დიდი იყო, ზოგი მათ დარგვისთვის კარგ ადგილებს სთავაზობდა, ზოგიც აქციებზე ნიჩბებითა და წყლით სავსე ბოთლებით მიდიოდა.

როგორც ახლა ამ არაოფიციალურ მოძრაობაში გაერთიანებული ადამიანები ამბობენ, მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ხალისით დაწყებული საქმე ქალაქის ყველაზე დიდი პარკის დასაცავად სამწლიან ბრძოლასა და სამართლებრივი, საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებების მოთხოვნაში გადაიზრდებოდა, რომ „მწვანე სივრცეების დაცვა ფიზიკურად მოუწევდათ“.

პირველი ხმაურიანი „ობიექტი“ კუსტბის ფერდობზე ე.წ. „ციყვების“ ტერიტორია იყო. მისი ნაწილი ჯერ გასხვისდა, შემდეგ მერია-საკრებულომ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსი, ანუ დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სტატუსი დაუქვეითა და სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე, რესტორნისა და საბანკეტო დარბაზის მშენებლობა დაუშვა. პროექტს მოქალაქეები, პარტიზანი მებაღეები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მშენებლობისთვის ხელის შეშლის გამო რამდენიმე მჯდომარე აქტივისტი პოლიციამ ტერიტორიიდან ძალით გაიყვანა. შემოღობილი ადგილი მოსწორდა, ნერგები ამოიღეს, მშენებლობა გაგრძელდა. საქმე წაგებულად ჩაითვალა, მაგრამ „პარტიზანები“ ფიქრობენ, რომ ეს პირველი სერიოზული გაკვეთილი იყო, რომელიც ისწავლეს. „მთავარია, ბევრნი ვიყოთ“, – ამბობდა ამის შემდეგ ნატა ფერაძე, ერთ-ერთი პარტიზანი მებაღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე ცხელ და „მწვანე“ ზაფხულს სტუდენტური მოძრაობა „მწვანე მუშტი“ გამოჩნდა. 2013 წლის 20 ივლისს მათ პირველი აქცია გამართეს – „არა რესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკას!“. აქციის მონაწილე და ორგანიზატორი ახალგაზრდები ამბობდნენ, რომ ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროების პოლიტიკა მდგრადი განვითარების პრინციპებს არ ეყრდნობა, რომ ქვეყანამ არც კი იცის, ზუსტად რა რაოდენობის ენერგია სჭირდება, რომ დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა სტიქიურია; გაუაზრებელი და შეუსწავლელია გარემოზე მათი მავნე ზემოქმედება. „ბუნებას ისეთი საფრთხე ემუქრება, რომ უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, მერე ამის გამოსწორება შეუძლებელი იქნება“, – ამბობდა ნიკა წიქარიძე, მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი.

აქციის მონაწილეები მიუთითებდნენ, რომ ახალი ხელისუფლება ძველის პოლიტიკას განაგრძობდა, შეუსწავლელად, „ინვესტორის ინტერესს ბრმადაყოლილი“ გასცემდა ნებართვებს ენერგო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ყაზბეგში, სვანეთსა თუ აჭარაში.

სექტემბერში ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული პროტესტი განახლდა. სოფელ ხაიშში პროექტის საჯარო განხილვა მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ჩაიშალა. „არა ხუდონჰესს“ – ამ მოწოდების აქციები კი შემოდგომაზე სვანეთის გარდა, დედაქალაქშიც არაერთხელ გაიმართა, უმეტესად სწორედ „მწვანე მუშტის“ ორგანიზებით.

ამავე დროს „პარტიზანი მებაღეები“ ვაკის პარკის რეაბილიტაციის პროექტს იწუნებდნენ. თბილისის გამწვანების სამსახურის უფროსს სთხოვდნენ, პარკის შუაგულში ხეების ფორმის „პლასტმასის ჩანჩქერები“ პროექტიდან ამოეღოთ, მაგრამ ამასობაში შეიტყვეს, რომ პარკის სიღრმეში, ყოფილი რესტორნის, „ბუდაპეშტის“ ადგილას სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობა იგეგმებოდა. ტერიტორია უკვე შემოღობილი იყო, საძირკვლისთვის მიწის ნაწილიც – უკვე რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ამოთხრილი. მანამდე არსებული „მწვანე პროტესტი“ ვაკის პარკის შემთხვევამ სხვა განზომილებაში გადაიყვანა.

„ჰამქრის“ წარმომადგენელი ცირა ელისაშვილი ამბობს, რომ ეს „რადიკალური ზომების“ აუცილებლობის პირველი შემთხვევა იყო. მეორე ასეთ საქმედ, რომლისთვისაც შესაძლოა, არალეგალური, კანონის ფარგლებიდან გამოსული ქმედებები გახდეს საჭირო, ელისაშვილს „პანორამა თბილისის“ პროექტი მიაჩნია.

საჯარო განხილვის მოთხოვნები, დისკუსიები საკრებულოში, შეხვედრები მერიაში, აქციები პარკში, საკრებულოსა თუ მერიასთან. „ქალაქის მერია ქალაქის მტერია“ და სხვა სლოგანები, ათობით სტატია, სიუჟეტი. იანვარში „პარტიზანები“ უკვე პარკში მისულ ბულდოზერებს დაუპირისპირდნენ. სამშენებლო სამუშაოების დაწყებას შემოღობილ ტერიტორიაზე, თხრილთან, რამდენჯერმე შეუშალეს ხელი. 24 იანვარს კი პარკში პირველად დარჩნენ მთელი ღამით. მალე კარავიც გაშალეს და თითქმის 7 თვის განმავლობაში მორიგეობდნენ, რომ მოსალოდნელი სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, მობილიზაცია გამოეცხადებინათ და ტექნიკისთვის ისევ შეეშალათ ხელი.

ზაფხულში, როცა მორიგეობა შეწყვიტეს, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად პარტიზან მებაღეებსა და რამდენიმე მოქალაქეს უკვე ჰქონდა სასამართლოში საქმე შეტანილი. ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობის შესახებ სასამართლომ გადაწყვეტილება 2 წლის შემდეგ, 2016 წლის მარტში მიიღო. განმარტა, რომ თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა სარეკრეაციო სივრცეში სასტუმროს აშენების გამონაკლისი დაუსაბუთებლად დაუშვეს, ამიტომ გაუქმებულად ჩაითვალა ე.წ. სპეციალური ზონალური შეთანხმებაც და მშენებლობის ნებართვაც. საკითხი განსახილველად და თავიდან გადასაწყვეტად თბილისის მერიას დაუბრუნდა, თუმცა გადაწყვეტილების შესახებ ჯერ ცნობილი არაფერია.

აქტივისტები ფიქრობენ, რომ სწორედ გარემოსდაცვითი მოძრაობების გაძლიერება-გააქტიურების გავლენად და დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისას მერობის კანდიდატების დაპირებები არნახულად „მწვანე“ იყო. „გამწვანების“ პერსპექტივა ლამის „დასაქმების“ პერსპექტივას უტოლდებოდა, განსაკუთრებით, მმართველი პარტიის კანდიდატის კამპანიაში.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, გადაწყვეტილებების მიღებაში სპეციალისტების ჩართვა და საერთოდაც, მილიონი ხის დარგვა – გამარჯვებული მერის მთავარი დაპირებები იყო.

პარტიზანი მებაღე ნატა ფერაძე ამბობს, რომ „მწვანე დაპირებების“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ალეკო ფანცულაია

სამოქალაქო მოძრაობების გაერთიანების "ერთად" აქცია პერფორმანსი. თბილისი. 27 თებერვალი 2016.

სიმრავლე სწორედ იმან გამოიწვია, რომ ეს თემა ცხელი და აქტუალური გახდა. პოლიტიკოსები ხვდებოდნენ, რომ ეს იყო საზოგადოების მოთხოვნა. ფიქრობს, რომ მოახერხეს ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებულიყვნენ. მით უმეტეს, რომ შარშან, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ 25-მდე ორგანიზაცია, სამოქალაქო მოძრაობა თუ საინიციატივო ჯგუფი გაერთიანდა და ქალაქის კულტურული მემკვიდრეობისა თუ საჯარო სივრცეების დასაცავად აქციებს სწორედ „ერთად" სახელით მართავენ. თუმცა დამოკიდებულება მათ მიმართ არაერთგვაროვანია, ზოგი არასერიოზულად უყურებს, ზოგი პოლიტიკურად მართულ ძალად მიიჩნევს, ზოგიც – უცხოური გრანტისმაძიებელთა გაერთიანებად.

„ჩვენ ვიპოვეთ საერთო ენა, გვქონდა ერთობლივი აქციები. პროცესი არ არის მარტივი. სრულიად განსხვავებული გამოცდილების ადამიანების გაერთიანებას დრო და ძალისხმევა სჭირდება. ცალ-ცალკე გაცილებით ნაკლებ შედეგს ვაღწევთ. არაფორმალური გაერთიანება „ერთად" იმედი მაქვს, მოახერხებს, სერიოზულ გადაწყვეტილებებზე იქონიოს გავლენა და კიდევ მეტ მსურველს გააერთიანებს", – ამბობს ნატა ფერაძე.

თუმცა გარემოსდაცვითი, ურბანული აქტივიზმის ყველაზე გახმაურებული და შეიძლება ითქვას, წარმატებული მაგალითი (თუ 25-30 წლის წინანდელ მწვანე მოძრაობაზე არ ვისაუბრებთ, რომელიც „ხუდონჰესისა" და ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის საწინააღმდეგოდ დაიწყო) რამდენიმე წლით ადრე გუდიაშვილის სკვერის დასაცავად დაწყებული პროტესტი და მოძრაობა „გაამაგრე გუდიაშვილი" იყო. ქალაქზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარი" და სხვა მოქალაქეები მოედანზე ისტორიული შენობების თანამედროვე შუშის კონსტრუქციებით ჩანაცვლებას ეწინააღმდეგებოდნენ. გარკვეული პერიოდულობით იკრიბებოდნენ სკვერში, აწყობდნენ კონცერტებს, გამოფენა-გაყიდვებს, ზოგჯერ კი მშენებლობის დაწყებას ფიზიკურადაც აფერხებდნენ.

„ჰამქრის" წარმომადგენელი ცირა ელისაშვილი ამბობს, რომ ეს „რადიკალური ზომების" აუცილებლობის პირველი შემთხვევა იყო. მეორე ასეთ საქმედ, რომლისთვისაც შესაძლოა, არალეგალური, კანონის ფარგლებიდან გამოსული ქმედებები გახდეს საჭირო, ელისაშვილს „პანორამა თბილისის" პროექტი მიაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თანაინვესტირების ფონდის“ მიერ 2 წლის წინ წარმოდგენილი პროექტი ერეკლე მეფის მოედანზე, თავისუფლების მოედანზე, სოლოლაკის მაღლობსა და ბაღებში მულტიფუნქციური კომპლექსების მშენებლობას ითვალისწინებს. ობიექტები ერთმანეთს საბაგირო გზებით უნდა დაუკავშირდეს. პროექტს გამოქვეყნების დღიდანვე პროტესტი მოჰყვა. ის ქალაქის ისტორიული ზონისთვის მიუღებლად მიაჩნიათ გარემოსდამცველებს, ურბანისტებისა და ხელოვნებათმცოდნეების ნაწილს. სწორედ „პანორამა“ და მირზა შაფის ქუჩის განვითარების ახალი პროექტი იყო სწორედ ერთ-ერთი გარდამტეხი, რამაც ამ სფეროში მომუშავე ჯგუფების გაერთიანება გამოიწვია.

თუმცა სოციოლოგ ლია წულაძეს მიაჩნია, რომ ამ კოალიციის შემადგენლობა მაინც ერთგვაროვანია და სწორედ ამიტომ უჭირთ მათ პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ განწყობებზე გავლენის მოხდენა. კვლევითი პროექტის „SOS თბილისი: გარემოსდაცვითი სამოქალაქო მონაწილეობის გამოწვევები საქართველოში“ შედეგების მიხედვით, წულაძე ამბობს, რომ „მწვანე აქტივიზმი“, როგორც სამოქალაქო მოძრაობის ერთ-ერთი სახე, გარკვეულწილად, იმავე პრობლემების წინაშე დგას, რის წინაშეც, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოება, თუმცა არის სპეციფიკური ბარიერებიც.

მკვლევრები რამდენიმე წლის განმავლობაში ორ გარემოსდაცვით საპროტესტო კამპანიას – „დაიცავი ვაკის პარკი“ და „პაNOრამა“ აკვირდებოდნენ. ეს ორი შემთხვევა მათთვის სხვადასხვა ხელისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები იყო, რომლებსაც საკითხზე, პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებული, ხანგრძლივი პროტესტი მოჰყვა.

კვლევის ავტორები ამბობენ, რომ თუკი არსებული კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევაში იძლევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის გარანტიებს, პრაქტიკაში ამისთვის ხშირად არც ხელისუფლების წარმომადგენლები არიან მზად და არც საზოგადოებისა. ამ შემთხვევაში, გარემოსდამცველების წინაშეც იგივე პრობლემებია, რაც, ზოგადად, სამოქალაქო აქტივისტების.

„მოქალაქეს არ სჯერა, რომ შეუძლია, შეეწინააღმდეგოს და ამას მოჰყვეს რეალური შედეგი“, – ამბობს ლია წულაძე და დასძენს, რომ სამოქალაქო აქტივიზმს „პასუხისმგებლობის დიფუზიის“ ფენომენი განსაკუთრებით უშლის ხელს, როცა კონკრეტული ადამიანები ფიქრობენ, რომ „ერთი ადამიანის მისვლა-არმისვლით“ არაფერი შეიცვლება, მით უმეტეს, თუ ასობით სხვა აპირებს აქციაზე მისვლას.

„მწვანე აქტივისტები ყველაზე მეტად სწორედ საზოგადოების მობილიზაციის მნიშვნელობასა და სირთულეზე წუხან, ამ სირთულის მიზეზი კი დაბალი სოციალური პასუხისმგებლობაა, ამ პასუხისმგებლობის დიფუზია და სოციალური ნიჰილიზმის მდგომარეობა. როცა მძიმე სოციო-ეკონომიკური პირობების გამო, ადამიანებს იმწუთიერი მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილება მიაჩნიათ უფრო პრიორიტეტულად. ამ დროს მეორეხარისხოვანი ხდება ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ტოლერანტობა და სხვა. ძნელია, სამოქალაქო კულტურის განვითარების მაღალ დონეზე ისაუბრო ამ დროს, ან ელოდე, რომ ის განვითარდება, მით უმეტეს არც ისე შორს საბჭოთა წარსულისგან“, – ამბობს სოციოლოგი.

„ნატა ფერაძე იზიარებს შეხედულებას, რომ მათი საქმიანობა ვერაფრით ვერ იქნება აპოლიტიკური, როგორც ამას თავდაპირველად ამბობდნენ: როცა ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეცვლას ან მიღებას მოითხოვენ და მათი აქტივობაც არის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მცდელობა – მათი აქტივობა პოლიტიკურია.

მკვლევარის აზრით, თუნდაც სამოქალაქო მოძრაობებისა და ორგანიზაციების გაერთიანება – „ერთად“ შეიძლება ვერ იყოს წარმატებული, სანამ მასში განსხვავებულ თემებზე მომუშავე ჯგუფები არ განევრიანდებიან, არა მხოლოდ „თემატურად და იდეურად მწვანე“ ჯგუფები.

„თუკი სხვადასხვა საკითხით დაინტერესებული ჯგუფები გაერთიანდებიან, საზოგადოების ყურადღებას მეტად მიიპყრობენ. თუ იქ იქნება გარემოს დაცვის, გენდერული თანასწორობის, განათლების რეფორმისა თუ სხვა საკითხები, ამით მათი წარმატების შესაძლებლობა გაიზრდება“, – ფიქრობს წულაძე.

თუმცა ამ ეტაპზე მთავარ დაბრკოლებად მკვლევარს მაინც ხელისუფლების მხრიდან მწვანე აქტივისტების პოლიტიზების მცდელობა მიაჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობის მოწინააღმდეგე აქტივისტები ვაკის პარკში 7 თვის განმავლობაში მორიგეობდნენ. კარავი ჰქონდათ გაშლილი, აწყობდნენ სხვადასხვა ღონისძიებას ერთი სლოგანით: „დაიკავე ვაკის პარკი“.

„აქტივისტების პოლიტიზება ნებისმიერი ხელისუფლებისთვის მოსახერხებელია იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს აქტივიზმის კიდევ უფრო გაძლიერებას და გადაწყვეტილების პროცესში მეტ ჩართულობას.

მთავრობამ შეიძლება მუდმივად იმეოროს, რომ მწვანე აქტივისტები პოლიტიზებული ძალაა, ახლანდელმა ხელისუფლებამ მათ „ნაცმოძრაობის სატელიტები“ უწოდოს, წინა ხელისუფლების წევრებმაც პოლიტიკურად მართულები უძახონ. იმის მიხედვით, როდის რას აპროტესტებენ, ხან ერთ პოლიტიკურ ძალასთან ხდება მათი ასოცირება და ხან მეორესთან. ეს უთუოდ აისახება საზოგადოების დამოკიდებულებაზეც, რაც ძალიან უშლით ხელს. რაც უფრო ფართოდ გავრცელდება ეს დისკურსი საზოგადოებაში და მეტი ადამიანი იფიქრებს, რომ პროცესი პოლიტიკურად მართულია, მით ნაკლები შეეცდება მათთან აფილირებას, მათ მოძრაობაში ჩართვას. ეს ხომ ცხადია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პოლიტიკური იარლიყის მოშორება და ამ პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებისგან გათავისუფლება. ეს ძალიან რთულია, მაგრამ – აუცილებელი, სხვანაირად ძალიან ძნელი იქნება, პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებული, მაგრამ არაპოლიტიკური აქტივიზმი იყოს წარმატებული", – ამბობს ლია წულაძე და განსხვავებული კომპეტენციის, ექსპერტული ცოდნის ადამიანების შემოკრების აუცილებლობაზე საუბრობს, კულტურული მემკვიდრეობა იქნება ეს, ურბანისტიკა, თუ ბიომრავალფეროვნება.

ნატა ფერაძე იზიარებს შეხედულებას, რომ მათი საქმიანობა ვერაფრით ვერ იქნება აპოლიტიკური, როგორც ამას თავდაპირველად ამბობდნენ: როცა ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შეცვლას ან მიღებას მოითხოვენ და მათი აქტივობაც არის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მცდელობა – მათი აქტივობა პოლიტიკურია.

„მაგრამ ჩვენ არც ერთი კონკრეტული პარტიის მხარდამჭერები არ ვართ. წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ რომ წავედით, ოცნების მხარდამჭერებად მოგვნათლეს, ახლა რომ ვეწინააღმდეგებით ზოგიერთ პროექტს, ნაცმოძრაობის სატელიტებს გვიწოდებენ. ჩვენ ფაქტებს ვებრძვით და მათი გამოსწორება გვინდა, რომელი პოლიტიკური ძალაც უნდა იყოს სათავეებთან და რომელთანაც უნდა გვიწევდეს დაპირისპირება" – თუმცა ამავე დროს ნატა აღნიშნავს, რომ სულაც არ უნდა, მათ აქტივობას „ბრძოლა" ერქვას.

„გვინდა ეს იყოს დახმარების შეთავაზება, დახმარება, როგორ გამოსწორდეს ესა თუ ის პოლიტიკური შეცდომა. ჩვენი მიზანი ესაა. გვინდა, ვიქონიოთ პოლიტიკაზე გავლენა ისე, რომ არ მივეკუთვნებოდეთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას". – ამბობს ნატა ფერაძე.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის გარემოსდაცვითი პროექტების ხელმძღვანელი თამარ ანთიძე ამბობს, რომ სწორედ „მწვანე პოლიტიკით" დაინტერესებული ჯგუფების დასაახლოებლად და ერთმანეთთან დასაკავშირებლად შეიქმნა ფონდის პროექტი „მწვანე აკადემია".

„ჩვენ შევკრიბეთ ადამიანები, რომლებიც ერთ სამოქალაქო პოზიციაზე დგანან, მაგრამ ამაში ცხადად თვითონაც არ არიან დარწმუნებულნი. რეგიონში არსებულ ამ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს უამრავი საერთო აქვთ, არის ძალიან ბევრი თემა, რომლებზეც ერთობლივად მუშაობაა შესაძლებელი. აკადემიის მონაწილეები ასეთ თემებად სოციალური სამართლიანობის, გარემოს დაცვის, გენდერულ, შრომითი უფლებების საკითხებს მიიჩნევენ. მათ აკლდათ სივრცე, სადაც შეძლებდნენ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებას და სამომავლო სტრატეგიების შეჯერებას. სწორედ რომ „მწვანე პოლიტიკა" უყურებს ამ საკითხებს ჰოლისტიკური მიდგომით, ცდილობს ამ პრობლემების ახსნას მათი სისტემური ხასიათით და მათი გადაჭრის გზადაც ერთიან ბრძოლას ხედავს, „მწვანე პოლიტიკის" იდეა ამ მხრივ ძალიან მარტივია" – ამბობს ანთიძე.

■ პოლიტიკის ანალიტიკოსი, არასამთავრობო „პოლიტიკური დისკურსის" წარმომადგენელი ვაჰრამ სოღომონიანი ამბობს, რომ „მწვანე აქტივიზმი" სომხეთში 6-7 წლის წინ გააქტიურდა, თუმცა ახლა ის ერთგვარ კრიზისშია, რადგან აქტივისტებმა ვერ მოახერხეს, თავიანთი მოთხოვნები პოლიტიკურად ექციათ,

მისი თქმით, რეგიონის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის, ქვეყნებს ამ მხრივ ბევრი საერთო აქვთ. თუმცა პოლიტიკურმა პროცესებმა და განვითარების განსხვავებულმა გზებმა ამ ქვეყნებში სამოქალაქო აქტივიზმისთვის სივრცე განსხვავებული მოცულობით დატოვეს. თუკი აზერბაიჯანის მდგომარეობა ამ მხრივ უიმედოა, სომხეთში მწვანე აქტივისტები ცოტა იმედგაცრუებულები არიან, მაგრამ პროცესებზე დაკვირვება და შედარება მაინც საინტერესოა.

პოლიტიკის ანალიტიკოსი, არასამთავრობო „პოლიტიკური დისკურსის" წარმომადგენელი ვაჰრამ სოღომონიანი ამბობს, რომ „მწვანე აქტივიზმი" სომხეთში 6-7 წლის წინ გააქტიურდა, თუმცა ახლა ის ერთგვარ კრიზისშია, რადგან აქტივისტებმა ვერ მოახერხეს, თავიანთი მოთხოვნები პოლიტიკურად ექციათ,

„თუკი თავიდან მაშტოცის პარკის დასაცავად იყო ძალიან დიდი მუხტი, მხოლოდ 3-4 თვის შემდეგ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ეს ერთ-ერთი იყო იმ საჯარო სივრცეთაგან, რომელიც საჯარო საკუთრებაა, რომ ეს საზოგადოებას ეკუთვნის და არა ხელისუფლებას. ამან იქონია გავლენა პოლიტიკურ ნარატივზეც. ქალაქის მერმა ერთ-ერთი ბალის გახსნისას თქვა, რომ ისინი უბრუნებდნენ ხალხს მათ საკუთრებას, თუმცა მოძრაობა პოლიტიკურად ვერ იქცა. როდესაც პრეზიდენტი მაშტოცის პარკში მივიდა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე და მთავრობის გეგმების ცვლილების შესახებ აცნობა, პარკის დამცველებმა მიიჩნიეს, რომ საქმე ამით დამთავრდა და აღარ მოუთხოვიათ კორუმ-

„საჯარო სივრცე – საჯარო საკუთრებაა და არა ხელისუფლების“ – ამგვარი აღქმა მაშტოცის პარკის დასაცავი აქციების შემდეგ გაძლიერდა სომხეთშიც.

ფოტო: ანა ბერაძე

პირებული ჩინოვნიკების დასჯა“, – ამბობს სოლომონიანი.

მისი თქმით, ამ შემთხვევისგან განსხვავდებოდა ტრანსპორტის საფასურის გაძვირების ამბავი, როდესაც პროტესტის შედეგად ტარიფი იგივე დარჩა, მაგრამ ახალგაზრდები რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ მოითხოვდნენ მერიის მაღალჩინოსნების გადაყენებას. მოგვიანებით ახალგაზრდების პროტესტი სხვა სოციალურმა საკითხებმა მოიცვა – სოციალური უსამართლობა, კორუფცია, 40%-იანი უმუშევრობა, სიღარიბე.

სოლომონიანის აზრით, თუკი თავიდან „მწვანე აქტივიზმს“ სომხეთში ძალიან პოზიტიური დინამიკა ჰქონდა, ის ახლა, გარკვეულწილად, შეფერხებულია, ლიბერალური თუ კონსერვატიული პარტიები ცდილობენ ამ ახალგაზრდების გადაბირებას და გასაგებია, რომ ისინი თავიანთ მემარცხენე იდეებს იმ პარტიებში ვერ გაატარებენ.

გეზი პარკის დაცვა გახდა სერიოზული სოციალური პროტესტის დასაწყისიც თურქეთში 2013 წელს. გამოკვეთილი ლიდერის გარეშე, ტაქსიმის მოედნისა და პარკის დასაცავად დაწყებულმა აქციებმა ფართო სამოქალაქო მოძრაობის სახე მიიღო. პოლიციის მხრიდან აქციის დაშლის შემდეგ საპროტესტო აქციებმა 10-მდე ქალაქი მოიცვა. 11 ადამიანი დაიღუპა, 8 000-ზე მეტი დაშავდა. სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, ხელისუფლების ავტორიტარიზმის შეზღუდვა აქციების მონაწილეთა მთავარ მოთხოვნებად იქცა.

სტუდენტი ლევან ლორთქიფანიძე გაერთიანება „მწვანე მუშტის“ წევრი და „მწვანე აკადემიის“ ერთ-ერთი მონაწილეა. მისთვის და მისი თანამოაზრეებისთვის „მწვანეობა“ მხოლოდ მწვანე საფარის დაცვა არ არის და ამბობს, რომ ევროპული მოძრაობების მსგავსად, მხოლოდ განსხვავებული, თუმცა მემარცხენე ჯგუფების ერთიანობით არის შესაძლებელი „მწვანე დემოკრატიის“ მიღწევა თუ არა, მასთან მიახლოება მაინც.

„მწვანეობის თვალთახედვის არეალში ხვდება სხვა თემებიც: სოციალური სამართლიანობა, პირდაპირი დემოკრატია, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა, მილიტარისტული ხარჯის შემცირება. ჩვენ ვამბობთ, რომ „მწვანეობას“ აქვს რამდენიმე ძირითადი ღირებულება, რომელთა შორისაც იერარქია არ არსებობს. ვამბობთ, რომ ეკოლოგიაზე მნიშვნელოვანი არაა ქალთა საკითხები და არც პირიქით, რომ სოციალური სამართლიანობა მდგრად განვითარებაზე მნიშვნელოვანი არაა, მაგრამ არც პირიქით. ეს ღირებულებები ჩვენი მოძრაობისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია“, – ამბობს ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მწვანე მუშტს“ სხვა ქართული „მწვანე“ ჯგუფებისგან წითელი შეფერილობა გამოარჩევს. თუმცა 70-იან წლებში ევროპაში გააქტიურებულ მემარცხენე მოძრაობების მსგავსად, რომლებსაც არ სურდათ პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან, უკვე კარგად დამკვიდრებულ, კორუმპირებულ მუშათა, სოციალისტურ პარტიებთან ასოცირება, არც მათ სურთ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფთან დაკავშირება, მაგრამ სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფის გაერთიანებას აუცილებლობად მიიჩნევენ – ფემინისტები იქნებიან, მუშათა უფლებებისა თუ კულტურული მემკვიდრეობის დამცველები.

„სომხეთსა და საქართველოშიც ფიქრობენ, რომ გარემოს დაცვა პოსტმატერიალისტური საკითხია და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადაწყდეს, რაც ელემენტარული მოთხოვნები დაკმაყოფილდება. მანამდე კი მზად არიან, სრულად ამოწურონ რესურსები, გაანადგურონ სასიცოცხლო სივრცე, მაგრამ ეს ადამიანების ბრალი ხომ არ არის. ეს იმ სოციალური უთანასწორობის ბრალია, რომელიც ამ საზოგადოებებშია შექმნილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მწვანეობა“ არაა პოსტმატერიალისტური საკითხი, რომ ეს დღევანდელი და ძალიან მატერიალისტური საკითხია. ეს უკავშირდება სწორედ სოციალური სამართლიანობის თემას და მისი მომავლისთვის გადადება და შემონახვა დამლუპველია ამ საზოგადოებისთვის იმიტომ, რომ შეუქცევად პროცესებთან გვაქვს საქმე, რომელიც ამ რესურსს არათუ ამოწურავს, არამედ უსამართლოდ ანაწილებს“, – ამბობს ლორთქიფანიძე და დასძენს, რომ სწორედ ამიტომ „მწვანე მუშტი“ მხარს უჭერს ხოლმე მუშათა გაფიცვებს, გარემოსდამცველთა აქციებს, ეწინააღმდეგება ენერგოპოლიტიკას, თუ აპროტესტებს საყდრისის მაღაროს განადგურებას.

სტამბოლის ცენტრში გეზი პარკის დასაცავად დაწყებული აქციები 2013 წელს ფართო სამოქალაქო მოძრაობაში გადაიზარდა.

მისი აზრით, ამ ჯგუფებში ჯერ მხოლოდ ერთიანობის აღქმა არსებობს და არა საბოლოო ერთიანობა, მაგრამ ამ სოციალური კაპიტალის გაზრდა და საერთოს გამონახვა შესაძლებელია, განსხვავებების მიუხედავად.

„სოლიდარობა ამ ცალ-ცალკე ნათქვამ სიტყვებს გაცილებით უფრო დიდ ძალას აძლევს, ვიდრე მაშინ აქვთ, როცა გათიშულად მოქმედებენ. ჩვენი მოწინააღმდეგეები – ნაციონალისტები, შოვინისტები, სხვადასხვა რეგრესული ძალა ძალიან ორგანიზებულები არიან. მათ აქვთ ტელევიზიები, ფული, გავლენა, ინტრიგების ხლართვის დიდი გამოცდილება და როცა ისინი ასე მობილიზებულები იბრძვიან ჩვენი – ერთმანეთთან თეორიულ დისკუსიებში ჩართული პატარა ჯგუფების წინააღმდეგ, ჩვენ ორმაგად უფრო სუსტად ვჩანვართ ხოლმე, ამიტომ თეორიული აზრთა სხვადასხვაობა უნდა გავაგრძელოთ აკადემიურ სივრცეში, სამოქალაქო სივრცეში კი ერთიანი პოზიციით გამოვიდეთ. კრიტიკულ სიტუაციებში ასეც ხდება ხოლმე. როცა ტყიბულს უჭირს, ამბიციები უკან იწევს. ყველა კარგად დგას ახალგაზრდა მწვანეების ტენტის ქვეშ, ისინიც, ვინც მათ მანამდე აკრიტიკებდა. ყველა კარგად საუბრობს ვიღაცის ნათხოვარ მიკროფონში და ა.შ. იმედია, ჩვენც მეტს ვისწავლით“, – ამბობს ლევან ლორთქიფანიძე.

რაც შეეხება „პოლიტიკურ აქტივიზმს“, ლორთქიფანიძეც ამბობს, რომ „მწვანე მუშტისთვის“ მისაღები ტერმინიც „აპარტიულია“ და არა აპოლიტიკური.

„დიახ ჩვენ გვაქვს პოლიტიკური მიზნები: როცა მოითხოვ, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მდგრადი განვითარების სტრატეგია, ეს ნიშნავს, რომ თავდაყირა უნდა დადგეს დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა; როცა მოითხოვ შრომის ინსპექციის რეალური მექანიზმის შექმნას, ეს ნიშნავს, რომ შრომის პოლიტიკის პრიორიტეტებს 100%-ით უნდა გადახედოს სახელმწიფომ; როცა მოითხოვ განათლების ხარისხის კონტროლს გარე რეფერირების გზით, ესეც საფუძველს აცლის განათლების სამინისტროსა თუ კომიტეტის მუშაობის ძირითად მიმართულებებს. ასე რომ, ჩვენი მოთხოვნები პოლიტიკურია, მაგრამ არა პარტიული. არ გვსურს პოლიტიკურ პარტიებთან კავშირი იმიტომ, რატომაც მწვანეებს არ სურდათ, წითლებთან ერთად გამოსულიყვნენ არჩევნებში 1970-80-იან წლების ევროპაში. დღევანდელი პარტიები უკვე კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასის ნაწილია. ამ კლასს აქვს თავისი წესები და პოლიტიკური კულტურა, მათ არ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ბიზნესი დარეგულირდეს; არ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება „მწვანეობა“ სხვა თემებსაც უკავშირდებოდეს, არ წარმოუდგენიათ ის, რომ ანტისექსისტური განწყობები ჰქონდეს რომელიმე მოძრაობას, რომ რელიგიური საკითხებით არ უნდა მოხდეს მანიპულირება. შესაბამისად, მათთან თანამშრომლობა ვერ შედგება. ბინძური, ფესვგამდგარი პოლიტიკური სისტემის მიმართ გვაქვს ძალიან რადიკალური პოზიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგონილი მასწავლებლები

ჯინო მსუქანი და საყვარელი, მაგრამ ეგოისტი გომბეშოა. იცავს თავის სახლ-კარს, რომელიც მდიდრულ ვილას უფრო ჰგავს, ვიდრე პატარა გუბურას. ჯინოს სამყოფელს დიდი ღობე აქვს გარშემორტყმული, მის იქით კი ყველაფერი ნელ-ნელა ინგრევა, უდაბურდება, წყალი შრება. იქ, გარეთ ბევრს მუშაობენ და ცდილობენ, მათ სახლებს მომდგარ სამშენებლო ტექნიკას და ადამიანებს გადაურჩნენ. ამ დროს ჯინოს ეზო მწვანეა, ტენიანი, წყლის პირას გარუჯვაც სასიამოვნოა და ცივი წვენის დალევაც. მეზობლები მის გალავანს მიადგებიან, მაგრამ ჯინო შიგნით არ უშვებს, არც წყალს უზიარებს. თუმცა ჯერ არ იცის, რომ მალე ხანძარი გაჩნდება, და თუ მისი ღობის შიგნით შემორჩენილ სიკეთეს სხვებს არ გაუზიარებს, ისიც ისევე განადგურდება, როგორც ყველაფერი, რაც გარეთ დარჩა. ჯინო უნდა შეიცვალოს.

ეკა მაღალდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯინო ანიმატორ დათო კიკნაველიძის ამავე სახელწოდების (GENO) ანიმაციური ფილმის გმირია. დათო წლებია, ანიმაციებზე მუშაობს, თუმცა „ჯინო“ – ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც ეკრანებზე გამოჩენილა და არც საფესტივალო ცხოვრება დაუწყია.

„ყველაფერი 2012 წელს ბუნების სიყვარულით დაიწყო“, – იხსენებს დათო. „ძალიან ლამაზ ადგილას ვცხოვრობ, ლისის ტბასთან. ირგვლივ ბუნებამ ნელ-ნელა გაქრობა დაიწყო, სიმწვანე ბეტონმა ჩაანაცვლა... და გაჩნდა „ჯინოს“ იდეაც“.

მერე იყო „პროექტების ბაზრობა“. „ჯინოს“ გუნდმა პროექტის პრეზენტაციაზე გერმანელი პროდიუსერი დააინტერესა, შედეგად, ის ქართულ-გერმანული პროექტი გახდა. ამიტომ დათოს უკვე შეეძლო, „ჯინო“ რობერტ ბოშის ფონდის კონკურსში წარედგინა, რომლის მთავარი პირობაც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კოლაბორაციაა. 2013 წელს „ჯინო“ ამ კონკურსის გამარჯვებული გახდა და პირველი ქართულ-ევროპული კოპროდუქცია იქნება ანიმაციის ისტორიაში. ერთი წლის შემდეგ უკვე ქართული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ „პროექტების განვითარების კონკურსში“ გაიმარჯვა და ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო. საქმე უკვე მულტფილმის დაგეგმვასა და წარმოებაზე მიდგა. დაფინანსების მოპოვებაზე რთული ამ შემთხვევაში სამგანზომილებიანი ანიმაციური ფილმის შექმნისთვის საჭირო გამოცდილების მქონე პროფესიონალების პოვნა აღმოჩნდა.

„ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, წარმოებაში მთლიანად ქართველი პროფესიონალები ყოფილიყვნენ ჩართულები. მიუხედავად იმისა, რომ 3D ანიმაციის შექმნა ძალიან ძვირი ჯდება, აღმოვჩნდით მდგომარეობაში, რომ გვქონდა თანხა, მაგრამ არ გვყავდა საჭირო ხალხი, საკმარისი რაოდენობით. ძალიან დიდი დრო და ენერგია დავახარჯეთ, რომ ასეთი ხალხი როგორმე გვეპოვა. შეიკრიბა 20-მდე ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ ანიმაციისთვის საჭირო სხვადასხვა ეტაპსა და ნაწილზე მუშაობის გამოცდილება, მაგრამ არც ერთ მათგანს თავიდან ბოლომდე ეს პროცესი გუნდში არ გაუვლია. ეს იყო ყველაზე რთული“, – ამბობს დათო კიკნაველიძე.

ანიმატორი ფიქრობს, რომ მულტფილმის შექმნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ წინასაწარმოო ეტაპია, ჯგუფის ჩამოყალიბება და სწორი დაგეგმვა. ამასთან, მისი თქმით, ანიმაცია ის სფეროა, რომელსაც ძალიან ბევრი „ვიწრო სპეციალობა“ სჭირდება. „ჩვენ გვჭირდებოდა ანიმატორები, გარემოს მოდელერები, განათების არტისტები, სიბრტყეების არტისტები, 3D სიმულაციების შემქმნელები, დაიწერა ორიგინალური მუსიკა, დავიწყეთ პერსონაჟებისა და გარემოს მოდელების შექმნა ვირტუალურ სამყაროში“, – ამბობს „ჯინოს“ ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო დაფინანსების სიმცირე – დოტაცია ინდუსტრიის ნაცვლად

„ჯინო“ ანიმაციური ფილმების სტუდია „LIRA Production“-ში იქმნება. მისი ქართველი კო-პროდიუსერი ამბობს, რომ მიუხედავად სტუდიის გამოცდილებისა და გარკვეულ პროფესიონალებთან მუშაობისა, საჭირო ხალხის პოვნა ყველაზე დიდი პრობლემაა ხოლმე.

„იმის გამო, რომ საქართველოში ანიმაციების წარმოება სისტემატური პროცესი არ არის, არც იმ ადამიანების რაოდენობაა დიდი, ვინც კონკრეტული მიმართულებითაა დახელოვნებული, ვისაც ამ პროცესში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, მით უმეტეს, ვისაც ანიმაციურ ფილმზე თავიდან ბოლომდე უმუშავია. ვფიქრობთ, „ჯინოს“ გუნდი იქნება ასეთი, საკმარისი ცოდნითა და გამოცდილებით. თუმცა თუ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება არ გაიზრდება, დარგის განვითარება ძალიან ძნელი იქნება. წელიწადში ორი, ისიც მოკლე-მეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 75-75 ათასით დაფინანსებით შეუძლებელია ინდუსტრიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე საუბარი”, – ამბობს ლალი კიკნაველიძე.

საქართველოში ანიმაციური ფილმების განვითარება-შექმნის ერთადერთი დამფინანსებელი ეროვნული კინოცენტრია. როგორც კინოცენტრში ამბობენ, 2013 წლიდან დღემდე 24 ანიმაციური პროექტი დაფინანსდა. მათგან 18 – პროექტის განვითარების კატეგორიაში, 6 ანიმაციური ფილმი კი შეიქმნა ან ახლა იქმნება. სულ ამ პროექტებისთვის კინოცენტრის ბიუჯეტიდან 551 400 ლარი დაიხარჯა. დადგენილი წესის თანახმად, კონკურსების საფუძველზე შერჩეული კინოპროექტების თანადაფინანსება კინოცენტრის მიერ მხოლოდ მაქსიმუმ 75 %-ით ხდება.

თუმცა „საქართველოს ანიმატორთა გილდიის“ თავმჯდომარე და პროდიუსერი ქეთევან ჯანელიძე ამბობს, რომ ეს თანხა ხშირად საშუალობიუჯეტიანი ფილმისთვის საჭირო ხარჯის ნახევარსაც ვერ ფარავს. ჯანელიძე პროდიუსერი და სცენარის ავტორია ანიმაციური ფილმისა „ზოლემია“, რომელმაც 2015 წელს „ქართულ საბავშვო წიგნზე დაფუძნებული ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების“ კონკურსში გაიმარჯვა, წელს კი – უკვე მოკლემეტრაჟიანი საბავშვო ანიმაციური ფილმის წარმოების კონკურსში და 75 ათასი ლარი მიიღო სახელმწიფოსგან.

ჯინო ანიმატორ დათო კიკნაველიძის ამავე სახელწოდების (GENO) ანიმაციური ფილმის გმირია. დათო წლებია, ანიმაციებზე მუშაობს, თუმცა „ჯინო“ – ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც ეკრანებზე გამოჩენილა და არც საფესტივალო ცხოვრება დაუწყია.

„ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი საერთოდ დაფინანსების გარეშე რჩება რადგან თანხა შეზღუდულია. რაც შეეხება „ზოლემიას“, აქაც ჩვენ ვიცით, რომ არ უნდა ვიოცნებოთ არც ნორმალურ ჰონორარებზე, არც ნორმალურ სამუშაო გარემოზე. ხშირად უბრალოდ აკეთებ იმიტომ, რომ გაქვს პასუხისმგებლობა დარგის მიმართ. განსაკუთრებით იმ თაობისთვის, რომელიც დარგის გადარჩენას ცდილობს და ბევრი რამ მართლა მხოლოდ მათი თავდადების ხარჯზე კეთდება. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. ძალიან ბევრი საინტერესო მხატვარი და პროფესიონალი მინდა ჩავრთო პროექტში, მაგრამ იმ მცირე ანაზღაურების გამო, რომლის გადახდაც ბიუჯეტის გათვალისწინებით შემიძლია, მათ უბრალოდ ვერ დავაინტერესებ. საბოლოოდ კი,, ანიმაციის შესაქმნელად უმძიმესი შრომა გადადის 2-3 ადამიანის მხრებზე, რომლებმაც იციან, რომ უბრალოდ ფილმი უნდა დამთავრდეს”, – ამბობს ჯანელიძე.

პროდიუსერი ლადო სულაქველიძის ფილმ „ფრანის“ წარმოების პროცესსაც იხსენებს და ამბობს, რომ ის ამდენ ხანს სწორედ სახსრების უკმარისობის გამო ვერ სრულდებოდა. „რეალობა არის ის, რომ საბოლოოდ დამდგმელი მხატვარი და ანიმატორი სხედან და სრულიად უფასოდ ხატავენ ამ ყველაფერს“.

განათლება – ანიმაციური ფილმების შესაქმნელად

საჭირო პროფესიონალების მოუმზადებლობა და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის არარსებობა, რომელზეც ანიმატორები და პროდიუსერები ჩივიან, ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად მიაჩნია ქეთევან ჯანელიძესაც.

ანიმატორთა გილდიის თავმჯდომარე ამბობს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამები, ერთდროულად რომ ისწავლებოდეს ანიმაციის დრამატურგია, დუბლიაჟი, სპეციფიკური მონტაჟი, რეჟისურა, მხატვრობა და სხვა ვიწრო მიმართულებები, რომელთაც ანიმაციის შექმნისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„სწავლების პროცესი რომ უფრო მოწესრიგებული იყოს, იქნებ უფრო მეტი საინტერესო სტუდენტური ფილმიც გვქონოდა. პროფესიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო კიკნაველიძე

ფოტო: ლევან ბაბუაშვილი

სასწავლო პროგრამებში ხდება ახლა ჩვენთვის საინტერესო მიმართულებების განვითარება, მაგრამ ნორმალური ანაზღაურების, პრესტიჟის – დაინტერესების გარეშე რეალურად პრაქტიკოს, გამოცდილ და კარგ სპეციალისტებს ვერც ერთი პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებელი ვერ მიიზიდავს. სხვანაირად კი დარგი ვერ განვითარდება. აუცილებელია, ანიმატორის სპეციალობაზე აბარებდეს ის, ვისაც მართლა უნდა აქ მოხვედრა და იქაც მას ხვდებოდეს პედაგოგი, რომელიც ასევე მოტივირებულია და გააზრებული აქვს, რომ მომავალ თაობას უნდა გადასცეს ცოდნა".

ანიმატორი დათო კიკნაველიძეც ფიქრობს, რომ საგანმანათლებლო ნაწილის მოწესრიგება დარგს განსაკუთრებით სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი რამის სწავლა ინტერნეტით და პრაქტიკული გამოცდილებითაა შესაძლებელი, მისი აზრით, აკადემიური კურსი განათლებისა, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია.

„სამხატვრო აკადემიაში ანიმატორის სპეციალობას ვეუფლებოდი, თუმცა რაც ამან მომცა, იყო ის, რომ ხატვა მაინც ვისწავლე კარგად. მე ვიცოდი, რა მინდოდა და სხვა მიმართულებებითაც ვეძებდი ჩემთვის საჭირო ცოდნას, მაგრამ სტუდენტებს, რომლებიც ამ სპეციალობაზე აბარებენ, უნდა ჰქონდეთ მოლოდინი და გარანტია, რომ სწორედ ამ სპეციალობისთვის საჭირო ყველა უნარს დაეუფლებიან. გარდა ამისა, თეატრალურ უნივერსიტეტში ანიმაციის რეჟისურა ისწავლება, მაგრამ ბევრი სხვა ვიწრო სპეციალობის შესახებ ქართულ სასწავლებლებში შეიძლება ვერაფერი გაიგოთ", – ამბობს ანიმატორი.

ქეთევან ჯანელიძე კი ფიქრობს, რომ აქამდე შექმნილი ანიმაციური ფილმებით დაინტერესებაც უნდა გაიზარდოს, თუმცა ანიმაციური ფილმების უდიდესი ნაწილი, მხატვრული ფილმების მსგავსად, არა საქართველოს, არამედ რუსეთის კინოარქივშია დაცული.

„კულტურის სამინისტრომ თავის დროზე ზარ-ზეიმით გვამცნო, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც მხატვრული და ანიმაციური ფილმები საქართველოს უნდა გადმოსცემოდა, მაგრამ ამის შესახებ აღარაფერი გაგვიგია. არის უამრავი ქართული ანიმაციური ფილმი, რომლებიც შეიძლება დამუშავდეს, გასუფთავდეს, გაციფრულდეს, ვაჩვენოთ კინოთეატრებში თუ ტელევიზიებით. ეს ხომ მაინცაა შესაძლებელი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიმაციური ფილმების რეჟისორი და პროდიუსერი, საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალ „ნიქოზის“ ორგანიზატორი მარიამ კანდელაკი ამბობს, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ ქართულ, ისევე როგორც ევროპულ და მსოფლიო ანიმაციის ინდუსტრიასა და კინემატოგრაფიაში სულიერების დაკარგვას შეუწყო ხელი.

„ქართულ ანიმაციებში ყოველთვის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანს. გაიხსენეთ „ბაბილინა“, „ტასიკო“. ძალიან საჭირო გზა იყო ეს ბავშვის სულიერი განვითარებისთვის. ვფიქრობ, ახლა ქართულ ანიმაციაში დრამატრუგიის პრობლემაცაა, ადამიანის სულიერებისთვის ზურგის შექცევა ისეთივე დიდი პრობლემაა, როგორც ის, რომ 90-იანი წლების კრიზისის გამო, დარგში საკმაოდ დიდი წყვეტა იყო“.

თუმცა მანამდე ქართული ანიმაციური სამყარო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ერთხელ მაინც მოექცა – 1984 წელს დავით თაყაიშვილის ანიმაციურმა ფილმმა – „ჭირი“ კანის ფესტივალზე მოკლე ფილმების სექციაში გრანპრი მოიპოვა.

ქართული ანიმაციის ისტორიას სპეციალისტები 1929 წლიდან ითვლიან, როცა კოტე მიქაბერიძის მხატვრული, უხმო ფილმის – „ჩემი ბებია“ რამდენიმე სცენაში მულტიპლიკაციური სცენები გამოჩნდა, თუმცა პირველი ქართული ანიმაციური ფილმი, შავ-თეთრი, მაგრამ ხმოვანი მულტფილმი „არგონავტები“ მაყურებელმა 6 წლის შემდეგ, 1935 წელს იხილა.

მარიამ კანდელაკი საქართველოში ყოველწლიურად ორგანიზებულ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „ნიქოზზეც“ საუბრობს და ამბობს, რომ ბოლო წლებში ამ ფესტივალთან ერთად ანესის საერთაშორისო ფესტივალის გამართვა კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ქართული ანიმაციის მიმართ მსოფლიო ანიმატორების, მსოფლიო ინდუსტრიის ინტერესის გაზრდას.

პირველი ქართულ-ფრანგული კოპროდუქცია იქნება ანა ჩუბინიძის „ჯიბის კაცი“, რომელიც ფრანგულ სტუდია „ფოლიმაჟთან“ ერთად მზადდება და მისით ტელეკომპანია „Canal+“-იცაა დაინტერესებული.

ანა შარშან ეროვნული კინოცენტრის, ანესის ანიმაციური ფილმების საერაშორისო ფესტივალისა და

■ ანიმაციური ფილმების რეჟისორი და პროდიუსერი, საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალ „ნიქოზის“ ორგანიზატორი მარიამ კანდელაკი ამბობს, რომ ტექნოლოგიების განვითარებამ ქართულ, ისევე როგორც ევროპულ და მსოფლიო ანიმაციის ინდუსტრიასა და კინემატოგრაფიაში სულიერების დაკარგვას შეუწყო ხელი.

„ნიქოზის“ ფესტივალის გამარჯვებული გახდა და მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის შესაქმნელად 75 000 ლარი მიიღო, თუმცა მოთხრობა „ჯიბის კაცი“ სამი წლის წინ დაწერა, მაშინ კინოცენტრისგან მხოლოდ ანიმაციური ფილმის სცენარის დასაწერად და კადრირებისთვის მიიღო მცირე დაფინანსება. შემდეგ ორი წელი პროექტს, პრაქტიკულად, არ დაბრუნებია. მუშაობდა წიგნების ილუსტრაციებსა და სხვა პროექტებზე. თუმცა ახლა დაფინანსების მიღების შემდეგ თქმის მთლიანად „ჯიბის კაცზეა“ გადართული.

„ქუჩაში უამრავი პატარა ნივთია მიმოფანტული. სულ ვფიქრობდი, რომ მათ ვერავინ ამჩნევდა და როგორი იქნებოდა ცხოვრება, მათსავით პატარა რომ ვიყო და როგორი დიდი იქნებოდა ირგვლივ სამყარო. ჩემი პერსონაჟიც ასეთი პატარაა, ქუჩაში, ჩემოდანში ცხოვრობს, შეუმჩნეველია, მაგრამ საბოლოოდ შეხვდება უსინათლო კაცს, უმეგობრდება და იწყებს მის ჯიბეში ცხოვრებას. მოხუცს წიგნებს უკითხავს, ჯიბიდან გზებს ჰკარნახობს და იწყება იდეალური მეგობრობა“, – გვიყვება ანა ფილმის შინაარსის შესახებ, რომელიც სტუდია „კვალი XXI-ს“ ბაზაზე იქმნება და 2016 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. თუმცა მანამდე ფილმის პერსონაჟებსა და ფონებზე მუშაობა გრძელდება, მეორე ნახევარს კი უკვე საფრანგეთში, სტუდია „ფოლიმაჟში“ გააკეთებენ.

ანიმაცია და ბავშვები

ანიმაციური ფილმების როლი და გავლენა ბავშვების განვითარებაზე, მათ სოციალურ ადაპტაციაზე, დამოკიდებულებებზე, მეტყველებასა და ქცევაზე – არა ერთხელ გამხდარა დისკუსიის საგანი. ბოლო წლებში არაერთი კვლევა ჩატარდა თუნდაც უოლტ დისნეის მულტფილმებში მაგ. გენდერული ან სხვა სტერეოტიპების გამოსავლენად.

იმ პირობებში კი, სანამ არც სრულმეტრაჟიანი ქართული ანიმაციური ფილმები არსებობს და არც მით უმეტეს ანიმაციური სერიალები, ქართველი მშობლები ხშირად წუხან, რომ მათი მცირეწლოვანი შვილები უცხოენოვან მულტფილმებს უყურებენ, ქართულზე ადრე ამ ენებზე სწავლობენ სიტყვებს; მოვლენებსაც იმ სახელებს არქმევენ, რასაც მულტფილმიდან სწავლობენ, იმახსოვრებენ; ურევენ მშობლიურ და ანიმაციით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ კანდელაკი

ფოტო: ლუკა ხარაძისა

ნასწავლ ფრაზებს, ქცევებსა თუ მანერებს.

ფსიქოლოგი ნინო გოგიჩაძე ამბობს, რომ ანიმაციური ფილმები, რომლებსაც ბავშვები უყურებენ, მორგებული უნდა იყოს მათ ასაკსა და განვითარების შესაბამის პერიოდზე. ფსიქოლოგის თქმით, ბავშვი, პრაქტიკულად, მაშინვე ხდება ანიმაციის პოტენციური მაყურებელი, როგორც კი იმის გარჩევას იწყებს, რომ მის თვალწინ სურათები იცვლება.

„ანიმაციური ფილმების ინდუსტრია ბოლომდე ვერ გაურბის იმას, რომ ბავშვებსაც, როგორც მომხმარებელს ისე აღიქვამენ და მათ გემოვნებას აყალიბებენ, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ანიმაცია ემსახურებოდეს საგანმანათლებლო მიზნებს, ინტერესების გაღვივებას, შემეცნებით განვითარებას და ასაკთან ერთად ითვალისწინებდეს იმ მორალურ პასუხისმგებლობასაც, რაც თან ახლავს ამ ტიპის განათლებას", – ამბობს ნინო გოგიჩაძე.

ფსიქოლოგი ამბობს, რომ ქართველი მშობლები ხშირად წუხან იმაზე, რომ მათი შვილები თანამედროვე ქართულ – პოლიტიკურ ანიმაციებს უყურებენ, რადგან ეს ერთადერთი ქართული მასალაა, რაც ფართოდაა ხელმისაწვდომი.

„ანიმაცია არის ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფორმა. მით უმეტეს იმ ასაკში, როდესაც ბავშვები სწორედ ვიზუალურად იმახსოვრებენ ინფორმაციას, ვიზუალური სიმულაციებისა და აუდიო, მათ შორის მუსიკალური ფონის ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ ორი არხის ერთდროულად მუშაობა დაკავშირებულია ემოციურ რეაქციებთან: მოწონებასთან, სიხარულთან, ბრაზთან. ამ კომბინაციას ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საგანმანათლებლო ეფექტი აქვს, თუმცა აუცილებელია, რომ შინაარსი არ იყოს დიდაქტიკური, მოწოდებითი. ის უნდა აჩვენებდეს სასურველ ქცევას, უქმნიდეს პოზიტიურ როლურ მოდელებს, მაგრამ ჭკუას არ უნდა არიგებდეს ბავშვს", – ამბობს გოგიჩაძე.

ფსიქოლოგი ანიმაციური ფილმების შინაარსსა და ენაზე განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ამახვილებს და ამბობს, რომ ბავშვის მიერ ნანახ მოვლენებთან იდენტიფიცირებისთვის, თავის დაკავშირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მულტფილმში ისეთივე გარემოს ხედავდეს, როგორიც მის გარშემოა და ის ენა ესმოდეს, რომელზეც მის ირგვლივ საუბრობენ.

„მულტფილმები ძალიან ძვირფას ენობრივ გამოცდილებას სთავაზობს ბავშვებს სიტუაციებთან მიმართებით. ეს ეხმარება შინაარსის დამახსოვრებაშიც. მით უფრო, თუ ეს შინაარსი მასთან ახლოსაა, მით უფრო მეტ კავშირს ამყარებს ამ ფილმთან და უფრო მეტსაც სწავლობს იქიდან, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ის დრო, რასაც ბავშვი ამ მედიასთან ატარებს, სწორად იყოს გამოყენებული", – ამბობს ფსიქოლოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მინდა, რაგბელი გამოვიდე“

„დიდი რო გავიზრდები, მინდა, რაგბელი გამოვიდე“ – ეროვნული ნაკრების კვართი ლამის კოჭებამდე სწვდებოდა, იჯდა გუდრუხის სკოლის ორსართულიანი ხის შენობის კიბეებზე, 7-8 წლის ბუთხუზა ბიჭი, ქართული ნაგაზივით დინჯი, დიდი თათებითა და სევდანარევი ლურჯი თვალებით. ლუკამ იმ დღეს პირველად ნახა ოვალური ბურთი. ეს იყო პირველი ექსპედიციის პირველი დღე.

ლევან ჯობავა

მოზარდების პირველი შეხება „მეგობრულ ბურთთან“. ხობის რაიონი. სოფელი პირველი მაისი. თებერვალი 2015

გუდრუხიდან მაღაროსკარამდე 20 კილომეტრია. ეს მანძილი ფეხით გავიარეთ. იქაც ვიბურთავეთ. მერე ჩარგალი, ბარისახო, შატილი...

ფშავ-ხევსურეთში რაგბი ავიტანეთ. ექვსი დღე კარვებში ვცხოვრობდით, ექსპედიცია გადავიღეთ და 37 წუთში მოვაქციეთ . გვინდოდა, გვეჩვენებინა, თუ როგორ მიიღო მთამ რაგბი...

პრეზენტაციაზე 50-მდე ადამიანი მოვიდა, ზოგი „რაგბელი“, ზოგი ვეტერანი „რაგბელი“, ზოგიც – „რაგბელების“ ქომაგი. მივესალმე და ფილმიც დაიწყო!

„დიდი რო გავიზრდები, მინდა, რაგბელი გამოვიდე“ – კიდევ ერთხელ გაიჟღერა ბავშვურმა სურვილმა. ხალხის რეპლიკები ერთმანეთში აირია და გული მიგრძნობდა, ლუკა არ იქნებოდა უკანასკნელი, ვისაც „რაგბელობას“ მოვანდომებდით.

მერე იყო სვანეთი... რაჭა... წინათგრძნობა გამართლდა. ბევრი მიზეზი მქონდა სიხარულისთვის. ის, რომ „ჩვენ ავიტანეთ რაგბი მთაში“, ის, რომ ამდენ ბავშვს სიხარული მივანიჭეთ, ის, რომ მათ მოეწონათ რაგბი... ჩვენ გავდიოდით სოფლებს, ვარიგებდით სარაგბო ეკიპირებას და მეგობრულ ბურთებს. უხაროდათ ბავშვებს და გვიხაროდა ჩვენც. ამ სიხარულს კი ყოველთვის ახლდა კითხვა... ყოველ ახალ სოფელში, ყოველი ვარჯიშის შემდეგ... კითხვა, რომელიც კარავში მარტო დარჩენილს მოსვენებას არ მაძლევდა, შეკითხვა რომელზეც არ მქონდა პასუხი...

„მას, კიდე როდის გვექნება ვარჯიში?“

არც დაიმედება მინდოდა და არც იმედების გაცრუება... ვიდექი კუთხეში მიმწყვდეული და ვფიქრობდი, ღირდა თუ არა საერთოდ ამ პროექტის წამოწყება.

ექსპედიციები სექტემბერში მორჩა, ამ დროის განმავლობაში გაცნობილ ბავშვებს ხან ტელეფონით ხანაც ფეისბუქით ვეკონტაქტებოდი. შეკითხვა ისევ პასუხგაუცემელი რჩება. ვინც ფილმები ნახა, უმეტესობამ მხარზე ხელი დამკრა და მითხრა – „მაგარ საქმეს აკეთებ, ძმაო“... იტყოდნენ. ისინი კადრში ბავშვების გახარებულ სახეებს ხედავდნენ და არც ერთს არ გაუგია შეკითხვა – „მას, კიდე როდის გვექნება ვარჯიში?“

ვდგავარ ტელევიზიის მესამე სართულზე. ლენტეხში მაქვს მივლინება. პროდიუ-

„დიდი რო გავიზრდები, მინდა, რაგბელი გამოვიდე“ – კიდევ ერთხელ გაიჟღერა ბავშვურმა სურვილმა. ხალხის რეპლიკები ერთმანეთში აირია და გული მიგრძნობდა, ლუკა არ იქნებოდა უკანასკნელი, ვისაც „რაგბელობას“ მოვანდომებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2015 წლის 9 ივლისს დაიწყო ყველაფერი. მაშინ კარვებით ვმოგზაურობდით და მაღალმთიანი რეგიონის ბავშვებს ვაცნობდით ოვალურ სამყაროს. ახლა სხვა რეგიონებშიც ჩავდივარ, სადაც რაგბის წრე არ არსებობს, ვხვდები მოზარდებს, ვუხსნი რაგბის ღირებულებებს და წესებს, ვუტარებ სახალისო ვარჯიშებს და შეხვედრის ბოლოს ერთად ვთამაშობთ ოვალური ბურთით.

სერთან ვათანხმებ სიუჟეტების თემებს და უცებ მისვამს კითხვას:

– შენ რაგბის მისიონერი არ ხარ?

– ჰაჰა, კი...

– ჰოდა, წაიღე ბურთი და ათამაშე ბავშვები

ჰოდა, წავიღე და ახლაც დამაქვს, საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის გადაცემაში – „დილა პირველზე" ყოველ პარასკევს გადის ეპიზოდი სხვადასხვა სოფლიდან, სადაც ჩავდივარ და ვამბობ – „რაგბი აქაურობას!"

2015 წლის 9 ივლისს დაიწყო ყველაფერი. მაშინ კარვებით ვმოგზაურობდით და მაღალმთიანი რეგიონის ბავშვებს ვაცნობდით ოვალურ სამყაროს. ახლა სხვა რეგიონებშიც ჩავდივარ, სადაც რაგბის წრე არ არსებობს, ვხვდები მოზარდებს, ვუხსნი რაგბის ღირებულებებს და წესებს, ვუტარებ სახალისო ვარჯიშებს და შეხვედრის ბოლოს ერთად ვთამაშობთ ოვალური ბურთით.

უკვე 45 სოფელი მოვიარე და 850 ბავშვს შევხვდი... ქვეყნის მასშტაბით, „რაგბელობა" უფრო მეტ პატარას უნდა.

შევდივარ მდელოზე. მხვდება 15-20 ბიჭი. ყოველ შეხვედრას ახლავს ღელვა. არ ვიცი, რა დამხვდება; არ ვიცი როგორ მიიღებენ; იქნებ, არ მოუნდეთ „რაგბელობა"; იქნებ, ვერ ჩავითრიო ბურთაობაში. დგანან და გიყურებენ; რაღაც ახალს ელოდებიან შენგან.

– გაუმარჯოს, მე ლევანი მქვია; მე არ ვარ მასწავლებელი; მე არ გიწერთ ნიშნებს და მე არ ვაწყობ მშობელთა კრებას. მინდა, აგიხსნათ რაგბის წესები, გაგაცნოთ ღირებულებები; ვივარჯიშოთ, ვითამაშოთ და გავერთოთ ოვალური ბურთით. ხო ხართ თანახმა?

აი, ამ დროს ქრება ღელვა, რადგან თანხმობა ერთსულოვანია. პატარებს ვაცნობ „დამატებითი ვარჯიშის პრინციპს".

– ჩვენ უნდა ვიყოთ გუნდი; თუ ერთმანეთს არ ვენდეთ და პატივი არ ვეცით, ვერ ვითამაშებთ; შეცდომას დავუშვებთ ყველა, ვინც გუნდელის შეცდომაზე გაიცინებს, ჩემთან ერთად დადგება მუშტებზე და გაკეთებს დამატებით ვარჯიშს, დანარჩენი გუნდი თვითონ გადაწყვეტს, ჩაერთვება თუ არა ამ ვარჯიშში.

პირველი სიცილი, როგორც წესი, ახლავს ბოჭვას, როდესაც ხედავენ, თუ როგორ ეცემა მათი მეგობარი, კლასელი ან თანასოფელი.

– აბა, ბიჭებო, რომელს გაგვეცინა? არავინ არ მალავს „დანაშაულს".

– დავდექით მუშტებზე.

და აი, ამ დროს ხდება ყველაზე მთავარი – ტალახში მუშტებზე დგება ყველა, უცებ უღებს ალღოს გუნდურობის პრინციპს, აკეთებს აზიდვებს და, რაც მთავარია, ყველა ერთად ხმამაღლა ითვლის, ეს დიდ დადებით მუხტს მატებს ვარჯიშს. დამატებითი ვარჯიში მაქსიმუმ სამჯერ განმეორდეს. ბავშვები გუნდად იკვრებიან და ვიწყებთ თამაშს.

ბავშვებს გუნდებად ვყოფ და იწყება დიდი ჟრიამული. შეტევები, შეცდომები, შეძახილები, ლელოს დადებით გამოწვეული სიხარული... ეს დრო ყველაზე სწრაფად გარბის. მერე ვაკეთებთ დერეფანს და ერთმანეთს მადლობას ვუხდით კარგი თამაშისთვის. თამაშის შემდეგ, სიმბოლურად, ერთ მეგობრულ ბურთს ვტოვებ სოფელში, ვიღებთ სამახსოვრო ფოტოს და ვიშლებით. ვჯდები მანქანაში – დაღლილი, დასვრილი, დაცლილი და იწყება ფეისბუქის შტურმი. პატარები მამატებენ. ყველა კმაყოფილია და ზოგიერთს უხარია, რომ გაიგო რაგბის შესახებ, ზოგიც მადლიერია, რომ რაგბიზე წარმოდგენა შეეცვალა. რაც ყველაზე მთავარია, მათ რაგბი გაიცნეს შიგნიდან, გაიგეს გუნდურობის ფასი და ელოდებიან ახალ დღეს, რომ ისევ, უჩემოდ იბურთაონ, ჩემს მიერ ახსნილი წესების დაცვით.

წელან ვახსენე „მეგობრული ბურთი", დიახ, ამ ბურთით მარტო ვერ გაერთობი, ამ ბურთით პასი უნდა აკეთო. პასი კომუნიკაციაა, რაც ყველას ჩართულობას უზრუნველყოფს. რაგბის თამაშისთვის კონკრეტული ფიზიკური მოთხოვნები არ არსებობს. აქ მთავარი ხასიათია. აქ ადგილი ყველასთვის მოიძებნება, არ აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარჯიში რაგბის კლუბ „უშბას“
პატარა მორაგბეებთან ერთად. მესტია. მაისი 2016

ფოტო: თორნიკე ლაბაძისა

მნიშვნელობა, ბავშვი მაღალია, დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი. მთავარია, ჰქონდეს სურვილი მეგობრული ბურთით თამაშისა.

ამ პროექტში მონაწილე მოზარდებიდან, ალბათ, ერთეულები გაჰყვებიან რაგბის პროფესიულ დონეზე. ჩვენ არ ვეძებთ უმაღლესი დონის მორაგბეებს. ჩვენ რაგბის ღირებულებებს ვავრცელებთ; ვავრცელებთ თაობაში, რომელიც მომავალია; ვავრცელებთ იქ, სადაც სამომავლოდ პერსპექტივა არა აქვთ დიდი; ვცდილობთ, ცხოვრების ჯანსაღ წესს გავუწიოთ პოპულარიზაცია, მოვწყვიტოთ ქუჩას და ვაგრძნობინოთ საკუთარი შესაძლებლობების ძალა. ჩვენი პროექტის ჩართულობით რეგიონებში შეიქმნა რამდენიმე გუნდი; რამდენიმე მოზარდი თბილისშიც ჩამოვიდა და აქ განაგრძობს თამაშს.

გაჩერებას არ ვაპირებ, მივალ ყველგან, სანამ მოძრაობას შევძლებ და ვეცდები, მეგობრული ბურთის სამყაროში ისევ ჩავითრიო მოზარდები, ისევ ვუყურო მათ ბედნიერ სახეებს და ისევ ვინერვიულო, რას ეტყვიან სახლში მისულ გატალახიანებულ ბიჭებს მშობლები.

ბოლოს ფესტივალი მოვაწყვეთ. 80 ბავშვი შეიკრიბა ჩხოროწყუში და 20 გუნდად დავყავით. მაგრად გაერთნენ და მეც ავივსე. 2 თვის დაგვიანებით, მაგრამ მაინც გავეცი პასუხი შეკითხვაზე, „მას, როდის გვექნება კიდევ ვარჯიში“ – თამაშის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა დამსწრემ თქვა: „ესენი კარგი რაგბისტები გამოვლენო“.

ქართულად, რაგბის მოთამაშე ადამიანს მორაგბე ჰქვია. მე ყველას ვუსწორებდი, ნუ იყენებთ სხვა სიტყვებს, თქვით – მორაგბე. ყველას ვუსწორებდი ამ შეცდომას, ლუკას გარდა, რადგან ლუკას შეცდომა არ დაუშვია.

ლუკას უნდა.

მეც ძალიან მინდა,

ძალიან მინდა, დიდი რომ გაიზრდება, რაგბელი გამოვიდეს.

#რაგბიაქაურობას.

ფოტოპროექტი

ფოტოპროექტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უხილავი ადამიანები

ვახო ხეთაგური

სადგურის მოედანი. თბილი

რამდენიმე წლის წინ, ერთ ხეობაში გადაღებისას ჯაბა გავიცანი. უცნაური კაცი იყო, ვენდერსის ფილმის „პარიზი, ტეხასის“ მთავარ გმირს მაგონებდა. სახლიდან ქრებოდა ხოლმე და მიდიოდა წინ, პირდაპირ, დაუსრულებლად. ერთ-ერთი ასეთი გაქრობის დროს, როდესაც მას ვეძებდით, აღმოვაჩინე, რომ ჯაბას არანაირი პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აქვს და უბრალოდ, სახელმწიფოსთვის უხილავია. რამდენიმე კვირის შემდეგ მისი გვამი მტკვარმა გამორიყა. ვიღაცამ ის ტელეფონისა და ქურთუკის გამო მოკლა. ასეთ ადამიანებზე პირველად მაშინ დავფიქრდი. ადამიანებზე, რომლებიც ისე იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან, რომ მათ შესახებ არავინ არაფერი იცის და ვერც ვერასდროს გაიგებს. ისინი არ არიან მუშები ან სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლები, რომ აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები გამოესარჩლონ. მათ არ ჰყავთ არანაირი აუდიტორია, რომელსაც თავის სათქმელს ეტყვიან. ისინი უძლურნი, უხმო ადამიანები არიან, რომელთა სიცოცხლე და სიკვდილი არავის აინტერესებს. ეს ფოტოპროექტი სწორედ ამ ადამიანებზეა.

ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და-ძმა ჭიათურის გარეუბანში.



ბავშვი სოციალურად დაუცველთა საცხოვრებელში. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვი სოციალურად დაუცველთა საცხოვრებელში. თბილისი

ვჯაბა. თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჩის მუსიკოსი აელადარში. თბილისი.

შიდა ქართლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამათხოვროდ გამოსული ბიჭი სადგურის მოედანზე. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელი ენერგია

დავით ფირცხალავა



იმ მომენტიდან მოყოლებული, როცა ადამიანმა გააცნობიერა, რომ ჩვენი ბუნებრივი ადგილსამყოფელი – პლანეტა დედამიწა – სულ რაღაც უმნიშვნელო წერტილია სამყაროს რუკაზე, კაცობრიობის გონება კოსმოსის შესახებ ფიქრითაა გართული. როგორ გამოიყურება სამყარო დღესდღეობით ყველაზე დიდ დაკვირვებად მანძილებზე? რა მექანიზმებია პასუხისმგებელი მის დინამიკაზე? როგორია მისი დეტალური ისტორია და რა ელის მომავალში? ეს სულ რამდენიმე კითხვაა კითხვების გრძელი სიიდან, რომელზეც მეცნიერებამ ნაწილობრივ მაინც მოახერხა პასუხის გაცემა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

სამყარო შედგება სივრცეში, ასე თუ ისე, თანაბრად განაწილებული გალაქტიკების კლასტერებისგან, რომელთა შემადგენელი გალაქტიკები თავიანთ მხრივ შედგებიან ვარსკვლავებისგან, და ასე შემდეგ. ჩვენ ვიცით ამის შესახებ მარტივი მიზეზის გამო: ჩვენ მათ ვხედავთ (ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ჩაიხედოთ უბრალო ტელესკოპში, რომლის შეძენაც amazon.com-ზე შეგიძლიათ დაახლოებით 50 დოლარად.) ზოგადად, ხილულ სამყაროს შეადგენს ნებისმიერი რამ, რასაც შეუძლია სინათლის გამოსხივება, ან არეკვლა – ერთი სიტყვით, ნებისმიერი რამ, რაც სინათლესთან ურთიერთქმედებს. პრინციპში, ყოველდღიური, მიამიტური გამოცდილება გვკარნახობს, რომ ყველა საგანი სწორედ ამგვარია: თუ მაკროსკოპული ობიექტი არსებობს, ჩვენ მას ვხედავთ.

სინამდვილეში სამყაროს 95% უხილავია.

ყველაფერი დაიწყო აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორიიდან. ამ თეორიის მიხედვით, გრავიტაციას შესაძლებელია, მიეცეს გეომეტრიული ინტერპრეტაცია: ნებისმიერი მატერია ამრუდებს სივრცე-დროის გეომეტრიას. გამრუდებული გეომეტრია, თავის მხრივ, განსაზღვრავს მატერიის დინამიკას. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეორიული ფიზიკოსის – ჯონ უილერის – სიტყვებით: „სივრცე-დრო ჰკარნახობს მატერიას, როგორ იმოძრაოს, მატერია ჰკარნახობს სივრცე-დროს, როგორ გაიმრუდოს“. მათემატიკურ ენაზე ყოველივე ზემოთ აღნიშნული განისაზღვრება აინშტაინის განტოლებით, რომელსაც, თუ ჩახლართულ მათემატიკურ სიმბოლოებს მათი შინაარსით ჩავანაცვლებთ, დაახლოებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი სახე აქვს: „სივრცე-დროის დინამიკა = მატერიის ენერგიას“.

სამყარო შედგება მატერიისგან. თუ მას შევხედავთ „ზემოდან“, ანუ, თუ განვიხილავთ ერთიან სამყაროს – ყველაზე დიდ ხილულ მანძილებზე – მისი შემადგენელი მატერია თანაბრადაა განაწილებული. მატერიის ამგვარი განაწილება იწვევს სივრცე-დროის გეომეტრიის – იმავე სამყაროს – გაფართოებას: ნებისმიერ ორ წერტილს შორის მანძილი დროთა განმავლობაში ძალიან ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. ყოველივე ეს იწინასწარმეტყველა რუსმა მეცნიერმა, ალექსანდრ ფრიდმანმა, ზოგად ფარდობითობის თეორიაზე დაყრდნობით, 1922 წელს. ამის შედეგად, ბევრს არ გაჰკვირვებია, როცა ამერიკელმა მეცნიერმა, ედვინ ჰაბლმა ექსპერიმენტულად დაადასტურა ის ფაქტი, რომ შორეული გალაქტიკები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გვშორდება – სამყარო ფართოვდება!

ნებისმიერი ორი ობიექტი ერთმანეთს მხოლოდ მიიზიდავს, გრავიტაციული ურთიერთქმედების გამო: ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედებისგან განსხვავებით, გრავიტაციული განზიდვა არ არსებობს. შესაბამისად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ, თუკი სამყარო ფართოვდება, ამგვარი გაფართოება დროთა განმავლობაში უნდა შენელდეს. თუმცა, არსებობს მატერიის განსაკუთრებული ფორმა – ე.წ. „ვაკუუმის ენერგია“, რომელიც ზემოთ მოყვანილ ლოგიკას არ ექვემდებარება: სამყარო, რომლის ენერგია ამგვარი მატერიითაა დომინირებული, აჩქარებულად ფართოვდება. სინამდვილეში, ვაკუუმის ენერგია არც ისე უჩვეულო ცნებაა. კვანტური მექანიკის თანახმად, არაფერს სამყაროში არ შეუძლია „უძრავ მდგომარეობაში“ ყოფნა: საკმარისად მცირე მანძილებზე ნებისმიერი სტრუქტურა ქაოტურად ფლუქტუირებს. მაგალითად, ფლუქტუირებს ელექტრომაგნიტური ველი, რაც იწვევს ენერგიის მინიმალურ მნიშვნელობას, რაც ამ ველს შეიძლება ჰქონდეს. კვანტურ მექანიკაში არ არსებობს აბსოლუტური „ვაკუუმი“ კლასიკური გაგებით – ვაკუუმსაც კი აქვს ენერგია.

ვაკუუმის ენერგია ხასიათდება კონკრეტული გრავიტაციული ეფექტით: იგი იწვევს სამყაროს აჩქარებულ გაფართოებას. ენერგიის ამგვარი ფორმის არსებობის შესაძლებლობა თავიდანვე იყო შემჩნეული აინშტაინის მიერ, თუმცა იმდროინდელი სამყაროს შესახებ წარმოდგენებზე დაყრდნობით – მალევე უგულებელყოფილი. ვაკუუმის ენერგიისთვის – იმავე „კოსმოლოგიური მუდმივასთვის" (cosmological constant) – მნიშვნელოვანი როლის მინიჭება კოსმოსის დინამიკაში მან თავისი ცხოვრების „ყველაზე დიდ შეცდომადაც“ კი მოიხსენია.

კოსმოლოგიური მუდმივა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბურუსით მოცული ობიექტია მეცნიერებაში. კაცობრიობის არსებობისთვის ხელსაყრელი კოსმოლოგიური პირობები მკაცრად განსაზღვრავს მის შესაძლო სიდიდეს. კვანტური მექანიკის თანახმად, კაცობრიობა „ზოგადად, არ უნდა არსებობდეს“: კვანტური მექანიკის შემცველ ზოგად თეორიაში, ვაკუუმის ენერგია იმდენად დიდია, რომ სამყაროს უაღრესად სწრაფად აჩქარებული გაფართოება ადგილს არ დატოვებდა კაცობრიობისთვის. გალაქტიკებს, ვარსკვლავებს, დედამიწას არ ექნებოდა საკმარისი დრო ფორმირებისთვის. ჩვენი არსებობა უტყუარი ფაქტია იმისა, რომ კოსმოლოგიური მუდმივა უმნიშვნელო როლს თამაშობდა ადრეულ სამყაროში. სწორედ ამიტომ აინშტაინის შემდეგ თითქმის არ არსებობდა მეცნიერი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ კოსმოლოგიურ მუდმივას – რაღაც გაურკვეველი მისტიკური მექანიზმების გამო – აქვს მკაცრად ნულოვანი მნიშვნელობა.

1998 წლამდე.

სწორედ ამ წელს ამერიკელმა ექსპერიმენტატორებმა: სოლ პერლმუტერმა, ადამ რისმა და ბრაიან შმიდტმა წარმოადგინეს უტყუარი მტკიცებულება, რომ დღევანდელ სამყაროში სწორედ კოს-



მოლოგიური მუდმივასმაგვარი ენერგიის ფორმა დომინირებს: დღევანდელი სამყარო ფართოვდება აჩქარებულად! ვაკუუმის ენერგია გახდა კიდევ უფრო მისტიკური: შეკითხვას – „რატომ ასეთი პატარა?“ დაემატა შეკითხვა – „რატომ არა მკაცრად ნული?“ (ნულოვანი მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ ასევე რთულად ასახსნელია ვაკუუმის ენერგიის შემთხვევაში, გარკვეული გაგებით ბევრად უფრო „ბუნებრივია“, ვიდრე ათი ხარისხად მინუს ოცდაცამეტი).

ვაკუუმის ენერგიის პრობლემა თეორიული ფიზიკის, ალბათ, ყველაზე რთული პრობლემაა. იმდენად, რომ ახალგაზრდა მეცნიერებს ხშირად არ ურჩევენ მასზე მუშაობას (თუ ურჩევენ, მხოლოდ პარასკევ საღამოობით.)

ნებისმიერი მტკიცება, რომ კონკრეტულმა ნაშრომმა ამ პრობლემის ამოხსნისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა (რომ არაფერი ვთქვათ მის ამოხსნაზე), უაღრესად სკეპტიკურად აღიქმება სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან.

ასევე, საინტერესო ფაქტია, რომ ამ პრობლემის მიმართ მეცნიერთა დამოკიდებულება დიდწილად გეოგრაფიითაა განსაზღვრული: თუ შეეკითხებით მეცნიერს კალიფორნიაში, იგი დიდი ალბათობით გეტყვით, რომ ამ პრობლემის ყველაზე ალბათური ანთროპულ პრინციპზეა დაფუძნებული. ეს იდეა (რომელიც კოსმოლოგიური მუდმივის კონტექსტში პირველად ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა სტივენ ვაინბერგმა განავითარა) დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერს: ჩვენ ვხედავთ უაღრესად მცირე კოსმოლოგიურ მუდმივას, იმიტომ რომ ამ ობიექტის სხვა მნიშვნელობის შემთხვევაში არ იარსებებდა ადამიანი და ადამიანთან ერთად, არ იარსებებდა შეკითხვა, თუ რატომაა კოსმოლოგიური მუდმივა ასეთი მცირე.

შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე მოღვაწე მეცნიერი დიდი ალბათობით გეტყვით, რომ კოსმოლოგიური მუდმივას პრობლემის ყველაზე სავარაუდო ამონახსნი მოდიფიცირებულ გრავიტაციაშია. ამ იდეის თანახმად, უაღრესად დიდ – ხილული სამყაროსხელა – მანძილებზე, გრავიტაციული კანონები იცვლის ფორმას და განსხვავდება აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორიისგან. მკითხველისთვის არ უნდა იყოს უინტერესო ფაქტი, რომ ამ მიმართულების (რომელიც 90-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს) პიონერები არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები გია დვალი და გიგა გაბადაძე.

დიდი ალბათობით, ვაკუუმის ენერგიის სიმცირის საბოლოო ახსნა მოითხოვს კვანტური მექანიკისა და ზოგადი ფარდობითობის ერთიანი თეორიის – კვანტური გრავიტაციის განვითარებას. ამგვარი თეორიის შექმნა, ჯერჯერობით, ოცნებების სფეროდანაა, მიუხედავად იმისა რომ ასობით მეცნიერი ყოველდღიურად ფიქრობს ამის შესახებ (იქნებ შენ დაგვეხმარო?)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფენტეზი ჩვენი არსობისა

ლევან ბერძენიშვილი

სამი ბეჭედი – ცის ქვეშ მსუფევ მეფეებს ელფთა,
შვიდი – ჯუჯათა მთავრებს: კლდეში ფლობენ დარბაზთა ჯარსა,
ცხრა – მოკვდავთ, ვინაც უნდა მოსრას სიკვდილის ცელმა,
ხოლო ერთი კი შავ მბრძანებელს, შავ ტახტზე მჯდარსა
მორდორის მხარეს, სადაც შუქი ჩაყლაპა ბნელმა.
ერთი ბეჭედი დაჯაბნის ყველას, ერთი ბეჭედი მოძებნის ყველას,
ერთი ბეჭედი შეკრებს ბნელში და ჯაჭვად შეკრავს
მორდორის მხარეს, სადაც შუქი ჩაყლაპა ბნელმა.

თარგმნა ციცო ხოცუაშვილმა.

თანამედროვე ფენტეზის პირველი ნაწარმოებები XX საუკუნის დასაწყისშივე ჩნდება. მათ რიცხვში კი ისეთი ბრწყინვალე წიგნებია, როგორებიცაა: ლორდ ედვარდ დანსენის – „ელფლანდიის მეფის ასული“ (1924 წ.), რობერტ ირვინ ჰოვარდის „კონანი“ (1932 წ.), კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკები“ (1950-1956 წწ.), ჯეიმს კეიბელის „მანუელის ამბავი“ და, რა თქმა უნდა, ჯ.რ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“, რომელიც 1954-1955 წლებში გამოქვეყნდა და მთელ ჟანრზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა. ერთგვარად, სწორედ ტოლკინის მემკვიდრეებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ავტორები, რომლებიც დღეს ფენტეზის ჟანრში მოღვაწეობენ. მათ შორის არიან: ქრისტოფერ პაოლინი, ტეტრალოგია „ერაგორნი“ (2003 წ.), ჯორჯ მარტინი, „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“, რომელმაც ჟანრს უზარმაზარი პოპულარობა მოუტანა და არა ერთი სხვა ავტორი, რომელთა ნაწარმოებები დღეს საოცრად პოპულარულია.

მოგეხსენებათ, ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკას შორის დიდი სხვაობაა. სამეცნიერო ფანტასტიკაში ის რეალობაა გადმოცემული, რომელიც მეცნიერების განვითარების ნიადაგზე ამა თუ იმ სამყაროში შეიძლება დადგეს – ძირითადად, ჩვენი, ადამიანების, დედამიწის მკვიდრთა მონაწილეობით. ამ ფონზე ფენტეზის აბსოლუტურად არ აინტერესებს მეცნიერება. ის უფრო ზღაპრისკენ, სხვა რეალობისკენ იხრება, რომელიც შესაძლოა, თუნდაც ჩვენი რეალობის პარალელურად არსებობდეს. აქ სულ სხვა ფიზიკური კანონები, წესები და მორალური ურთიერთობები შეიძლება, არსებობდეს, რაც მთავარია, არსებობენ გონიერი არსებები: ელფე-

ბი, ჰობიტები, კეთილები და ბოროტები, ადამიანი კი მხოლოდ ნაწილია ამ სამყაროსი.

ამ ჟანრის მწვერვალი აშკარად „ბეჭდების მბრძანებელია“, ჯ.რ. ტოლკინის შესანიშნავი რომანი, რომელსაც ფენტეზის ჟანრი უნდა უმადლოდეს, რომ დღეს ასეთი მნიშვნელოვანია. ტოლკინის წიგნები ფილმებად, ზოგადად, კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

„ბეჭდების მბრძანებელში“ ძალიან დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ავტორის მიერ შექმნილ დამოუკიდებელ სამყაროს როდი აქვს. ამას მწერლები სხვაგანაც ახერხებდნენ, მაგალითად, ფოლკნერი, ბალზაკი; თუმცა, ტოლკინის მიერ შექმნილი სამყარო სრულიად განსაკუთრებულია...

ავიღოთ თუნდაც პერსონაჟები, მაგალითად, ჰობიტი, ბილბო ბეგინსი. შირში დაბრუნებიდან 60 წლის თავზე ბილბოს 111 წელი უსრულდება, თუმცა გარეგნულად თითქმის არ იცვლება. ეს კი ბეჭდების ბეჭდის, იმ მაგიური ნივთის დამსახურებაა, რომელიც ბილბომ გოლუმს მოპარა. ეს ბეჭედი ბნელი სამყაროს არსთა გამრიგემ, ბოროტმა ჯადოქარმა საურონმა, მრავალი ათასი წლის წინ ვულკანის წიაღში გამოჭედა.

და აი, ჩნდება ბნელი და ნათელი სამყარო, ბეჭედი, რომელიც ნეიტრალურია სამყაროთა მიმართ და მოქმედებს ორივე მათგანში. თუკი ძალაუფლების ბეჭედი საურონის ხელში აღმოჩნდება, ყველაფერი განადგურდება, სამყარო ამ ფორმით შეწყვეტს არსებობას; ხოლო ელფების, ჰობიტების, ადამიანების, ჯუჯების, ანუ გონიერი არსებების ხელში – საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერს, იმიტომ, რომ საურონის სახით მას ერთადერთი მბრძანებელი ჰყავს, სხვა მფლობელებს კი მზაკვრობს და ღალატობს.

ბილბო ბეგინსი ადამიანი რომ ყოფილიყო, მეტად დაჰყვებოდა ბეჭდის ნებას. როგორც ჩანს, ჰობიტმა გაცილებით ნაკლები ცდუნება განიცადა, თუმცა ეს ნივთი ამ კეთილი არსებებისთვისაც კი ძალიან საშიშია. რაღა უნდა ვთქვათ გოლუმზე, რომლისთვისაც ბეჭედი დამღუპველი აღმოჩნდა, რადგან მთლიანად შეცვალა სმიაგოლი.

ფაქტია, ძალაუფლების მთავარი ბეჭედი უნდა განადგურდეს, თუმცა აქ ფენტეზის ჟანრის ერთ-ერთი მთავარი მომენტი იჩენს თავს – ყველაფრის იოლად გადაწყვეტა შეუძლებელია. დედამიწაზე მომხდარი ომების შემთხვევაში, ჩვენ ვიცით, რა და როგორ ხდება – მტრის დასამარცხებლად სტრატეგია, უამრავი ტანკი, გმირობაა საჭირო. ეს შესაძლებელია და არაერთხელ გვინახავს ამ ამოცანის დასახვისა და განხორციელების გზები. სრულიად სხვა ვითარებაა ფენტეზის სამყაროში, ბეჭდების მბრძანებლის დასამარცხებლად ბეჭედი უნდა

„ბეჭდების მბრძანებელში“ ძალიან დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ავტორის მიერ შექმნილ დამოუკიდებელ სამყაროს როდი აქვს. ამას მწერლები სხვაგანაც ახერხებდნენ, მაგალითად, ფოლკნერი, ბალზაკი; თუმცა, ტოლკინის მიერ შექმნილი სამყარო სრულიად განსაკუთრებულია...

განადგურდეს, ამის გარკვევას კი დიდი მაგიური ცოდნა დასჭირდება. ბეჭედი უნდა განადგურდეს იქ, სადაც შეიქმნა. მისი მოსპობა იმავე ვულკანის ცეცხლს შეუძლია, რომელმაც შვა კიდეც ლავაში, სადაც საურონმა ეს „სანუკვარი“ ნივთი გამოჭედა. თუმცა! უნდა განადგურდეს – კარგია, ბეჭედი იმ ვულკანამდე ხომ უნდა მიიტანო?

აი, სწორედ ამ მიზნით იქმნება საძმო, ადამიანების, ელფის, ჯუჯის, კეთილი მაგისა და ჰობიტების ცხრაარსებიანი ერთობა, ერთობა, რომელიც საურონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიასა და მის რჩეულ ცხრა „ფალავანს“ – ნაზგულებს უნდა დაუპირისპირდეს. ნაზგულები ადამიანთა ის მეფეები არიან, რომელთაც საურონმა ძალაუფლების ცხრა ბეჭედი მისცა, ბეჭდებმა კი აცდუნეს და აჩრდილებად აქციეს. ამ ჯგუფს უპირისპირდება გენდალფი და კომპანია – ესაა 18 არსება, რომელთა დაპირისპირებამაც სამყაროს ბედი უნდა გადაწყვიტოს.

რასაკვირველია, ყველაფერი ნათელი სამყაროს სასარგებლოდ გადაწყდა და მაგიური ბეჭედი, ძალაუფლების ეს წყარო მოისპო, თუმცა ეს იყო დიდი მსხვერპლის ფასად მიღწეული უზარმაზარი გამარჯვება. პარალელურ სამყაროში გამარჯვება მარადიულობის ნიშნითაა აღბეჭდილი და ამით

განსხვავდება გამარჯვებისგან ჩვენს სამყაროში.

ფანტასტიკისგან განსხვავებით, ფენტეზი აბსოლუტურად დამოუკიდებელია ჩვენი შემეცნებისგან და მთლიანად მორალის სფეროში რჩება.

1950-იანი წლების შემდგომ კაცობრიობა არნახულად განვითარდა, საოცრად შეიცვალა სამეცნიერო ფანტასტიკის სფერო, თუმცა აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა ფენტეზიში, „ბეჭდების მბრძანებელი“ დღესაც ისევე პოპულარულია, და რაც მთავარია, თანამედროვე, როგორც ათეულობით წლის წინ.

თუმცა, როგორც გითხარით, „ბეჭდების მბრძანებელი“ არ ყოფილა ერთადერთი ნაწარმოები, რომელმაც ჟანრზე გავლენა მოახდინა. არ უნდა დაგვავიწყდეს კლაივ ლუისის „ნარნიის ქრონიკები“, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ფენტეზის მთავარი რომანის გაჩენამდე.

კლაივ ლუისი შესანიშნავი ავტორია, მაგრამ ტოლკინისგან განსხვავებით, მის ნაწარმოებს ფანტაზია აკლია.

ფენტეზიზე საუბრისას შეუძლებელია, არ ვახსენოთ ჯოან როულინგის რევოლუციური ნაწარმოები „ჰარი პოტერი“, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ მთავარ კულტურულ მოვლენად იქცა და მსოფლიოს ბავშვები წიგნებთან მიაბრუნა. სულ არ ვფიქრობ, რომ ბავშვები წიგნებს არ მიუბრუნდებოდნენ, მაგრამ იყო მომენტი, როდესაც ტექნოლოგიურმა საშუალებებმა საფრთხე შეუქმნა კითხვას და ვინ მოაცილებდა ბავშვებს კომპიუტერს, თუ არა განსაკუთრებული წიგნი?!

ამ წიგნს „ჰარი პოტერი“ ჰქვია, მას არა მხოლოდ ბავშვები, არამედ ჩემი ასაკის ადამიანებიც კითხულობენ და სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში პოტერიანას არაერთ სპეციალისტს შეხვდებით.

„ჰარი პოტერი“ განსაკუთრებით ძვირფასი ლიტერატურული აღმოჩენაა, ვინაიდან ნაწარმოებში სიყვარული და სიმპათია დაუკავშირდა ბავშვს, რომლის მიმართ თვითიდენტიფიცირება სხვა მოზარდებისთვის ძალიან მარტივია.

რომანის შვიდი წიგნის განმავლობაში ჰარი პოტერი ისევე იზრდება, როგორც მისი მკითხველი; ახალი თაობა მოდის, იწყებს კითხვას იმ ასაკში, რამდენი წლისაც პირველ წიგნში ჰარი პოტერიაა და ასრულებს ნაწარმოებს იმ ასაკში, რომელშიც ნაწარმოების მთავარი გმირის ამბავი სრულდება.

„ჰარი პოტერი“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას სერიოზულად დაუპირისპირდა სხვადასხვა კონფესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოშიც, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, პრობლემები შეექმნათ გამომცემლებსაც; გამოჩნდა ანტირეკლამაც, თუმცა ლიტერატურის დამარცხება არავის გამოუვა და ამიტომაც, ამ საკითხს ნაკლებად შევეხები.

ერთი რამ ზუსტად ვიცი – მშობელი, რომელიც ბავშვს ამ ნაწარმოების კითხვას დაუშლის, ამ მხრივ დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს და ერთადერთი, რასაც შეიძლება „გამორჩეს" ისაა, რომ ბავშვს კითხვა შეაძულოს.

ამ რომანში გენიალური იდეაა – საშინელი ძალა, რომელიც ყველას და ყველაფერს ჯაბნის, არსება, ვისიც არ ითქმის სახელი, სახელი, რომელსაც ძალიან იოლად ამბობს ჰარი პოტერი – ლორდი ვოლდემორი, რომელმაც დახოცა ყველა, ვინც იყო და არ იყო საჭირო, მაგრამ ვერ მოკლა ჩვილი ჰარი პოტერი, დაუტოვა ნაიარევი შუბლზე და აი, სწორედ ამ ბავშვს შეუძლია უზარმაზარი ძალის ჯადოქრის დამარცხება. ეს გენიალური იდეა სწორედ ამ ნაწარმოების ფურცლებზე განხორციელდება. სამწუხაროდ, ამას ჰარი პოტერის უამრავი მეგობარი, ახლობელი და მასწავლებელი ვერ მოესწრება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს კეთილშობილი ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს.

ჰარი პოტერის ბრძოლა კაცობრიობის ბრძოლაა. ეს არის ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის. და როგორც ფენტეზიში ხშირად ხდება, სიკეთე იმარჯვებს, თუმცა ძალიან ძნელად, მაგრამ იმარჯვებს ზუსტად იმის გამო, რაც რუსთაველმა ბრძანა: „არსება მისი გრძელია".

არსებობს შემთხვევები, როდესაც ეს ფორმულა სხვაგვარად არის წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით ამერიკელი მწერლისა და სცენარისტის, ჯორჯ მარტინის „ყინულისა და ცეცხლის" სიმღერას ეხება. ეს წიგნი მარტინმა ტრილოგიად ჩაიფიქრა და მისი წერა 1991 წელს დაიწყო, თუმცა, ხუთი უზარმაზარი ტომის გამოსვლის მიუხედავად, პროექტი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ნაწარმოებზე დაყრდნობით გადაიღეს სერიალიც, სადაც სცენარისტად სწორედ ჯორჯ მარტინი მიიწვიეს. ამ მიმართულებით არის შემთხვევები, როდესაც სცენარი არ ემთხვევა წიგნის სიუჟეტს და არც არის აუცილებელი. ამის გამო, სერიალის ყურებისას არაერთი მკითხველი გაოცებულა. სიკეთე აქ „გრძელი არსებით" ვეღარ უპირისპირდება ბოროტებას.

2015 წლის აპრილისთვის ამ სერიის 60 მილიონი ასლი იყო გაყიდული, ის ნათარგმნია 45 ენაზე, სერიის IV და V ტომები კი „New York Times"-ის ბესტსელერების სიას ლიდერობენ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფენტეზი გასცდა ერთ-ერთობის საზღვრებს და ლიტერატურის პარალელურ ჟანრად იქცა. ფიქშენსა და ფენტეზის შორის გაჩნდა ძალიან სერიოზული სხვაობა, ფენტეზი დღეს სხვა მწერლობაა, რომელიც კლასიკური მწერლობისგან უკვე მკვეთრად განსხვავდება. ფენტეზი სულ უფრო და უფრო უფრო შორდება მიზიდულობას, იმ მორალურ მიზიდულობას, რაც დედამიწას ახასიათებს. მართალია, სიკეთე იმარჯვებს, მაგრამ თუკი შევხედავთ, როგორ მიმდინარეობს ჟანრის განვითარება ჯორჯ მარტინთან, ამაში ღრმად დარწმუნებულები ვეღარ ვიქნებით.

ჰარი პოტერის ბრძოლა კაცობრიობის ბრძოლაა. ეს არის ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის. და როგორც ფენტეზიში ხშირად ხდება, სიკეთე იმარჯვებს, თუმცა ძალიან ძნელად, მაგრამ იმარჯვებს ზუსტად იმის გამო, რაც რუსთაველმა ბრძანა: „არსება მისი გრძელია".

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ამერიკელებს თავიანთი ოცნებების ქარხანა აქვთ, რომელსაც ჰოლივუდი ჰქვია. ჩვენი ოცნება კი კანის კინოფესტივალია“. პიერ ასულინი (ფესტივალის ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორი)

ანანო ბაკურაძე

რამდენიმე წლის წინ ჟურნალმა „რივიერამ“ კანს ლაჟვარდოვანი სანაპიროს „ყველაზე ამერიკული ქალაქი“ უწოდა.

წელს კანში რიგით 69-ე კინოფესტივალი გაიმართა. მთავარი კონკურსისთვის 21 ფილმი შეარჩიეს. შარშანდელთან შედარებით წლევანდელი კონკურსი ბევრად შთამბეჭდავი გახლდათ. წელს ისეთი რეჟისორები იბრძოდნენ ოქროს პალმისთვის როგორებიც არიან: პედრო ალმოდოვარი (ჯილდო რეჟისურისთვის „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“ 1999), კრისტიან მუნჯუ (ოქროს პალმა, ფილმისთვის „4 თვე, 3 კვირა და 2 დღე“ 2007), ჟან-პიერ და ლუკ დარდენები (ოქროს პალმა ფილმისთვის „როსეტა“ 1999. ოქროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალმა ფილმისთვის „ბავშვი“ 2005) ჯიმ ჯარმუში (გრანპრი ფილმისთვის „დამტვრეული ყვავილები“ 2005), კენ ლოუჩი (ოქროს პალმა ფილმისთვის „ქარი, რომელიც ქერს არხევს“ 2006. ოქროს პალმა ფილმისთვის „მე, დენიელ ბლეიქი“ 2016).

ფრანგული რივიერას ყველაზე დიდი გამოცემა წერდა, რომ წელს ნამდვილი ვარსკვლავური ომი დაიწყო, ამ ომში კი კენ ლოუჩმა გაიმარჯვა, ფილმით „მე, დენიელ ბლეიქი“.

როდესაც პალმის რტო ჯორჯ მილერმა ლოუჩს გადასცა, ინგლისელმა რეჟისორმა მადლობა ფრანგულად გადაიხადა შემდეგ კი ინგლისურად განაგრძო: „ამ ნეოლიბერალურ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, კატასტროფულ მდგომარეობამდე მივყავართ. სხვა სამყაროც არსებობს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა“.

კენ ლოუჩი 50 წლის შემდეგ ისევ სოციალურ კინოს დაუბრუნდა.



კადრი ჯიმ ჯარმუშის ფილმიდან „პატერსონი“

„მე დენიელ ბლეიქი“

პირველად 59 წლის განმავლობაში, კარდიოლოგიური პრობლემების გამო, დენიელ ბლეიქი იძულებულია, მოითხოვოს სოციალური დახმარება.

ფილმი იწყება შავი ფონით და ისმის მხოლოდ დიალოგი. ქალი, რომელიც ბლეიქს ელაპარაკება, თავიდან ვფიქრობდი, რომ ტელეფონის ავტომოპასუხე იყო, დაზეპირებული, უემოციო კითხვებით და ფრაზებით ესაუბრება ჩვენი ფილმის მთავარ გმირს, თუმცა მალევე ჩნდება გამოსახულება და ვხედავთ, რომ სოციალური სამსახურის სააგენტოში ქალბატონის პირისპირაა, რომელიც სცენის ბოლომდე არ ჩანს.

იმის გამო, რომ ბლეიქს ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ექიმმა მუშაობა აუკრძალა, იძულებულია, განცხადება შეიტანოს „job center“-ში, სადაც განქორწინებულ ორი შვილის დედას ქეითს გაიცნობს და გადაეჯაჭვება. ერთად იწყებენ ბრძოლას ბიუროკრატიასა და დაუნდობელ სოციალურ პრობლემებთან.

59 წლის დენიელს არ შეუძლია, შეავსოს განაცხადი ონლაინრეჟიმში, არც არავინ ჰყავს, რომ დაეხმაროს. მეულლე ცოტა ხნის წინ დაკარგა და შვილები არასდროს ჰყოლია. პროფესიით დურგალია და აქამდე არ დასჭირვებია სმარტფონისა თუ კომპიუტერის ხმარება, შესაბამისად, არც ერთის მოხმარება არ შეუძლია დამოუკიდებლად, განაცხადი კი აუცილებლად ონლაინრეჟიმში უნდა შეავსოს. დაუნდობელი გამოწვევა ასაკოვანი ხალხისთვის თანამედროვე სამყაროსგან. ინგლისური ბიუროკრატია და ადამიანები, რომლებსაც ოდნავი თანაგრძნობაც კი აღარ აქვთ დახმარების სათხოვნელად მისული თანამოქალაქეებისადმი.

მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებული მსოფლმხედველობისა, ბიუროკრატიული პრობლემები აერთიანებს ჩვენს სამყაროს, სოციალური თემატიკა ყველგან მძიმეა, – კიდევ ერთხელ გვითხრა ლოუჩმა.

წელს ფესტივალმა ჯიმ ჯარმუში გაანაწყენა. ის ხელცარიელი დაბრუნდა კანიდან სახლში. ჯარმუშის თაყვანისმცემლებმა ზეპირად იციან ფრაზები მისი კინოსურათებიდან, საუნდრეკებსაც უსმენენ, ახლა კი დროა ჯარმუშის პოეზიას ეზიარონ.

„პატერსონი“

პატერსონი პატერსონში ცხოვრობს და ავტობუსის მძღოლია. დილით ძალიან ადრე დგება, ჭირვეულობის გარეშე იღვიძებს და სამსახურში ფეხით მიდის. მისი ერთადერთი გასართობი მგზავრების საუბრების მოსმენაა, უსმენს და ელიმება. საღამოს ავტობუსს სადგურში აჩერებს და ფეხითვე ბრუნდება სახლში.

პატერსონი მეგობარ გოგოსა და ერთ ინგლისურ ბულდოგთან ერთად ცხოვრობს. ლორას აკვიატებული გემოვნება აქვს. ის მათ ბინას მხოლოდ თეთრი და შავი დეტალებით აფორმებს (ლორას დეკორი ტიმ ბარტონის ფილმებს მოგაგონებთ). ამ რუტინული ცხოვრების მიღმა პატერსონი ჯერ გამოუქვეყნებელი პოეტია და თავის პოემებს „საიდუმლო დავთარში“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინახავს... მისი საყვარელი პოეტი უილიამ კარლოს უილიამსია, რომელიც პატერსონივით ქალაქ პატერსონიდან იყო.

ჯარმუშმა გვანახა პატერსონის 7 დღე, რუტინული სამუშაო და არაფრით განსხვავებული შაბათი-კვირა. პატერსონი ყოველდღე წერს ურითმო პოემებს, უემოციოდ, ინერტულად, თუმცა, მისგან განსხვავებით, ლორას სჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ცნობილი პოეტი გახდება, პატერსონს კი არაფრის ამბიცია არ აქვს. მას ერთი მკითხველიც აკმაყოფილებს – ლორა.

ჯარმუშს ერთ-ერთ მთავარ გმირად შემოჰყავს ძაღლი მარვინი, რომელიც ინგლისური ბულდოგია, მუდამ დაღლილი ან გაბრაზებული. სახლში დაბრუნებული პატერსონი მარვინს ყოველ საღამოს ასეირნებს, ბარის წინ აბამს, თვითონ ლუდს სვამს და უკან ბრუნდებიან. რაც მთავარია, მარვინს და პატერსონს ერთმანეთი საერთოდ არ უყვართ.

კადრი პედრო ალმოდოვარის ფილმიდან „ხულიეტა“

როგორც კი ფილმი მთავრდება, ხან მოკლედ უკრავენ ტაშს, ხან „ბუუუ-ს“ ყვირიან, ხანაც სიჩუმით ხვდებიან, თუმცა ეს ყველაფერი ძალიან ცოტა ხანს გრძელდება – ყველა გასასვლელისკენ გარბის, რასაც ვერ ვიტყვით ჯარმუშის ფილმის აპლოდისმენტებზე. ძალიან დიდ ხანს უკრავდა ტაშს კანის მკაცრი აუდიტორია ამერიკელ რეჟისორს. მეორე დღეს კი ინტერნეტში ყველაზე ხშირად მოძებნილი სიტყვა „უილიამ კარლოს უილიამსი“ იყო. ფილმი დასრულდა თუ არა, რამდენიმე ათეულ ქვეყანაში იმ დღესვე გაიყიდა.

მთავარ როლს ადამ დრაივერი ასრულებს და პალმის რტოსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, თუმცა ეს ჯილდო ირანელმა მსახიობმა, შაჰაბ ჰოსეინს ერგო.

პედრო ალმოდოვარი ჯარმუშივით ნაწყენი გაუშვეს შინ. ჟურნალისტები ამბობდნენ კიდეც, რომ ალმოდოვარი კანში აღარ ჩამოვაო. ჟიური ვერა, მაგრამ კანის აუდიტორია ნამდვილად არ დატოვა გულგრილი. ჟურნალისტების უმეტესობას, რომელიც კანში ფესტივალზე სამუშაოდ ჩადის, საფოსტო ყუთებს გამოუყოფენ, სადაც მიმდინარე ფილმების პრესის დოსიეებსა და სხვა ფურცლებს ვპოულობთ ხოლმე. პედრო ალმოდოვარმა კი წელს უარი თქვა ქაღალდებზე და სამახსოვროდ დაგვიტოვა გულის ფორმის მეხსიერების ბარათები, რომელსაც „ხულიეტა“ აწერია.

„ხულიეტა“

ხულიეტა, პროფესიით ფილოლოგი, მეგობარ კაცთან ერთად აპირებს მადრიდიდან პორტუგალიაში გადაბარგებას, მაგრამ უცაბედი შეხვედრა ბეასთან, რომელიც მისი ქალიშვილის ბავშვობის მეგობარია, გეგმებს მთლიანად უცვლის. ბეასგან ვიგებთ, რომ ხულიეტას ქალიშვილი ანთია მადრიდში გადავიდა საცხოვრებლად, სამ შვილთან ერთად. ხულიეტა გადაწყვეტს, გადაბარგდეს იმ ბინაში, სადაც ანთიას ზრდიდა, იმ იმედით, რომ ქალიშვილი, რომელიც 12 წლის წინ მისი ცხოვრებიდან გაქრა, ამ ჯერზე მაინც გამოჩნდება. ლოდინში ხულიეტა გრძელი და ვრცელი წერილის წერას იწყებს, რომელშიც ყველა საიდუმლოს ამხელს.

კანში ჩამოსული კინოკრიტიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ესპანელი რეჟისორი პედრო ალმოდოვარი ყველაზე დიდი ესთეტია და ეს, მართლაც, ასეა: „მე პოპარტთან ერთად გავიზარდე, სულ ვცდილობდი, ეს ფერები ჩემს ფილმებში გადამეტანა. გარდა ამისა, დედაჩემი ყოველთვის შავებს ატარებდა და ეს ფერების გადაჭარბება, მკვეთი პალიტრა ჩემი პროტესტია შავი ფერის მიმართ!“ – ამბობს ალმოდოვარი

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობების ოსტატობამ ჟურნალისტები იმედგაცრუებული დატოვა, მაინც ყველა უწინასწარმეტყველებდა პედროს მინიმუმ ჯილდოს რეჟისურისთვის, ჯორჯ მილერის ჟიურიმ კი ის ხელცარიელი გაუშვა შინ.

ერთგზის ოქროს პალმის მფლობელი, კრისტიან მუნჯუ წელს პოსტ საბჭოთა ქვეყნებისთვის ძალიან ახლობელ და აქტუალურ თემებს შეეხო. მას წელს გადასცეს ჯილდო რეჟისურისთვის.

„კურსდამთავრებული“

რომეო, პროფესიით ექიმი, ტრანსილვანიის პატარა ქალაქში ცხოვრობს, ოჯახთან ერთად და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მისი ქალიშვილი ელიზა ინგლისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გაემგზავროს სასწავლებლად. ელიზას ისღა დარჩენია, რომ სკოლის სადიპლომო გამოცდები ჩააბაროს. რომეო მას სკოლის უკანა შესასვლელთან ტოვებს და ელიზა ძალადობის მსხვერპლი ხდება, ზუსტად იმ დროს, როცა მეორე დღეს გამოცდები ეწყება. ამ ამბის გამო, რომეოს მთელი ცხოვრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. იგი ქალიშვილს იმ იდეოლოგიით ზრდიდა, რომ რუმინეთიდან უნდა წასულიყო, განვითარებისთვის სხვა ქვეყნის განათლება მიეღო და იქვე დარჩენილიყო. რომეოს საყვარელი ჰყავს, რის შესახებაცა ცოლმა ძალიან კარგად იცის, თუმცა ეგუება.

მუნჯუ ის რეჟისორია, რომელიც ყველანაირი გაზვიადების, გადამეტებისა და ემოციის გარეშე ამბობს თავის სათქმელს. მან უარი თქვა მუსიკაზე, ის განწყობას მუსიკის გარეშე ჰქმნის.

კრისტიან მუნჯუს ფილმის პრესკონფერენციაზე რამდენიმე შეკითხვის დასმის საშუალება მოგვეცა:

როგორ ფიქრობთ ისეთივე გასაგები იყო თქვენი ფილმი ევროპელი მაყურებლისთვის როგორც ჩვენთვის, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეებისთვის?

ქართველი, ევროპელი და ამერიკელი ხალხი სულ ერთია. ფილმი მინდოდა, ყველასთვის უნივერსალური ყოფილიყო. ის გვიყვება თანასწორობაზე, შვილებზე... რა უნდა ვუთხრათ შვილებს მაშინ, როდესაც გარდამავალი პერიოდი აქვთ, ვიმედოვნებ, ბევრი ადამიანი ილაპარაკებს ამაზე.

ხანის 69-ე ჯინოფესტივალის შედეგები

- ოქროს პალმა, კენ ლოუჩი „მე დენიელ ბლეიქი“
- გრან პრი, ჰავიერ დოლანი „სამყაროს დასასრული“
- ჯილდო რეჟისურისთვის, კრისტიან მუნჯუ და ოლივია ასიასი
- ჯილდო კინოსცენარისთვის, ასგარ ფარჰადი „Forushande“
- ჯილდო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, ჟაკლინ ჟოზე (ბრილიანტ მენდოზა „ჩემი როსა“)
- ჯილდო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, შაჰაბ ჰოსეინი (ასგარ ფარჰადი „Forushande“)



თქვენს პრესრელიზში ამოვიკითხე, რომ თქვენი ფილმის კო-პროდიუსერები არიან ჟან-პიერ და ლუკ დარდენები. ჩვენ ვიცით, როგორი დიდი რეჟისორები არიან ისინი, თუმცა არ ვიცით, როგორი პროდიუსერები არიან. იქნებ, მოგვიყვეთ მათთან თანამშრომლობაზე?

ფილმის გადაღების დროს, სამწუხაროდ, ბევრჯერ არ ვხვდებით კო-პროდიუსერებს. მე დიდი ხანი არ არის, რაც დარდენებს ვიცნობ. ისინი ჩემი შთაგონების წყაროდ იქცნენ. ერთ დღეს ჩვენმა ფრანგმა პროდიუსერმა გვკითხა, გვინდოდა თუ არა მათთან ერთად მუშაობა და მე ვთქვი – რატომაც არა. როდესაც დარდენები შენი ფილმის კო-პროდიუსერები არიან, ეს ნიშნავს, რომ მათ შენი ფილმის წარმატების სჯერათ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირი შეხება არ გვქონია; ხანდახან სცენარს ვუგზავნიდი და ვეკითხებოდი, რამე შენიშვნა თუ ჰქონდათ. ბოლოს კი დასრულებულ ფილმს ვანახებ. სულ ესაა.

უკვე მეშვიდე წელია, რაც კანის კინოფესტივალს ვესწრები და აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ წელს უსაფრთხოების ზომები საგრძნობლად გამკაცრებული იყო. ჯარი, სპეცრაზმი, ჟანდარმერია და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიცია ერთთდროულად იცავდა ფესტივალის ტერიტორიას და ზოგადად მთელ ქალაქს. პირველივე დღეს ამ ამბით იყო აჭრელებული პრესის ჯიხურები.

69-ე წელიც მიიწურა, მომავალ წელს კი საიუბილეო თარიღი უსრულდება კინოსამყაროში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას – კანის კინოფესტივალს.

ჩვენ კი, ვინც მაისიდან მაისამდე ვცხოვრობთ, ვიწყებთ ლოდინს შემდეგ ფესტივალამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: ბოსო ბერაია

ღაბნელება

"მეფე ლირი" თუმანიშვილის სახელობის თეატრში - მანძილი ძალაუფლებიდან სიბიჟემდე

დავით ბუხრიკიძე

შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წელი შესანიშნავი მიზეზი აღმოჩნდა, რომ დიდი დრამატურგისა და ბარდის შესახებ საინფორმაციო, სასარგებლო თუ ბანალურ-საზეიმო ღონისძიებათა ჩარჩოები თეატრებს ახალი იდეებითა და სპექტაკლებით გაეფართოებინათ. მაგალითად, რუსთაველის თეატრმა ექსპერიმენტს მიმართა და დიდი სცენა ქორეოგრაფ მარიამ ალექსიძის დაახლოებით 70-წუთიან ქორეოგრაფიულ ფანტაზიას – „შექსპირი, სიყვარული" დაუთმო (ამ პრემიერის შესახებ „ლიბერალი" უკვე წერდა); ხოლო თუმანიშვილის თეატრმა უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა და „მეფე ლირს" შეეჭიდა (რეჟისორი ზურაბ გეწაძე, მთავარ როლში ზურა ყიფშიძე).

გავბედავ და წისაწარ ვიტყვი, რომ კრიტიკოსთა შეფასებებისა და მოსაზრების მიუხედავად, სპექტაკლს მაყურებელი ნამდვილად არ მოაკლდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ლირი" ქართველების, ასე ვთქვათ, კარგად ნაცნობი და საყვარელი „ოჯახური ტრაგედიაა", მეორეც, უკვე დიდი ხანია, პუბლიკას შინაგანი დრამატიზმითა და მუდმივი რომანტიზმით დაღდასმული ზურა ყიფშიძე სცენაზე არ უნახავს (თუ არ ჩავთვლით თუმანიშვილის თეატრში მოწვეული ბრიტანელი რეჟისორის, ჰილარი ვუდის სპექტაკლს – „კამინო რეალი", რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიდგა და დიდი წარმატებით არ გამოირჩეოდა) და მესამეც – ყოველთვის არსებობს და იარსებებს ცდუნება, რომ თეატრალებმა „ლირის" გარდასული და თანამედროვე ინტერპრეტაციები ერთმანეთს შეადარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა რამ წარსულის „შედარებითი ანატომიიდან“:

1968 წელს მიხეილ თუმანიშვილმა „მეფე ლირი“ რუსთაველის თეატრში დადგა. სერგო ზაქარიაძე მაშინ 59 წლის იყო და ბევრი მნიშვნელოვანი როლი უკვე შესრულებული ჰქონდა... მზადდებოდა კიდევ ერთი, გრანდიოზული და საეტაპო ნამუშევარი, მაგრამ ორი დიდი ხელოვანის არტქიმია რატომღაც არ გამოვიდა. 70-იანი წლების დასაწყისში ახლად დაარსებულ რუსთავის თეატრში „მეფე ლირს“ ახალი სული შთაბერეს მარჯანიშვილის თეატრიდან წასულმა არტისტებმა, ხოლო ლირს სახელოვანი აკაკი ვასაძე 73 წლის ასაკში თამაშობდა.

გრანდიოზული იყო 1987 წელს რობერტ სტურუას მიერ განახლებულ რუსთაველის თეატრში დადგმული „ლირი“, რომელიც აპოკალიფსის წინაშე მდგარი სამეფო-სახელმწიფოს ისტორიას უფრო ჰგავდა; 60 წლის ლირი-რამაზ ჩხიკვაძე კი არტისტული დიდების ზენტში იმყოფებოდა. 1995 წელს მაყურებელმა მარჯანიშვილის თეატრში ახალგაზრდა დავით დოიაშვილის პოსტმოდერნული ვერსია იხილა, რომელშიც მეფე ლირს 63 წლის ოთარ მელვინეთუხუცესი თამაშობდა...

და აი, ზურა ყიფშიძე-ლირი, ასევე 63 წლის ასაკში და ასევე კარიერის ზენიტში. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით თეატრალებმა, თავის დროზე ზურა ყიფშიძის ბევრი როლი „გამოტოვეს“, ამდენად, მნიშვნელოვანია ორმხრივი მოლოდინი – რას შესთავაზებს არტისტი მაყურებელს და როგორი იქნება თავად მაყურებლის შეფასება და რეაქცია?

„მეფე ლირი“ თუმანიშვილის თეატრის სცენაზე ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ გამორჩეულ პრემიერას, რომელიც ამ თეატრს ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში არ ჰქონია. ცხადია, არ უნდა გამოვტოვოთ 2011 წელს ამ თეატრში დადგმული რეჟისორ მიხეილ მარმარინოსის სრულიად ახალებური, შესანიშნავი, გამორჩეული და როგორც თავად მარმარინოსმა უწოდა „დამაბნეველი“ „რომეო და ჯულიეტა“. მაგრამ ჯერ ერთი, უკვე დიდი დრო გავიდა სპექტაკლის დადგმიდან და მეორეც, ის მაინც სრულიად სხვა, ცალკე ავთენტურ-ესთეტიკურ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ, რადგან ერთგვარად გაუცხოებული აღმოჩნდა მიხეილ თუმანიშვილის თეატრის ტრადიციისა და ესთეტიკისგან.

ზურაბ გეწაძის უბრალო, თითქოს უხილავი და ასე ვთქვათ, „სამუშაო“ რეჟისურა, შოთა გლურჯიძის მინიმალისტური, კონცეპტუალური მხატვრობა (პლუს საკმარისზე ჭრელი კოსტიუმებიც), ზურა ყიფშიძის ოფლისღვით, შინაგანი არტისტული ვნებითა და წარმოუდგენელი ენერგიით ნაქსოვი როლი უკვე საკმარისია, რომ თეატრმა მაყურებელი ისევ „სამსახიობო თეატრისკენ“ მოაქციოს თუ დააბრუნოს; გაახსენოს, რომ თეატრში მთავარი მაინც არტისტია. ამგვარი გაგებით „ლირი“ ახლოა სწორედ იმ ტრადიციებთან, რომელსაც ათეული წლების წინ მიხეილ თუმანიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

და აი, ზურა ყიფშიძე-ლირი, ასევე 63 წლის ასაკში და ასევე კარიერის ზენიტში. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით თეატრალებმა, თავის დროზე ზურა ყიფშიძის ბევრი როლი „გამოტოვეს“, ამდენად, მნიშვნელოვანია ორმხრივი მოლოდინი – რას შესთავაზებს არტისტი მაყურებელს და როგორი იქნება თავად მაყურებლის შეფასება და რეაქცია?

სპექტაკლის, ასე ვთქვათ, „არტისტული ველი“, მსახიობთა ჯადო თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიბლი საგრძნობია მთელი სამი საათის განმავლობაში და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ეს ხიბლი საკმარისი არ არის, ხოლო ტემპო-რიტმი საგრძნობლად ფერხდება (განსაკუთრებით ჩავარდნაა შუა ნაწილში), ბოლომდე ინტერესით ელოდებით ლირის გზას ძალაუფლების ხიბლიდან და მისი დაკარგვიდან სიგიჟემდე, ანუ რეალურად განწმენდამდე.

აქტუალური, ცოცხალი, ფეთქებადი, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი იმპროვიზაციებით გაჯერებული წარმოდგენა, ისევე, როგორც, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი და „ნეიტრალური“ რეჟისურა, მთლიანად მსახიობთა შესაძლებლობასა და ძალისხმევას ეყრდნობა. თუმცა შესაძლოა, ტოტალური რეჟისორული თეატრის გადასახედიდან ეს მინუსიცაა, რადგან ბოლომდე გამოკვეთილი არ არის რეჟისორული კონცეფცია; ან ეს კონცეფცია ცნობილ თეზას ეყრდნობა – „რეჟისორი მსახიობში უნდა მოკვდეს“! „მეფე ლირი“ დროდადრო გვახსენებს მტკივნეულ გაბაასებას თეატრის ბიოგრაფიასთანაც, წარმატებებით მოკირწყლულ დიდ წარსულთან, რომელშიც, სურვილის შემთხვევაში, მიხეილ თუმანიშვილის აჩრდილსაც დალანდავთ.

ზურაბ გეწაძის სპექტაკლი თეატრისთვის ლამის მარადიულ და აქტუალურ საკითხს ააშკარავებს – როგორ გავაცოცხლოთ და წავიკითხოთ სამსახიობო და რეჟისურული თეატრის მუდმივი რითმა და ანტირითმა? დრომ დაადასტურა, რომ თეატრის განვითარებისთვის ეს ისეთივე წყევლაკრულვიანი და მარადიული კითხვაა, როგორც დაუსრულებელი ბრძოლა ტახტისათვის ყველა დროში; როგორც განაწილებული სიყვარული თუ გაუნაწილებელი ძალაუფლება; როგორც მამების წყევლა შვილების უმადურობის გამო, დაბოლოს, ისეთივე უსასრულო, როგორც თავად უილიამ შექსპირია – თეატრის მიუღწეველი მწვერვალი, რომლისკენ მიმავალი ბილიკები ბევრი ბრწყინვალე რეჟისორისა და მსახიობის „გვამითაა“ მოფენილი.



ფოტო: ლიკა ფრიდონაძე

ცალკე და განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მანანა ანთაძის შესანიშნავი, ცოცხალი ლექსიკითა და ქმედითი თეატრალური ენით გამორჩეული ახალი თარგმანი, რომელიც სხვათა შორის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა. ეს არის ტექსტის სრულიად ახლებური, თანამედროვე წაკითხვის მცდელობა, რომელიც მოკლებულია მაღალფარდოვანებას და რომელიც ზუსტად ბალანსირებს კლასიკურ-პოეტურ თეთრ ლექსსა და პროზას შორის.

...სპექტაკლის დასაწყისი თითქოს ელისაბედის დრონდელი ბრიტანეთის სამეფო კარს მოგაგონებთ: ისმის საეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: გოდერ ბასილაია

...მაყურებელი იმ უბრალო, მაგრამ გასაგებ მეტაფორასაც მიხვდება, რომ სცენაზე მზის დაბნელება მხოლოდ „მამებისა და შვილების“ ურთიერთობის ტოტალური გაუცხოება როდია, ეს მეფეთა გონების დაბნელება უფროა!

ლესიო ზარები, ჟღერს ბაროკის ეპოქის მუსიკა, გოთიკური ეკლესის ხის თაღების ქვეშ (რომელიც შემდგომში ცარიელ სივრცეში ათასგვარად დაიშლება თუ ტრანსფორმირდება), შემოდის ბრძოლებში გაჭაღარავებული, სამეფო გვირგვინითა და გენერლის მუნდირით შემოსილი ლირი, რომელიც ბეჭდიანი ქაღალდით უნაწილებს სამეფოს ქალიშვილებს. გონერილი – ნანუკა ლითანიშვილი, რიგანი – მაია გელოვანი, კორდელია – კატო კალატოზიშვილი. სამხედრო თუ სამოქალაქო ორდენები მოსავთ კენტს (იმედა არაბული), კორნუოლის მთავარს (ნიკა წერედიანი) და ოლბანის მთავარს (თეიმურაზ ნატროშვილი).

გლოსტერი აკაკი ხიდაშელის შესრულებით უფრო დახვეწილი, ინტელიგენტი და გულუბრყვილო კაცია, რომელიც ადვილად გაებმევა უკანონო შვილის მიერ მოქსოვილ ინტრიგაში... და ამიტომაც კანონიერი შვილს, ედგარს (პაატა ინაური) იოლად გაწირავს.

ედუარდი – გიორგი ყიფშიძის შესრულებით „ლირის“ მეორე, პოლუსია. მზარდი ბოროტება და უსასრულო ენერგია მასში ერთმანეთს ერწყმის. ის ნელ-ნელა იპყრობს არა მხოლოდ მამის ქონებასა და ლირის ქალიშვილების გულებს, არამედ ფინალში – სამხედრო ძალაუფლებასაც. ფაქტობრივად, ლირის შემდეგ, ეს უმნიშვნელოვანესი პერსონაჟია სპექტაკლში.

ყიფშიძე-ლირის ტრაგედია და შესაბამისად, სპექტაკლის ტონალობა, ხასიათი და მასშტაბი უფრო კამერულ, ოჯახურ ფარგლებშია მოქცეული. ჩვენ არა ქვეყნის ტრაგედიას ვკითხულობთ, ან ვაკვირდებთ, არამედ მოხუცი მამისა და მეფის ამბავს, რომელიც ქალიშვილებმა გაწირეს. რამდენიმე სცენა კარგად არის აგებული და დამუშავებული – მაგალითად, მასხარასთან (ვანო თარხნიშვილი), ან ტომად გადაცმულ ედგართან. დრამატული, დასამახსოვრებელი და ძალიან ემოციურია ლირის სცენები გონერილსა და რიგანთან. სცენაში, როდესაც რიგანი ლირის გაწყვეტილ მარგალიტის გაბნეულ მძივებს აგროვებს, რეჟისორი ციტირებს ანალოგიურ სცენას თუმანიშვილის „ანტიგონედან“, კერძოდ, როდესაც ისმენე ანტიგონეს გაწყვეტილ მძივებს ეძებს სცენაზე... და საერთოდაც, „ლირი“ არის მიხეილ თუმანიშვილის თეატრის რეინკარნაციის მცდელობა. რამდენად წარმატებული, ამას თავად მაყურებელი განჯის.

...მაყურებელი იმ უბრალო, მაგრამ გასაგებ მეტაფორასაც მიხვდება, რომ სცენაზე მზის დაბნელება მხოლოდ „მამებისა და შვილების“ ურთიერთობის ტოტალური გაუცხოება როდია, ეს მეფეთა გონების დაბნელება უფროა!

ამბავი ღა ვა

გიო ახვლედიანი

მოთავდა ეს ამბავიც. მიწყდა წლევანდელი საკლუბო სეზონის უკანასკნელი კანონადა. თასი წაიღო ისევ სევილიამ და თასი ასევე, კვლავ წაიღო მადრიდის რეალმა. უამრავი ამათზე არანაკლებ საინტერესო საფეხბურთო ამბავიც მოხდა და ორომტრიალიც იყო და დრამებიც, და ერთი და მეორეც, ამასობაში კი, როგორც ძველად დაწერდნენ ხოლმე გაზეთებში, კარს მოგვადგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი.

ჩვენ იქ კვლავაც არ ვართ, მაგრამ ჩვენი გულშემატკივარი, მაყურებელი და ფროსნის მოყვარე ხალხიც, დაჩვეულია ფეხბურთის უჩვენებოდ ყურებას და კარგა ხანია, ყველას ჰყავს თავისი გულის კლუბიცა და ნაკრებიც. ბოლო მსოფლიო თასებსა და ევროებზე ხომ საერთოდაც ქომაგთა კლუბები იქმნებოდა და ერთი ხმაურობა-მხიარულებაც იყო.

უცხო ქვეყნის გუნდის ქომაგობა-გულშემატკივრობა მსოფლიოში გავრცელებული ამბავია. ხასიათი და მიზეზები ასეთი ქომაგობისა სულ ნაირგვარია და საფუძველიც ხომ ჭრელი. სოციალური გინდაო, პოლიტიკური გინდაო, სპორტული, თუ საერთოდაც - ეკონომიკური, ან პირადიო.

იმ დღეს ერიკ კანტონამ გამოაცხადა, მე საფრანგეთს არ ვქომაგობ, ამჯერად ინგლისისკენ ვიქნებიო და ისიც მოაყოლა, დიდიე დეშანს ბენზემა და ბენ არფა, ალბათ, იმიტომ არ შეჰყავს ნაკრებში, რომ მათი გვარები არ მოსწონსო.

ასეთები ბევრია. ვიცნობდი ერთ ინგლისელ ჟურნალისტს, რომელიც გაგიჟებით ქომაგობდა ჰოლანდიის ნაკრებს და მეტად განიცადა, როცა ამ ოცი წლის წინათ, ინგლისმა, როგორც იყო, 4-1 მოუგო ჰოლანდიელებს. ვიცნობთ, ქართველ გულშემატკივარსაც, რომელიც მოსკოვის სპარტაკზე გიჟდებოდა. და საერთოდ, ამეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ ყაიდის ქომაგობა მაინც გამონაკლისია, თუმცა არსებობს მასობრივიც. თვითონაც ვგიჟდებოდი და სხვაც ათასობით. კი, მოსკოვიდან უკიდურესად მოშორებულ კლუბებსა და ქვეყნებზე, მაგრამ ასე კი იყო და დღესაც ასეა, ალბათ.

ყველას ჰყავდა თავისი საყვარელი ნაკრები. კლუბებიც. ოღონდ, ძირითადად, უნახავად, რადგან საბჭოთა კავშირში საერთაშორისო საკლუბო ფეხბურთს, თუ მატჩში ორთაგან ერთი საბჭოთა კლუბი არ იყო, არა სწყალობდნენ. თუმცა ჩვენ აბა რა ვიცოდით და მთელ მსოფლიოში ასე ყოფილა. მაგალითად, მანჩესტერ იუნაიტედის ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჩინეთშია თავმოყრილი და ასე დაუსრულებლად.

ეს უცხოთა გულშემატკივრობის ამბავი, მართლაც, იმდენად მრავალფეროვანია, რომ ახლა ამის განხილვას კაცი ნამდვილად ვერ მოჰყვება. ეს ამბავიერთი კარგი სამეცნიერო გამოკვლევის თემადაც კი გამოდგება.

■ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება იმითაა საპატიო და სასიხარულო, რომ მას თავად ფეხბურთელები ანიჭებენ კოლეგას. წლეულს კი პრემიერლიგის მოთამაშეები ისედაც ბევრს აქებენ ლესტერელ ფეხბურთელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ იმ დღეს ერიკ კანტონამ გამოაცხადა, მე საფრანგეთს არ ვქომაგობ, ამჯერად ინგლისისკენ ვიქნებიო და ისიც მოაყოლა, დიდიე დეშანს ბენზემა და ბენარფა, ალბათ, იმიტომ არ შეჰყავს ნაკრებში, რომ მათი გვარები არ მოსწონსო.

ჩვენს ქვეყნაში უცხოელთა გულშემატკივრობა, ალბათ, მაშინ დაიწყო, როცა ჯერ რადიოში, მერე კინოქრონიკებში, ბოლოს კი, 1966 წლიდან, ტელევიზორში გადმოიცა მსოფლიო ჩემპიონატები. ამიტომ პირველი სათაყვანო უცხო გუნდი, ალბათ, ბრაზილია იყო. სხვებსაც ქომაგობდნენ, მაგრამ ჟილმარს, ჯალმა სანტოსს, ორლანდოს, ბელინის, ზიტოს, დიდის, გარინჩას, ზაგალოს, პელს და ვავას 1958 წელს ისეთი საძირკველი ჩაეყარათ, რომ ეს ბარაქა დღემდე მოჰყვება. მერე ბევრნი იყვნენ გერმანიის, ჰოლანდიის, ე.წ. გალანძიის, მერე იტალიის ქომაგები. მერე შემოაბიჯა არგენტინამ, იმას მოჰყვა მარადონა და ასე შემდეგ. საკლუბო ამბავი კიდევ უფრო დაყოფილი იყო და უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ნაკრებს უკავშირდებოდა.

ასე იყო, თუ ისე, ფეხბურთი რომ გლობალიზაციის ერთ-ერთი წარმატებული მეურნეობაა, ნამდვილია. მექრთამეობა-ჩალიჩმაისტერობით განთქმულმა ფიფამ და უეფამ ის კი მოახერხეს, რომ ამ თამაშს და მას მოდევნებულ ურთიერთობებს საზღვრები წაუშალეს. მთავარი დაწყება იყო, თორემ დანარჩენს თვითონ ფეხბურთი აკეთებს. აქაც ბევრი ფენაა და სურათების სიჭრელესა და ოდენობას ძნელად თუ გასწვდები.

ფეხბურთი რომ პოლიტიკა იყოს, გლობალიზაცია მერე გენახა. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ვერ არის. კი, იყენებენ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ იყენებენ ისიც, ასე თუ ისე. აგე, კანტონა-დეშანის ჩხუბიც ამაზეა.

ევროპის ჩემპიონატი კი იწყება.

შეირგეთ. რამეები მოხდება. სასურველია მხოლოდ მინდორზე, ფეხბურთულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიტყვეთ მეტი განახლებულ
www.liberali.ge_ზე





0105/42

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

მოგვყევით

twitter

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

YouTube

http://youtube.com/LiberaliMagazine